140
1989/2

ISSN 0132 - 6007

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

10
1989

# მომავალზე ფიქრით

**დღევანდელი ჩვენი თანამოსაუბრეა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის წევრი გურამ ყორანაშვილი.**

**— საქართველომ უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები იმ ძნელ გზაზე, სანუკვარ საბოლოო მიზანთან რომ უნდა მიგვიყვანოს, მივიხედ-მოვიხედეთ და თვალნათლივ დავინახეთ, რა ბევრმა სატკივარმა იჩინა თავი. თუ ისინი არ მოვირჩინეთ, ალბათ ამაო გამოდგება ყველა ჩვენი ცდა. თქვენი აზრით, ამ სატკივართაგან რომელი საჭიროებს პირველ რიგში მკურნალობას და როგორ უნდა ეშველოს მათ?**

— უპირველესად უნდა რადიკალურად შეიცვალოს შრომისადმი დღევანდელი ქართველი კაცის დამოკიდებულება, შესაბამისად დაფასებული უნდა იყოს პროფესიონალიზმი. ეს ეხება, ცხადია, საქმიანობის ყველა სფეროს. სამეურნეო იჯარამ, კერძო მიწათმფლობელობამაც უნდა დაგვიბრუნოს ქართველი გლეხი; ყოველი საწარმოს და საერთოდ, რესპუბლიკის თვითდაფინანსებაზე გადასვლით, აქედან გამომდინარე თვალსაჩინო მატერიალური სტიმულირებით საგრძნობლად უნდა ამაღლდეს მუშებისა და ინტელიგენციის წარმომადგენელთა საქმიანობის ხარისხი. უახლოეს წლებში უნდა მოვამრავლოთ ქართველი მოსახლეობა ქვემო ქართლსა და ჯავახეთში. უმაღლესი საბჭოს არჩევნებში უნდა გაიმარჯვონ ინტელექტითა და ზნეობით გამორჩეულმა დეპუტატებმა. ბოლოს და ბოლოს, ეს ორგანო ნამდვილად უნდა გახდეს ქმედითი და ხალხის ნების გამომხატველი, ეროვნული პოლიტიკის გამტარებელი.

**— ქართველმა ახალგაზრდობამ დაამტკიცა, რომ ძალა შესწევს დაიცვას სამშობლოს ინტერესები. ამავე დროს, მისი ნაწილი მთლიანად უგულვებელყოფს უფრო გამოცდილთა აზრს, მფრთხალი თაობის შეგონებად მიიჩნევს მას და ხანდახან ავიწყდება, რომ გარდაქმნის იმ საერთო პოლიტიკურ კურსს, რომელსაც ეროვნული მოძრაობის არნახული აღმავლობა მოჰყვა, მტერიც ბევრი ჰყავს. მალემრწმენობა, ჩვენი მოქმედების, სიტყვის მოსალოდნელი შედეგების განუჭვრეტელობა, ყოველი მოუზომავი ნაბიჯი შეიძლება საზიანო აღმოჩნდეს იმ საქართველოსთვის, რომლისთვისაც თავს არ ვზოგავთ.**

საერთოდ, ახალგაზრდობა სწორია ძველი თაობის მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებაში. მაგრამ საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს უკლებლივ მთელი ახალგაზრდობა დიდი ინტელექტისა და ზნეობის მქონე გამხდარიყოს, ხოლო წინამავალი თაობები მთლად საწინააღმდეგო თვისებებს ამჟღავნებდნენ. რა თქმა უნდა, არიან, და საკმაოდ ბლომადაც, ისეთი პიროვნებები, რომელთა გარეშეც სასაქართველოს წინსვლა შეუძლებელია. დღესდღეობით სწორედ მათ აქვთ მეტი ცოდნა, მით უმეტეს, გამოცდილება. ურყევი ფაქტი გახლავთ ის, რომ დღევანდელი საქართველოს ინტელექტუალური პოტენციალი ძირითადად სწორედ უფროს თაობებშია. შესაძლოა, დღევანდელ ქართველ ახალგაზრდობას დიდად აღაფრთოვანებს ილიას თაობის ძველისადმი დაპირისპირების მაგალითი. მაგრამ ილიას თაობა ძველს დაუპირისპირდა დიდი ცოდნით, ახალი მსოფლმხედველობით, რომელიც შეიძინა უმაღლეს სასწავლებელში სწავლით, ძველი თაობის სწავლა-განათლება კი ტრადიციული, უაღრესად შეზღუდული გახლდათ. დღევანდელი ახალგაზრდობა კი წინა თაობებს ვერ უპირისპირდება მეტი ცოდნითა და განათლებით, ხშირად პირიქითაც ხდება ხოლმე. ვნახოთ, მომავალში როგორ გამოიჩენს თავს ამ მიმართულებით ჩვენი დღევანდელი ახალგაზრდობა. ღმერთმა ქნას, რომ იგი აზროვნებითაც აღმატებული ყოფილიყოს წინა თაობებთან შედარებით.

ახალგაზრდობას აკლია გამოცდილება, ცოდნითაც იგი ჯერჯერობით ვერ დგას მყარად ფეხზე. ამიტომაცაა, რომ ხშირ შემთხვევაში წინა თაობების წარმომადგენელთა შეგონება გონიერებისა და ზომიერებისაკენ მას სიმხდალე, ლაჩრობა ჰგონია. დიადი მიზნის მიღწევა რამდენიმე თვეში და, თუნდაც უახლოეს ორ-სამ წელიწადში ალბათ არ მოხერხდება. ახალგაზრდობაში ჭარბობს სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი; სათანადოდ ვერ აცნობიერებენ იმ გარემოებას, რომ ოდენ სურვილი და მონდომება არა კმარა, სინამდვილეც ხელს უნდა უწყობდეს ჩვენი დიდი ეროვნული მიზნის აღსრულებას. უნდა გაღრმავდეს ის პროცესები საკავშირო და მსოფლიო მასშტაბით, ურომლისოდაც ჩვენი სურვილი, მონდომება და ძალისხმევა არასაკმარისი იქნება. მხოლოდ სურვილებითა და ემოციებით გატაცებამ, სინამდვილისათვის ანგარიშის გაუწევლობამ შეიძლება ჩიხში მოაქციოს და წლობით შეაფერხოს ეროვნული მოძრაობა. ერთი სიტყვით, საჭიროა მეტი სიფრთხილე და წინდახედულება, რაც, რა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საკვირველია, სულაც არ ნიშნავს სიმხდალეს, ლაჩრობას. ამ მხრივ მისაბაძ მაგალითებად დაგისახელებდით დავით აღმაშენებლისა და ილიას პრაქტიკულ მოღვაწეობას.

**— ჩვენი ხალხის, საზოგადოების ნაწილი, და ესეც, ალბათ, უპირველესად ახალგაზრდობას ეხება, უკვე ახლავე ძალიან შორს მიდის, ახლავე მოითხოვს პოლიტიკური დამოუკიდებლობის საკითხის გადაჭრას. არის კი საამისო საფუძველი არსებულ რეალურ პირობებში?**

19.390

— ჯერჯერობით, როგორც უკვე ვამბობდით, ჩვენი უზენაესი მიზანი ერთბაშად ვერ მიიღწევა. ვიმეორებ, ამგვარი დასკვნა სიმხდალე-ლაჩრობას კი არ ეფუძნება, არამედ ვითარების (მსოფლიო, სსრ კავშირისა და საქართველოს მასშტაბებით) უფრო ღრმა და ყოველმხრივ ანალიზს. გავა დრო და ახალგაზრდობა შეიგნებს, რომ მიმდინარე წლების განმავლობაში მას ჭარბად მოსდგამდა ილუზიები.

**— სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პირველ და შეიძლება გადამწყვეტ ეტაპადაც ბევრნი ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოპოვებას მიიჩნევენ და აქვე ასახელებენ იმ ხელისშემშლელ ფაქტორებს, რომლებიც ამუხრუჭებს უფრო გაბედულ წინსვლას ამ მიმართულებით. პირველ რიგში ეს არის სათანადოდ მომზადებული, საქმის მცოდნე, კვალიფიციური მუშების, სპეციალისტების, სოფლის მეურნეობის მუშაკების, დროის მოთხოვნათა შესაფერისი უნარის მქონე საწარმოს ხელმძღვანელთა კადრების ნაკლებობა. ეს კი უთუოდ სკოლიდან, უმაღლესი სასწავლებლიდან, სწავლისა და შრომისადმი დამოკიდებულებიდან იღებს სათავეს. ეტყობა, სწორედ ამ დამოკიდებულების შეცვლით უნდა დავიწყოთ?**

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემას პირველ კითხვაზე პასუხის მითითებით დავიწყებდი. რასაკვირველია, ქართული საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის პროფესიონალიზმი და მონდომებული შრომაა საჭირო, ამდენად გარდატეხა უნდა დაიწყოს უპირველესად ამ მიმართულებით. კერძოდ, მოსწავლე ახალგაზრდობამ, სტუდენტობამ კარგად უნდა შეიგნონ, რომ სათანადო ცოდნისა და შრომისმოყვარეობის გარეშე მომავალი საქართველოს ღირსეული შვილები ვერ იქნებიან, პატრიოტიზმთან ერთად, და არანაკლებ, სამშობლოს მათი პროფესიონალიზმი და დიდი შრომისმოყვარეობა სჭირდება. ჯერჯერობით მე ვერ ვამჩნევ, რომ სტუდენტობის და მოსწავლეთა დამოკიდებულება სწავლა-განათლებისადმი დადებითი მხრივ შეცვლილიყოს. ამ განცხადების საფუძველს მაძლევს სტუდენტებთან ჩემი ურთიერთობის რვაწლიანი გამოცდილება, ასევე დაკვირვება ახალგაზრდობაზე მიტინგების დროს. რა თქმა უნდა, მდგომარეობა რომ აღნიშნულის მხრივ რადიკალურად გამოსწორდეს, ეს მხოლოდ დღევანდელ მოსწავლეებსა და სტუდენტობაზე არ არის დამოკიდებული. აუცილებელია პედაგოგების, ლექტორთა კადრების საგრძნობლად შეცვლა, მეტი სტიმულები კარგ სპეციალისტად გახდომისათვის, სტუდენტთა კონტინგენტის შევსება მხოლოდ ნიჭიერებითა და მონდომებულებით და ა. შ. პარალელურად ჩვენი საუკეთესო ახალგაზრდობა უნდა მივავლინოთ უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში ცოდნის მისაღებად.



გურამ ყორანაშვილი

**— არაერთგვაროვანია აზრი ახალგაზრდობის მიერ ბრძოლის ლამის წამყვან საშუალებად საპროტესტო აქციების, კერძოდ, შიმშილობის, გაფიცვების აღიარება. ეჭვი არ არის, გარკვეულ შემთხვევაში ეს აქციები გამართლებული და საჭიროც კია, მაგრამ ბრძოლის გზა მხოლოდ მათზე ხომ არ გადის?**

— რასაკვირველია არა. ჩვენ გვჭირდება შეუპოვარი სვლა სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, რაც უპირველესად შრომაში უნდა გამოიხატოს. მაგრამ ეს არ გამორიცხავს პროტესტის სხვადასხვა ფორმას, თუ ამას საჭიროება მოითხოვს. თანაც უნდა ვეცადოთ, მსგავს შემთხვევაში ჩავაბათ რაც შეიძლება ფართო მასები. მიზნის მიღწევის გარდა ეს საჭიროა მასების პოლიტიკური გამოცდილების გასამდიდრებლადაც.

ესაუბრა **მ. გელაშვილი**

საქართველოს ალკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი

პიონერი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა **10 ოქტომბერი 1989**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თეთრი უდაბნო მთებში

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

მოთხრობა

მხატვარი კარლო ფაჩულია

— მოხვედი, გენაცვალე?!

— გამარჯობა, მარიამ ბებია!

— გაგიმარჯოს და გამიმრავლდი, შვილო! დამაწყდა, ბიჭო, თვალები გზაზე ცქერით, ან ეხლა მოვა ჩემი გუბაზი, ან ეხლა-მეთქი. დილას, შვილო, თერთმეტსაათიან ავტობუსსაც დავხვდი სადგურში. ვინლა არ მოვიდა თბილისიდან, ვინლა არა, შენ მაინც არ გამოჩნდი. რას ვიზამდი, ქა, წამოვედი დარდიანი. ვთქვი, თუ ორსაათიან ავტობუსსაც არ მოჰყვა, ტელეფონზე დავრეკავ და გავიგებ, რატომ დაიგვიანა იმ ბიჭმა-მეთქი! — ამ სიტყვებით შეეგება მარიამ ბებია თავის შვილიშვილს და გამხდარი, მაგრამ ჯანიანი ხელებით გულში მაგრად ჩაიკრა გუბაზი. გუბაზიც სიყვარულით მიეფერა ბებიას. ორივე ლოყა დაუკოცნა. მერე გვერდზე გადგა, თვალები ეშმაკურად მოჭუტა, ცერად გამოხედა და თქვა:

— უხ, რა ბებია მყავს! შენისთანა ლამაზი, კეთილი და კარგი ბებია დედამიწაზე მეორე არ დაიარება!

— იი, ლამაზიო, გაქრი შენა, რა ენა გაქ, ბიჭო! — ახითხითდა მარიამი. — ზოგი პაპაშენ სანდროსაც ჰკითხე!

— რაო, რას ამბობს პაპა, აღარ მოსწონხარ?!

— ე, ბებეროო, ბეხრეკოო, დამძახის.

— მაგას ვერ დავიჯერებ, ნწუ, ვერ დავიჯერებ!

— თუ ძალიან გაჯავრებულია, ან ჩემი გაკეთებული საქმე არ მოეწონა, უჯიშოსაც მეძახის ხოლმე.

— მე არასოდეს გამიგონია!

— მაგდენი კი ესმის, რომ სხვასთან საჩოთირო სიტყვა არაფერი მაკადროს!

— ერთხელ სანდრო პაპამ მითხრა: ბებიაშენი, გუბაზ, მაჯაზე პატარა ოქროს საათს რომ იკეთებენ, ისეთი კარგი და ძვირფასიაო, მე თუ ვარსებობ, მაგის ზრუნვითა და ამაგითაო.

— მართლა, ბიჭო?!

— აბა ტყუილად?

— დაიფიცე!

— დედას გეფიცები!

— ოქროსავითო?..

— კი, მარიამ ბებია, ოქროსავით ძვირფასი და კარგიაო!

— მა რა დაემართა ამ ბოლო დროს, ბიჭო! მეტწილად გაბაიყუშებულია. მოვა ტყიდან თუ არა, დაიბანს, გასუფთავდება, პურს შეჭამს, მერე საგზალს გამამზადებინებს და ისევ ტყეში მიდის. მთლად გატყიურდა. ერთ-ორ საათს არ დარჩება შინ, რომ სახლ-კარს მიხედოს. გუშინწინაც ყოყეანთ მხრიდან ძროხას ღობე შემოელეწა. დავდექი და კაცის გასაკეთებელი მე გავაკეთე. ღობე გავამაგრე. ეს ტიალი, სოფელიც ისეა გამოცარიელებული, ვერავისა სთხოვ მოხმარებას. გარშემო მარტო გამოკეტილი სახლებია... მარტო ზაფხულში თითო-ოროლა სახლი თუ გამოცოცხლდება. მამაპაპეულ კარმიდამოს მოაკითხავენ ხოლმე, ზოგი საიდან, ზოგი — საიდან. არადა მთლად გამოყრუებულები ვართ აქ დარჩენილები. ან ვინლა ვართ, შვილო, სულ თითზე ჩამოგითვლი — თერთმეტი კომლი. სამასი კომლი ვიყავით, ბიჭო, სამასი, ორი კოლმეურნეობა გვქონდა. ეხლა? აღარც ერთი აღარ არი, ხალხი წავიდ-წამოვიდა. ომის მერე რა დაემართათ, რა ეშმაკმა შეშალათ, რო აქაურობაზე გული აიცრუეს, ადგნენ და თითო-თითოდ ქვევით, ალაზნის ველისაკენ რკინიგზის გასწვრივ ჩასახლდნენ, ზოგმაც გუდა-ნაბადი აიკრა და თბილისში დაიდო ბინა. კი ბატონო, კაცს სადაც ეცხოვრება, იქ წავიდეს, მაგრამ ამისთანა მიწა-წყალს, ჩვენს სოფელში რომ არის, ჭკვიანი კაცი თავს გაანებებს?

უყურე, შვილო, რა სიმშვენიერეა, რა მთები და რა ჰაერია. გახედე იმ ხეობას, ზევიდან რომ ჩამოდის! ადრე მაგ ხეობაში მარჯვნივ და მარცხნივ წყლის წისქვილები იდგა. ჩვენი სოფლის სულადს* ის წისქვილები ფქვავდნენ. დღე და ღამე ბრუნავდნენ დოლაბები. ხეობაში ზამთარ-ზაფხულ წყალი მოდიოდა. ეხლა? ეგე, ხეობა მშრალ რიყედ იქცა, ფეხის დასასველებელ წყალს ვერ იპოვნი. მარტო ავდარში, როცა მთიანი ფერდობებიდან ნიაღვრები წამოვა, მაშინ ილვიძებს ხეობა.

— რა იქნა ის წყალი, წისქვილებს რომ ამუშავებდა? — ჰკითხა გუბაზმა ბებიას.

— წისქვილები თანდათან მოისპო და წყალიც დაიკარგა, შვილო! ვინლა ჰყავდა პატრონი, ჩამოშვავებულმა მიწამ დაფარა წყაროები. მაშინ კი, როცა წისქვილები ბრუნავდა, მეწისქვილეები წყაროებს უფრთხილდებოდნენ. გაიდებდნენ მხარზე თოხს, აჰყვებოდნენ ხეობას თავამდე და წყაროებს ასუფთავებდნენ, კლდიდან წვეთ-წვეთად ჩამონადენი წყალი რომ ენახათ, იმასაც წისქვილებისკენ უკვალავდნენ გზას. ეხლა, შვილო? მარტო სასმელი წყაროებიღა შემოგვრჩა სოფელში.

მარიამმა უცებ ლოყაზე ხელი შემოიკრა.

— უი, ქა, რატო არ მომიკვდება თავი, მე ენად გავიკრიფე და განაღა ვფიქრობ, რომ ნამგზავრი ხარ და გემშიება?! მოდი, გენაცვალე, აი აქ მაგიდასთან დაჯე-

---

* სულადი — ხორბლეული, მარცვლეული.

ქართველი მოზარდი მკითხველებისათვის ცნობილი და ახლობელია მწერალ ვლადიმერ ასლამაზიშვილის სახელი. მისი ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ საყმაწვილო გამოცემებში, გამოდის წიგნებად, ზოგ მათგანს სწავლობენ სკოლაში.

ვლადიმერ ასლამაზიშვილი ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთი უახლოესი თანამშრომელია. აქ გამოაქვეყნა მან „ხევში ნიალვარი მოდიოდა“, „თაკოს ხარები“, „მუხტარა“, „ცარცით დახატული კარი“, „ვაჟმა გაილვიძა“, „დუმილი ერთი წუთით“, „შენ სოფელს სჭირდები“, „ჩაშლილი წარმოდგენა“, „ხვალ კარგი ამინდი იქნება“, „განმარტოებული ნაპირი“, „გუგრუცანა“ და სხვა მოთხრობები, საყოველთაო მოწონება რომ დაიმსახურეს; მათ შორის რამდენიმემ სხვადასხვა დროს „პიონერის“ კონკურსზე გამარჯვება მოიპოვა.

ვლადიმერ ასლამაზიშვილი ნაყოფიერ ჟურნალისტურ მოღვაწეობასაც ეწევა — წერს საინტერესო ნარკვევებს ჩვენი რესპუბლიკის პიონერ-მოსწავლეთა სწავლასა და შრომითს საქმიანობაზე.

ახლახან ვლადიმერ ასლამაზიშვილს დაბადების 60 წელი შეუსრულდა.

ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავენ იუბილარ მწერალს თავისი ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, უსურვებენ ხანგრძლივ ჯანსაღ სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით მიღწევებს.

გთავაზობთ ვლადიმერ ასლამაზიშვილის ახალ მოთხრობას, რომელსაც საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოებისა და ჟურნალ „პიონერის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსზე პირველი პრემია მიენიჭა.



ქი, ეხლავე იმისთანა სუფრას გაგიშლი, ხელმწიფის საკადრისს.

მარიამმა გუბაზი აივნის მოაჯირთან მიდგმულ პატარა, ყვითელმუშამბაგადაფარებულ მაგიდასთან დასვა და თვითონ ვიშვიშით, ეს რა მომივიდა, ბიჭი შიმშილით მოვკალიო, კიბეზე ჩავიდა.

გუბაზი მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო და ეზოს გადახედა, ეზო ისევ ისე, როგორც ყოველთვის, კარგად ნაპატრონები გამოიყურებოდა. ქლიავის, ლეღვის, ვაშლის, ატმის, თხილისა და კიდევ სხვა ხეები უფრო გაზრდილიყვნენ, ტოტები ფართოდ გაეშალათ და ნაყოფით დახუნძლულიყვნენ. ჯერ მწვანედ გამოიყურებოდნენ ღოღნოშო და ღორჭლიავა, თხილს სამ-სამ და ოთხ-ოთხ ტყუპად ეყარა ნაყოფი, აივნის წინ ხელის გაწვდენაზე ბალი იდგა და მარტო იმას შეჰპარვოდა სიმწიფე, კუნწულ-კუნწულა მარცვლებს წითელ-ყვითლად გაუდიოდა ღუღღუდი.

— ერთსა კაცსა ბლისკინელსა ბლის კალათით ბლის ხიდზედა ბალი გააქვს და გამოაქვს! — ხმამაღლა თქვა გუბაზმა და გაეცინა, ეს საიდან მომაგონდაო. ბალს თვალი ჩააყოლა. მის ძირში ცემენტის ოთხკუთხა აუზში ონკანიდან წყალი ცალყბად ჩაჩხრიალებდა, თითქოს გახურებულ მილში გადისო, მდუღარესავით შხიპშხიპებდა.

ბიჭს რაღაც გაახსენდა. სწრაფად წამოდგა და კიბე ორი-სამი ნახტომით ჩაირბინა. ეზოში, კიბესთან ახლოს ქალაქიდან წამოღებული შავი ჩემოდანი იდგა. ჩემოდანთან თეთრი, ყურებდაჭრილი ძაღლი წამოწოლილიყო, წითელი ენა გადმოეგდო და ქაქანებდა, გუბაზს უწყინრად შემოსცქეროდა, კუდს მატიტელათი და მრავალძარღვათი გადამწვანებულ მიწაზე ურტყამდა.

სანდრო პაპას ერთი შავი ნაგაზი ჰყავდა, საყარაულოდან არ იცილებდა, სახლშიც თუ გაიჩინეს ძაღლი, გუბაზმა არ იცოდა და ბოსტანში მწვანილის საკრეფად შესულ ბებიას გასძახა:

— მარიამ ბებია!

— რა იყო, შვილო?

— ეს ძაღლი ვისია?

— არ ვიცი, ბიჭო, ორი კვირის წინ მოვიდა ეზოში. ემანდ კიბის ქვეშ დაიდო ბინა. ვინმე მოიძულებდა სახლიდან, ან მწყემსებს ჩამორჩებოდა გზაში. იწანწალა, იწანწალა და ჩვენ მოგვეკედლა. შემეცოდა, ეგეც ხომ ღვთის გაჩენილია, არ დავუშალე და არის თავისთვის.

— რა ჰქვია ნეტავი?

— რა ვიცი, ენა რომ ჰქონდეს, ვკითხავდი!

— პაპამ არაფერი დაარქვა?

— არა. იმდღესა თქვა, ტყეში ძაღლი რომ მყავდა, ვიღაცამ მოწამლა, მომიკვდა და იმის სანაცვლოდ წავიყვანო.

— ქორია აღარა ჰყავს, ბები?

— არა, მოწამლული ხორცი დაუგდიათ!

— საწყალი, რა ყოჩაღი ძაღლი იყო! — სინანულით თქვა გუბაზმა.

— მე მაგას ჯაბოს ვეძახი.

— ჯაბო? კარგი სახელია, საიდან მოიგონე, ბები?!

— ჩემს ბავშვობაში კაკაბეთში გვყავდა, დიდი ცხვრის ძაღლი იყო.

— ჯაბო, ჯაბო! მოდი ჩემთან! — დაუძახა გუბაზმა.

ძაღლმა ქასქასი შეწყვიტა, ადგა, კუდის ქიცინს უმატა, ბიჭთან მივიდა, ფეხებთან წამოუწვა და ჩუმად აწკმუტუნდა.

გუბაზს ძაღლი მოეწონა. დაიხარა, ყურის ძირები მოუქექა. ჯაბო სიამოვნებისაგან ჯერ გაიტრუნა, მერე ზურგზე გადაკოტრიალდა და ფეხები აათამაშა, რითაც ბიჭისადმი თავისი ძაღლური სიმპათია და ერთგულება გამოხატა.

— ღონიერი ძაღლი ჩანს, რამსისხო თათები აქვს. მგელს არ შეუშინდება! — შეაქო ჯაბო ბიჭმა. ძაღლთან თამაშით გული რომ იჯერა, ჩემოდანი კიბის საფეხურზე დადგა და გახსნა, იქიდან ქაღალდში გახვეული თითბრის ონკანი ამოიღო და ბებიას გასძახა.

— მოვდივარ, შვილო, — გაეხმიანა მარიამი. ბოსტ-

ნიდან გამოვიდა და მწვანილით სავსე ემალის ჯამი გამოიტანა.

— მამამ მანქანის ქანჩსაღები რომ დატოვა, სად არის?

— განჯინაში მაქ შენახული, რათ გინდა?

გუბაზმა ონკანი უჩვენა:

— აი, რა წამოვიღე თბილისიდან?!

— შენ კი გენაცვალე, რა ყურადღებიანი მყევხარ, ბიჭო, თორემ ემაგ ყოყეანთ ლამის გადამასახლონ აქედან. გავბეზრდით, როდემდე უნდა იაროს თქვენმა წყალმა ჩვენს ეზოშიო. გუშინწინ დამემუქრნენ, წავალთ, საბჭოში გამოვაცხადებთო. რა ვქნა, ვერ გავამტყუნებ, მოჩხრიალებს და მოჩხრიალებს წყალი. მეორე ონკანი, მიწაში როა, ჩაჟანგულა და ვერც იმით დავკეტე. იმიტომ დაგირეკე თბილისში, ახალი ონკანი წამომილე-მეთქი. არც შენ შეგაწუხებდი, შვილო, რომ პაპაშენს მოესმინა ჩემთვის. ვინმე მოიყვანე, ონკანი გაარემონტებინე-მეთქი, რამდენჯერ ვუთხარი და, ნეტაი შენ, მოგცლია, მაგის მეტი დარდი ღმერთმა არ მოგვცაო, — ამ ლაპარაკით მარიამმა მწვანილი წყალთან მიიტანა, ჯამი ონკანს შეუშვირა.

— რატომ-მეთქი, კაცო! — ვეუბნები. — იმიტომა, რომა, ამ ქვეყნად იმდენი უსამართლობა ხდება, იმდენი რამ იღუპება და ნადგურდება, ლამის ჩვენც ზედ მივყვეთ. რაც მთავარია, იმას უნდა მიხედვა, თორემ ეგ ონკანი სულ მაგრე არ დარჩება, ჩამოვა ბიჭი და ორ წუთში გააკეთებსო.

გუბაზმა ხარახურით სავსე პატარა ფიცრის ყუთი განჯინიდან გამოიღო, ონკანის ახლოს დადგა და ქანჩსაღები ამოიღო.

— მაინც რა იღუპებაო, ბებია, რას ჩივის, სანდრო პაპა?

— კბილამთა იღუპებაო.

— კბილამთა?

— ეგა, შვილო, ეგა, მაგიტომ არის გაბოღმებული და გატყიურებული, მაგიტომ შინ მოსვლა აღარ უნდა.

გუბაზი შარშან ზაფხულში პაპამ თავის საყარაულო ქოხში წაიყვანა. იქაურობა გააცნო. დაჰყავდა ტყეში. კბილამთას შორიდან მოჰკრა თვალი, ძაბრივით აზიდული, ტყიანი, თავმოშიშვლებული მთაა, თეთრი კლდოვანი წვერო სიმწვანიდან ცალი კბილივით ამოშვერილი აქვს.

— რატომ იღუპებაო? — იკითხა ბიჭმა.

— რა ვიცი, შვილო, არ უთქვამს, აღარც მე ჩავციებივარ. გგონია, მაშინვე ჩამიჩიკჩიკებდა? — უპასუხა ბებიამ.

გუბაზმა ცემენტის აუზის მახლობლად ფიცარწაფარებული ორმო მოძებნა, შიგ ხელი ჩაყო და საკონტროლო ონკანის გადაკეტვა სცადა. ონკანი ჟანგს გაემაგრებინა. ბიჭმა ყუთში გაზი მოძებნა, იმით იმდენი აწვალა ონკანის სახელური, რომ აამოძრავა, ჩახრახნა და წყალი შეწყდა.

— ჯერ პური გეჭამა, მერე ეგ გაგეკეთებინა! — გადმოსძახა აივნიდან ბებიამ.

— ორი წუთი მადროვე! — სთხოვა ბიჭმა. მართლაც ორიოდე წუთში ძველი ონკანი ახლით შეცვალა და წყალმა ნორმალურად დაიწყო დენა.

მარიამი ეზოში ჩავიდა, ახალი ონკანი შეამოწმა, მოეწონა. მეტად ნასიამოვნები ლოცავდა შვილიშვილს. ახლა პირი, ქვევით მეზობელი რომ ცხოვრობდა, იქით მიაბრუნა და ხმამაღლა ალაპარაკდა:

— ე, გაუგებრებო, ეხლაც იჩივლეთ საბჭოში! გეგონება, ალაზანი შემოგვივარდაო, იმისთანა ამბავი გქონდათ! ეგე, ხო გაკეთდა, მოისვენეთ და დაიწყნარეთ ნერვები.

გუბაზმა ონკანთან ხელები გადაიბანა. მარიამმა ქათქათა პირსაწმენდი მისცა გასამშრალებლად და ორივენი აივანზე ავიდნენ.

იფ, რა სუფრა გაეშალა ბებიას! მაგიდის შუაში კოხტად დაჭრილი შოთი პურით სავსე ხის ხონჩა იდგა. იმის გვერდით, ჭარხლით შეწითლებული კომბოსტოს მწნილი იწონებდა თავს, ემალის ჯამში ახლადმოკრეფილი, გარეცხილი ტარხუნა, ოხრახუში და წიწმატი მწვანედ ხასხასებდა. მათლაფიდან პიტნისა და ქინძის სუნს აკმევდა კვერცხით შენელებული მწვანე ლობიო. თეფშზე თხლად დაჭრილ გუდის ყველს ნასვრეტებიდან ყვითლად ერბო გადმოსდიოდა.

გუბაზმა მწვანე ლობიო გადაიღო და მადიანად დაიწყო ჭამა. ბებიამ თიხის კოკურით წყალი და ჭიქა დადგა მაგიდაზე, თვითონ შორიახლო ტახტზე ჩამოჯდა და სიყვარულით სავსე თვალებით გუბაზს შეაცქერდა.

— ბიჭო, რაღა არ ვიყბედე და ერთი ხეირიანად ვერა გკითხე, როგორ არიან შენი მშობლები, რატო ი კუდრაჭა გოგო, ჩემი მარიკელა არ წამოიყვანე, რა ძალიან მომანატრა თავი. არ შეიძლებოდა, რომ წრეულს აქ, სოფელში დაესვენა?

— ზღვაზე წავიდნენ, ბებო!

— ვიცი, განა არ ვიცი, რომ იქ არიან! ამას წინათ დედაშენს ტელეფონზე ველაპარაკე. ნეტავი რა თავპირს მიიმტვრევენ ზღვაზე, ამბობენ, მოწამლულიაო, აღარც წყალია ჯანსაღი, აღარც თევზიო. იმ საწამლა-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიანში მობანავე ადამიანს რაღა მოუვა, შვილო. მაინც რაო, რა სწამლავს იმოდენა ზღვას?

— ქიმიური ქარხნებით დაჭუჭყიანებული მდინარეები. თითქმის ყველა მდინარე ხომ ზღვაში ჩაედინება?!

— ხოდა, ქა, მა ეგეთი უთავობა გამიგონია? ის ქარხნები ისე არ უნდა ააშენონ, რომ მდინარეები არ მოიწამლოს და არც ზღვას დაუშავდეს რამე? თუმცა რაღა შორს წავიდეთ, შვილო, ავიღოთ ჩვენი სოფელი. ადრე ამ ჩვენს ონკანში სულ ბროლივით გამჭვირვალე, კამკამა წყალი მოდიოდა. რაც სოფლიდან ხალხი აიყარა და ქვევით, ალაზნის ველისკენ ჩაივაკა, ამ წყლის სათავეს ყურადღებას აღარავინ აქცევს. გაწვიმდება თუ არა, ონკანში ამღვრეული თიხასავით ყვითელი წყალი წამოვა ხოლმე. ჩანს, სათავეში ნიაღვარი პოულობს გზას და სასმელ წყალს ერევა.

— მერე, არავის გააგებინეთ, რომ სათავისათვის მიეხედათ? — დაინტერესდა გუბაზი.

— როგორ არა, შვილო, პაპაშენიც იყო საბჭოში, კულაანთ შაქრიაც და სოლომანაანთ გოგიაც. მოაწესრიგეთ სათავე, თორემ ერთხელაც ჭუჭყიანი წყალი ბოლოს მოგვიღებს ამ ორიოდე ღერ კომლსაო. მაგრამ ვინ დაუგდო ყური? მარტო გვპირდებიან, აი დღეს გავაკეთებთ, აი ხვალეო... .

გუბაზმა ცარიელი თეშფი გვერდზე გააცურა და იკითხა:

— სანდრო პაპა რამდენი ხანია შინ არ ყოფილა?

— ორი დღის წინ შემოიარა, სატყეო მეურნეობაში კრებაზე ყოფილა, მალევე წავიდა საყარაულოზე.



— ძალიან მინდა პაპას ნახვა!

— შენ კი გენაცვალე, მოგენატრა, ბიჭო? იმასაც ენატრები. იმ დღეს, მოვიდა თუ არა, მაშინვე მკითხა: გუბაზი ხომ არ ჩამოვიდაო?

— უნდა წავიდე, ბებია!

— სადა, შვილო?!

— პაპასთან!

— ი, რას ამბობ, იმ სიშორეზე?

— ავტობუსით ნახევარი საათის სავალია.

— მერე ავტობუსიდან რომ ჩამოხვალ, ფეხით ტყეტყე რამდენია სავალი?!

— ორი კილომეტრი არ იქნება.

— დაისვენე და ხვალ დილით გრილზე წადი.

— ხო დავისვენე!

— კარგი, თუ არ გეზარება!

გუბაზმა ეზოში მიტოვებული ჩემოდანი აივანზე აიტანა, იქიდან ქაღალდში შეხვეული ძეხვი და ნამცხვრებით სავსე პარკი ამოიღო. ნაწილი სანდრო პაპასთვის წასაღებად გადადო გვერდზე, ნაწილი ბებიას დაუტოვა. ამასობაში მარიამმა შავი ნაჭრის ჩანთა მოძებნა, შიგ ალუმინის პატარა ქვაბით მწვანე ლობიო, ყველი, მწვანილი, შოთი პურები ჩააწყო და გუბაზს მისცა, ვიცი, ამაღამ იქ დარჩები, ვახშმად გექნებათო.

გუბაზმა ჩანთას ხელი დაავლო, კიბე ჩაირბინა და სახლის უკან ფერდობზე ამავალ ბილიკს შეუყვა. ფეხდაფეხ ძაღლიც აეტუნტულა, მაგრამ ბიჭმა დატუქსა, შინ წადიო და იმანაც კუდი ამოიძუა, უკან დაბრუნდა, ეზოში მდგომ მარიამს ფეხებთან მიუწვა.

— ი კაცს უთხარი, ყურადღება მოგაქციოს. მარტო არ დაგტოვოს, ბიჭო, თბილად დაგახუროს, იქ ტყეა, ღამე გრილია და თავი არ გაიცივო! — მისძახოდა მარიამი შვილიშვილს.

— ნუ გეფიქრება, ბები, სანდრო პაპასთან არაფერი გამიჭირდება! — გაეპასუხა გუბაზი და სოფლის გზაზე გავიდა კიდეც. თვალით გზის პირას ხის ჩრდილი მოძებნა, ჩანთა ფეხებთან მიიდგა, რომ არ გადაბრუნებულიყო და იმ მხარეს დაიწყო ცქერა, საიდანაც ავტობუსს მოელოდა.

ორი-სამი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ გუბაზს მარჯვენა ყურის ზემოთ რაღაც მაგრად, მტკივნეულად მოხვდა. თვალი შეასწრო — მკვახე ქლიავი იყო. ძირს დაცემული პინგ-პონგის ბურთივით ახტა-დახტა და წამოყელყელებულ ჭინჭრებში გაუჩინარდა.

ბიჭი უმალ იმ მხარეს შებრუნდა, საითაც ქლიავის მსროლელი უნდა დაენახა, მაგრამ ვერავინ შენიშნა. მისგან ათიოდე მეტრის მოშორებით, გზის გაღმა კრამიტის სახურავიანი, ორსართულიანი ძველი სახლი იდგა. მერცხლის ბუდესავით მიდგმულ, ხის რიკულებიან, დიდი ხნის შეუღებავ აივანზე ძეხორციელი არავინ ჩანდა. აივნის ორ სვეტს შორის გაბმულ მავთულზე გაკიდულ, ლიმონივით ყვითელ ჩითის კაბასა და ჯინსის შარვალს ნიავი აფრიალებდა.

გუბაზს აივნისათვის თვალი არ მოუშორებია. დარწმუნებული იყო, ის ვიღაც სწორედ აივნიდან გაუმასპინძლდა ქვასავით მაგარი ქლიავით, მაგრამ ვინ იქნებოდა? იმ სახლში შარშან არავინ დაუნახავს, არც დიდი, არც პატარა; ჩანს, წლეულს ჩასახლდა ვიღაც. ვინც არ უნდა იყოს, ეს რა ხუმრობააო, გაიფიქრა, და შუბლშეკრულმა ბრაზნარევი ხმით დაიძახა:

— ვინ ისროლა ქლიავი?

— გეწყინა თუ გეტკინა?! — მოისმა პასუხი. ხმა გოგონასი იყო.

ბიჭს გაუკვირდა, თვალები დააჭყიტა, ეგონა, აივან-

ზე ვინმე გამოჩნდებოდა კიდეც. ის კი არ ჩნდებოდა, სადღაც მიკუჭული იცინოდა. ხან თავშეკავებული ფხუკუნი. ხან კისკისი მოისმოდა.

— მასხარად მიგდებს, — დაასკვნა გუბაზმა და კიდევ უფრო შეურაცხყოფილად იგრძნო თავი. — რას იცინი, თუ ამოგივარდი მაღლა, ერთი მაგრად მიგაბალიშებ!

მუქარამ გაჭრა თუ იმასაც მობეზრდა კუკუმალობიას თამაში, რიკულებს იქიდან ჯერ ცეცხლივით წითელთმიანი თავი გამოჩნდა, მერე ორი შიშველი, მზედაკრული მკლავი დაეყრდნო მოაჯირს და აივანზე ლურჯწინწკლებიან, თეთრ უსახელოებო კაბაში გამოწყობილი, თოჯინასავით ლამაზი ცისფერთვალა გოგონა გამოჩნდა. ტუჩებს მაგრად კუმავდა, რომ არ გასცინებოდა.



ბიჭს თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, წყენამ უცებ გაუარა, შუბლი გაეხსნა, დაირცხვინა კიდეც.

— ბიჭი მეგონე!

— ბიჭი რომ ვყოფილიყავი, რას მიზამდი? მიმაბალიშებდი არა? — გაიცინა გოგონამ.

— გცემდი!

— თუკი გაგეხუმრე?

— კაი ხუმრობაა, — გაიღიმა გუბაზმა, — ქლიავი ქვასავით მომხვდა!

— მაპატიე, ისე ვისროლე, თავში არ დამიმიზნებია!

— არა უშავს!

— შენ მარიამ ბებიას შვილიშვილი ხარ?

— დიახ.

— მაშინვე მივხვდი, როგორც კი დაგინახე. იცი, რამდენს გელოდებოდა ბებიაშენი? ჩემი გუბაზი უნდა ჩამოვიდესო. დილას მაგ ადგილას გიცდიდა.

გუბაზს გოგონა ისე მოეწონა, გულში ნატრობდა, ნეტავი ავტობუსმა დაიგვიანოს, ცოტა ხანს კიდევ ვესაუბროო.

— მე ერთი კვირის წინ ჩამოვედი ქალაქიდან, — თქვა გოგონამ და მავთულზე გაკიდულ კაბას ხელი შეავლო, გამშრალა თუ არაო.

— რა გქვიან? — ჰკითხა გუბაზმა.

— მერი.

— შარშან არ დამინახიხარ ამ სახლში, არც არავინ ცხოვრობდა!

— პატარაობაში ბევრჯერ ვყოფილვარ. რაც ბებია გარდაიცვალა, აქეთ მშობლებს აღარ წამოვუყვანივარ. რა ხანია, პაპაც ჩვენთანაა თბილისში, ეს სახლი გამოკეტილია. არც წლეულს აპირებდა ჩემი დედ-მამა სოფელში წამოსვლას, ბორჯომში უნდოდათ ზაფხულის გატარება, მაგრამ მე ავიტეხე, პაპას სახლში მინდა-მეთქი, და ვეღარ გადამათქმევინეს. ჩემი გულისთვის იმათაც შეიცვალეს აზრი. მალე შვებულებას აიღებენ და ისინიც სოფელში ჩამოვლენ.

— როდემდე აპირებ დარჩენას?

— სანამ სწავლა დაიწყება.

— მეც მთელი ზაფხული აქ ვიქნები. ჩემი მშობლები და უმცროსი და, მარიკა, ზღვაზე წავიდნენ, არ გავყევი!

— შენც აქ გირჩევნია, არა?

— ბებია და პაპა მელოდებიან, მარტო არიან, მე ძალიან მიყვარს ორივე; გარდა ამისა, სოფელში ცხოვრება უფრო მომწონს, ვიდრე ქალაქში. აქ ჩიტივით თავისუფალი ვარ.

შორიდან ავტომანქანის გუგუნის ხმა მოვიდა. გზის მოსახვევში წითელზოლებიანი თეთრი ავტობუსი გამოჩნდა.

— სადმე მიდიხარ? — გადმოსძახა გუბაზს მერიმ.

— ტყეში, სანდრო პაპასთან!

— იქ რას აკეთებს შენი პაპა?

— ტყისმცველია, ტყეს ყარაულობს!

— ნეტავი მეც მოვდიოდე!

გუბაზმა კინაღამ უთხრა, წამოდიო, მაგრამ ეუხერხულა, ბიჭი რომ ყოფილიყო, გაიყოლებდა კიდეც.

— იქამდე შორია, არ ვიცი, პაპა დამხვდება თუ არა, თორემ შენც წაგიყვანდი.

მტვრიანი, მზით გახურებული ავტობუსი გუბაზის ახლოს გაჩერდა. ბიჭმა ჩანთა აიღო. ნახვამდისო, დაემშვიდობა მერის. იმანაც ღიმილით ხელი დაუქნია და რაღაც უთხრა, ავტობუსის გუგუნში ბიჭმა ვერ გაიგონა.

ავტობუსში რამდენიმე მგზავრი იჯდა — სიცხისაგან მისავათებული, მთვლემარე სამი დედაკაცი და ერთი შუახნის თეთრთმიანი კაცი. თერთმიანი სახეგაღაჟღაჟებული მძღოლის გვერდით ყუთზე მოთავსებულიყო, პირში სიგარეტი გაეჩარა და თვალებმოჭუტული გზას გაჰყურებდა, რაღაცაზე გულმოსულ მძღოლს უსმენდა.

გუბაზი წინა კართან თავისუფალ ადგილზე ჩამოჯდა და ჩანთა გვერდით მოიდგა.

— ამისთანა მუშაობას მადლი არა აქვს, ძმაო. ამ გაგანია სიცხეში დავარახრახებ ცარიელ ავტობუსს. მივდი-მოვდივარ ამოდენა გზაზე და გეგმას სანახევროდ ვერ ვასრულებ. ვინ ვატარო, როცა ხალხი აღარ ცხოვრობს ამ მხარეს? ხომ ნახე, სოფელი გამოვიარეთ, აბა, ვინ ამოვიდა ავტობუსში, მარტო ეგ ბიჭი... თითო-

ოროლა შაურით მე გეგმის შემსრულებელი ვარ? გუშინაც ჩხუბი მომივიდა უფროსთან, იმ გამოცარიელებულ სოფლებზე ველარ ვივლი, რეისი შემიცვალეთ-მეთქი. თუ გინდა იმუშავე, თუ არა და გასაღები დადეო, — გადაუშალა მძღოლმა გულის დარდები თეთრთმიანს.

— გასაღებს დადებ და ემანდ მალე არ იშოვო სამუშაო, — მიუგო თეთრთმიანმა.

— მეც მანდა ვარ, კაპიკს დამანატრებენ!

სოფელს რომ გასცდნენ, ერთი წვეროსანი ახალგაზრდა კიდევ შემოემატათ.

— ამ გარდაქმნამაც ვერ უშველა თქვენ უფროსობას?! — იკითხა თეთრთმიანმა კაცმა და რატომღაც გაიცინა.

მძღოლმა იმედდაკარგულივით ხელი ჩაიქნია და თქვა:

— ეე, ჩვენს ავტოსაწარმოში მარტო ბრტყელ-ბრტყელს ლაპარაკობენ; გარდაქმნაა, ძველებურად ცხოვრება არ შეიძლებაო. მე რა გარდაქმნა მინდა, კაცო. ოცი წელია, ავტობუსი დამყავს, ქვეყანას პატიოსნად ვემსახურები. მაგათ თავიანთი თქვან, ახალ ავტობუსზე რომ დავსვან და შემოსავლიან რეისებში გაგუშვან, ფული უნდა მისცე. ცხოვრობენ გემრიელად. ქვაცა აქვთ და კაკალიც. მე რა, ძმაო! კიდევ კარგი, ძველებურად პირს არ გვიკერავენ, ლაპარაკი მაინც შეგვიძლია, სიმართლეს მივახლით ხოლმე პირში და გულის ჯავრს ამოვიღებთ. ეგ არის და ეგ. მაგით ჩემი მდგომარეობა არ იცვლება, დავხრიგინებ ამ გატიალებულ გზებზე, გამოცარიელებულ სოფლებში, დღეში ოთხი-ხუთი რეისი ადვილია?

— ამბობენ, ეს ნასოფლარები ისევ აღორძინდებაო, — თქვა თეთრთმიანმა.

— ხო, მსურველები ყოფილან. ვანაანს იქით მთის ფერდობზე ახალი სახლები შენდება, სავენახე ადგილები მიუზომეს ხალხს.

ავტობუსი მიხვეულ-მოხვეულ გზაზე დაეშვა.

გუბაზი ყურს უგდებდა მძღოლისა და თეთრთმიანი კაცის საუბარს, თან ღია ფანჯრებიდან გარეთ იყურებოდა. გზის ორივე მხარეს ტყიანი გორაკების ფერდობები სცვლიდა ერთმანეთს. ჩრდილიანი მოსახვევებიდან ფანჯარაში უცებ გრილი, ტყის ნიავი შემოიჭრებოდა, ბიჭს მოკლემკლავება თეთრი ხალათის საყელოში უძვრებოდა და ოფლიან სხეულზე საამურად ელამუნებოდა.

მიხვეულ-მოხვეული გზა დამთავრდა. ავტობუსი მშრალ, რიყისა და მიწის მტვრისაგან გადაყვითლებულ ფართო ხეობაში შევიდა. ნიაღვრებისაგან დაზიანებულ, ბუნების ანაბარა მიტოვებულ ოღროჩოღრო გზაზე უარესად დაიწყო ჯაყჯაყი. ისე ლაყლაყებდა, მთვლემარე დედაკაცები გამოფხიზლდნენ, წინა სკამების საზურგეებს დაებღაუჭნენ. კიდევ კარგი, ხევში სავალი მანძილი მოკლე აღმოჩნდა. ავტობუსმა ხეობა უკან მოიტოვა და ასფალტის გზას ღმუილით გაუყვა.

შორს აღარ იყო ის ადგილი, სადაც გუბაზი აპირებდა ჩასვლას. კარგად ახსოვს: გზის მარცხნივ მუხა იდგა, შარშან პაპას რომ გამოჰყვა, დაამახსოვრდა. საყარაულოსკენ მიმავალი ბილიკი იმ მუხიდან იწყებოდა.

აგერ მუხაც. გუბაზმა ჩანთა აიღო.

— ძია, იმ მუხასთან გამიჩერეთ, რა!

ავტობუსი დამუხრუჭდა.

— სად მიდის ეს ბიჭი? — თავისთვის ხმამაღლა წაილაპარაკა მძღოლმა.

— აქ ვისთან მიდიხარ, ყმაწვილო? — დაინტერესდა თეთრთმიანი, რადგან ახლომახლო სოფელი არ ეგულებოდა, კაციშვილი არ ცხოვრობდა.

— სანდრო პაპასთან მივდივარ, — უპასუხა გუბაზმა და ჯიბიდან ხურდა ფული ამოიღო.

— სანდრო პაპა? — ვერ მიხვდა თეთრთმიანი.

— ტყისმცველია ჩემი პაპა, — გუბაზმა ფულის მისაცემად მძღოლისკენ ხელი გაიწოდა.

— ბოდიშს ვიხდი და სადაური ბიჭი ხარ? — ჰკითხა მძღოლმა, ფულის გამორთმევას არ ჩქარობდა.

— თბილისელი ვარ, პაპასთან ჩამოვედი სტუმრად.

— ტყისმცველი? ვიცი, ვიცი, რკინის კეტი? — მხიარულად შესძახა თეთრთმიანმა. — მაგის საყარაულო



ქოხი აქედან ორ კილომეტრზეა, სწორედ კბილამთის ძირშია.

— იცნობ იმ კაცს? — გადაულაპარაკა მძღოლმა თეთრთმიანს.

— ვიცნობ, მაგარი ვინმეა! მაგასთან არც მეგობრობა სჭრის, არც მეზობლობა, ვერც ფულითა და პურმარილით მოისყიდი, ერთ ხეს არ მოგაჭრევინებს ტყეში!

— კარგი კაცი ყოფილა, პატიოსანი! — თქვა მძღოლმა და გუბაზს გამოწვდილი ხელი უკან წააღებინა, — ჩადი, შვილო!

— ფული აიღეთ.

— ჩადი, სტუმარი ყოფილხარ, მე სტუმრები უფასოდ დამყავს, — გაუღიმა მძღოლმა ბიჭს და სიჩქარის ბერკეტს ხელი ჩაავლო.

გუბაზმა მადლობა გადაუხადა მძღოლს და ავტობუსიდან ძირს ჩახტა.

ავტობუსი დაიძრა. გუბაზმა გზა გადაჭრა და ტყის ფართო ბილიკს ფეხმარდად გაუყვა.

ტყე შრიალ-შრიალით, სასიამოვნო სიგრილითა და ფრინველთა ჭიკჭიკ-გალობით შეეგება გუბაზს. ნაირფერი ყვავილები მათრობელა სუნს აკმევდნენ. ბზუოდნენ მწერები. აქა-იქ ფრთახატულა პეპლები დაფარფატებდნენ. მაღალ, სწორ რცხილებს, შიგადაშიგ შერეულ მუხებს, ნეკერჩხლებსა და თელებს ტოტები ერთმანეთში გადაეხლართათ, ცა ქოლგასავით შეეკრათ. მათ ქვეშ მიმავალი შარშანდელი ხმელი ფოთლებით და ხის წვრილი წოწკებით მოფენილი გზა აკვარელით ნახატს ჰგავდა.

გუბაზი რაც წინ მიიწევდა, ტყე უფრო დაბურული და იდუმალებით მოცული ხდებოდა. ერთგან ძირს წაქცეული, გამხმარი ხე შემოხვდა. ეტყობოდა, გზას ხერგავდა და ვიღაცას ცულით გადაეჭრა. ბიჭმა ჩანთა ძირს დადო, წვრილიანში გაძვრა და შაშვიც ჭახჭახით წამოუფრინდა. ბიჭმა ერთ წამს შაშვს თვალი გააყოლა, მერე ძირფესვიანად ამობრუნებულ ხეზე ავიდა, ზედ გაიარ-გამოიარა. ვაჟა-ფშაველას „ხმელი წიფელი" გაახსენდა. ლამის ზეპირად იცოდა ეს მოთხრობა: „საბრალო წიფელი, ერთი დრო იყო, რომ ესეც ამაყად გაბარჯღული იდგა, სხვა ხეებს ბევრად მაღლა ასცილებოდა და თავის დიდრონი ტოტებითა და ფოთლებით ქოხივით ეხურა მთელ ტყეს".

— კაკ-კუკ, კაკ-კუკ! — მოისმა კაკუნი. ბიჭი იქით შებრუნდა, საიდანაც კაკუნის ხმა მოდიოდა. ღიჭის ბარდებში ამოზრდილ ბებერ რცხილას ზროზე კოდალა მისჯდომოდა და შავი, წვეტიანი ნისკარტით მერქანს ჩიჩქნიდა. ტყის პატარა სანიტარი ენერგიულად მუშაობდა. მერქნის ჭიანაჭამ ღრუდან გამოჰქონდა ნაჩიჩქნი. თან არც ის ავიწყდებოდა, ფრთხილად ყოფილიყო, ფათერაკს რასმე არ გადაჰყროდა. ბიჭმა იცოდა, რომ კოდალას ყველაზე დიდი მტერი ციყვია, ფუტუროში თავჩარგულ, ჭიის ძებნაში გართულ ამ პატარა, მოუსვენარ ფრინველს ადვილად იჭერს და ჭამს. ზოგჯერ მიმინოც ჩამოუქროლებს და თან წააწიალებს. ამიტომაც კოდალა დროდადრო შეწყვეტდა ხოლმე ხის ჩიჩქნას და გარემოს ზვერავდა. გუბაზს ასე მოეჩვენა, რომ შავ-წითელი ბუმბულით შემკულმა ჩიტმა ისიც შენიშნა, წამიერად გამოხედა და ისევ საქმეს მიუბრუნდა. როგორც იქნა, მიაგნო, რასაც ეძებდა. ნისკარტით თეთრი, მსუქანი მატლი ამოათრია, გაფრინდა და ნანადირევი თან წაიღო.

გუბაზი ხიდან ჩამოხტა. გზაზე გამოვიდა. ჩანთა აიღო და, თითქოს ცხელ რკინას შეახო ხელიო, უმალ ძირს დადო. ხელზე უამრავი, მსხვილი, მოყავისფრო ჭიანჭველები შეაცოცდნენ, კბენა დაუწყეს. ისინი ხელიდან მალე მოიცილა, ჩამოიბერტყა, მაგრამ რაც ჩანთაში ნახა, მტრის კარს. ტყის პაწაწინა ყაჩაღები საჭმელს დახვეოდნენ, მაგარი ყბებით ძეხვსა და პურს სძიძგნიდნენ, ყველის თეთრი ნამცეცები მაღლა ამოჰქონდათ.

— საიდან გაჩნდნენ ასე მალე?! — ჩაილაპარაკა გაოცებულმა ბიჭმა. ჩანთა სხვა ადგილას გადაიტანა. რაც შიგ რამე იყო, ამოალაგა, დაბერტყა. გასუფთავებული სანოვაგე ისევ შიგ ჩააწყო და გზა განაგრძო.

ნურავინ დაიკვეხნის, რომ ტყეში, ისიც უცხო ადგილას, უიარაღოდ, მარტოდმარტო, როგორც მინდა, ისე გავივლიო. ტყე მაინც შეგაფიქრიანებს. გულში შიშს შემოგაპარებს. აბა, წარმოიდგინე: ხის ტოტებს ცა დაუფარავთ, მზის სხივი იშვიათად იჭვრიტება ხეთა გუმბათიდან. ტყის ხუჭუჭა ქოჩორზე ცელქი ნიავი დათარეშობს ან ქარი მძლავრობს, ტოტებს ერთმანეთს ახლის, და ტყე ხმაურობს, გუგუნებს, ან თვლემამორეულივით სულ მიჩუმათდება, იდუმალება ისადგურებს ირგვლივ. ისეთი სიმშვიდეა, ისეთი სიწყნარე, ხმელ ფოთლებში ხოჭოს ფაჩუნს გაიგონებ. გარკვევით ისმის, რომელ მხარეს გაირბინა ცუდაპრეხილმა თრითინამ, სად დაეცა ხიდან ჩამოვარდნილი ხმელი ტოტი. გულმშვიდად ვერ დარჩები, უცებ თავზე ჩხიკვი რომ დაგჩხავლებს. რა იყო, რა გული გამიხეთქე, შე დალოცვილო, უსაყვედურებ. მოკლედ, ბევრი ამისთანა ტყიური ხმები თუ არ მოგისმენია და მიჩვეული არა ხარ, ეცდები, მალე დააღწიო ტყეს თავი, მალე გახვიდე ტევრიდან.

გუბაზი ფეხმარდად მისდევდა ტყის მიხვეულ-მოხვეულ გზას. ეგონა, დიდი მანძილი გავიარე, სადაცაა, ტყეს თავს დავაღწევო, მაგრამ მწვანე დერეფანს ბოლო არ უჩანდა. შარშან სანდრო პაპას ამ გზით გამოჰყვა საყარაულოში. პაპამ ისიც უთხრა, აქ ნადირი არ იცის, დიდი ხანია დათვი გადაშენდა და მგელმა სხვა ადგილები მოძებნა, მინდვრად, მეცხოველეობის ფერმებთან დაიდო ბინაო.

გულმა მაინც ბაგაბუგს მოუმატა. ერთხანს მოეჩვენა, რომ გზა აერია. შეჩერდა, შემკრთალმა უკან მიიხედა. მერე ის სანიშნოდ მდგომი მუხა და თეთრთმიანი კაცის ნათქვამი გაიხსენა: „მაგის საყარაულო ქოხი აქედან ორ კილომეტრზე, სწორედ კბილამთის ძირშია". მაშ სწორად მიდის. ცოტა იმედი მიეცა, გასამხნევებლად წაიღიღინა. არ გამოუვიდა, ტყის სიჩუმეში მისი ხმა უსიამოვნოდ გაისმა. ისევ დუმილი არჩია და ინანა, რატომ ჯაბოც არ გამოვიყოლე, გვერდითაც მეყოლებოდა და პაპასაც ვასიამოვნებდი, ძაღლი ხომ აღარ ჰყავსო. ნეტავი ვინ გაიმეტა და მოიცილა ჯაბო თავიდან? შეიძლება მართლა მწყემსებს ჩამორჩა, ველარ მიაგნო მათ კვალს და მარიამ ბებიას მიეკედლა.

„მერისაც უნდოდა წამოსვლა", — გაიფიქრა ბიჭმა. ისიც რომ გვერდით მოჰყვებოდეს, მაშინ არც ტყე შეაფიქრიანებდა გუბაზს და არც გზა მოეჩვენებოდა გრძელი.

თანაკლასელი გოგონები გაახსენდა. თვალწინ წარმოუდგნენ ქეთინო, თამრიკო, მანანა, მაია... თითქოს ბუჩქებიდან უთვალთვალებენ. რა გაოცებული სახეები აქვთ, ამ დაბურულ ტყეში რა უნდა მარტოდმარტოსო, ჩურჩულებენ.

— ტყის მეფესთან, სანდრო პაპასთან მივდივარ! — პასუხობს გუბაზი. ეამაყება, რომ ამ ხეებს, ბუჩქებს და ტყის ბინადართ მისი პაპა უდგას დარაჯად.

სულ ახლოს, გვერდით, რაღაცამ გაიხმიანა. გუბაზი შედგა. სმენად იქცა. ხმა გამეორდა. დაკლული ქათმის ფართხალსა ჰგავდა. შაშვი ან ჩხიკვი რომ ყოფილიყო, ჭახჭახითა და ჩხავილით იქაურობას აიკლებდნენ. იმ მიმართულებით, საიდანაც ხმაური მოისმოდა, თხილის ორ ბუჩქს შორის ბალახგათელილი ბილიკი შენიშნა, გულში შეპარული შიშის გრძნობას ცნობისმოყვარეობამ სძლია. თავი დაღუნა, თხილებში გაძვრა და კატასავით ფრთხილად, ფეხაკრეფით ბილიკზე გავიდა. მიდიოდა უხმაუროდ, სმენადაძაბული. მოულოდნელად, ბილიკზე გადმოწეული ზღმარტლის ტოტებქვეშ ფრთებგაფარჩხულ მამალ ხოხობს წააწყდა. ხოხობს ცისარტყელასავით ლამაზი ბუმბულით შემოსილი ყე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ცალ მხარეს მოჭქცეოდა, ნისკარტი დაეღო და პირი აქაფებული, სისხლნარევი ლორწოთი ავსებოდა.

გუბაზს ხოხობი დაჭრილი ეგონა. ასაყვანად ხელები გაიწოდა და უცებ ნახა, რაც სჭირდა ფრინველს: პირში კაპრონის წვრილი ძაფი მოუჩანდა; ძაფს ერთი ბოლო ყელში ჰქონდა გამოდებული, ხოლო მეორე ბოლო ვილაცას ზღმარტლის ტოტზე მაგრად მიეკვანძა.

ბიჭმა ტოტს ძაფი შეხსნა, ხოხობი მუხლებზუა მოიმწყვდია, რომ ფართხალი არ დაეწყო. პირში ნეკა თითი ჩაუყო, ლორწო ამოუწმინდა და შიგ ჩახედა. იმისთანა რამე არც ენახა და არც გაეგონა: ფრინველს ენის უკან, ყელში სიმინდის მარცვალწამოცმული ანკესის წვერი ჰქონდა ამოყრილი.

ვილაცას უთოფოდ, უხმაუროდ ენადირა. გუბაზმა ხოხობს ანკესი ფრთხილად ამოაცალა, ხელი გაუშვა. ხოხობი მოწუსხულივით გაირინდა, წასვლას არ აპირებდა, ლამაზი კისერი წინ გაეწვდინა და ვინ იცის, ასე როდემდე დარჩებოდა, რომ გუბაზს მის დასაფრთხობად ტაში არ შემოეკრა. ტაშის ხმა ხეზე დაკრული ცულივით გახმიანდა და ხოხობიც ზღმარტლის ტოტებქვეშ სწრაფად შეფრთხიალდა, ბუჩქებში გაუჩინარდა.

ხოხობთან შეხვედრამ ბიჭი გააგულადა. წეღანდელი ჩუმი შიში გაუქრა. რა დაემართა, რატომ აღარ ეჩვენება უცხოდ ტყე? გუბაზი ამის პასუხს იმ დროს ვერ გეტყოდათ; ვერც იმას გეტყოდათ, რამ მისცა იმდენი გაბედულება, რომ ვილაცაზე გულმოსული ფეხით ქელავდა ბილიკზე გაკეთებულ ფრინველის სატყუარას. ბალახგაგლეჯილ, მოტკეპნილ მიწაზე სიმინდის მარცვლები და მარცვალწამოცმული, თევზის საჭერი წვრილი ანკესები ეყარა. ბილიკზე კიდევ ორ ადგილას იპოვნა მახე. ხის ძირებზე, დაბლა დახრილ ტოტებზე გამობმული ანკესები შეხსნა. თხილის ფოთლებში გაახვია და შარვლის ჯიბეში ჩაიდო, რომ სანდრო პაპასთვის ეჩვენებინა.

ბილიკი ღრმა, ბარდებით ჩაბნელებულ ღელესთან მთავრდებოდა. გუბაზი სწრაფად გამობრუნდა. ჩანთა გაახსენდა. სადაც ხოხობი გამოხსნა ანკესიდან, იქვე იპოვნა.

— ტყე მუდამ მოულოდნელობებით, ათასგვარი საოცრებებით არის სავსე. ტყე ზღაპრულ წიგნსა ჰგავს — რამდენიც გინდა იკითხო, უსასრულოა მისი შინაარსი. ფურცელს ფურცელი ემატება, ამბავს — ამბავი... რასაც შენი თვალით ნახავ, უშუალოდ განიცდი და შეიგრძნობ, იმ სიამოვნებას და სულიერ კმაყოფილებას ვერც ტელევიზორი მოგანიჭებს, ვერც კინო, — უთხრა ერთხელ სანდრო პაპამ გუბაზს. მართლაც, რა მოულოდნელი იყო სასიკვდილოდ განწირულ ხოხობთან შეხვედრა.

იმ კეთილმა გრძნობამ, ხოხობი რომ გადაარჩინა, შიში გაუქრო, გაათამამა და კმაყოფილება მიანიჭა. ახლა, რაც არ უნდა გაგრძელებულიყო გზა, გუბაზი გაბედულად ივლიდა წინ.

ბილიკის დარჩენილი ნაწილი თამამად გაიარა, გზაზე გავიდა და ფეხი შეაყენა. მის წინ ვილაც გაუპარსავი, შავ, გახუნებულ ლაბადაში გახვეული კაცი იდგა. მხარზე მწვანე ნაჭრის ჭუჭყიანი აბგა გადაეკიდა. თავზე ფართოფარფლიანი ჰილის ძველი ქუდი ჩამოეფხატა, საიდანაც დიდი ხნის გაუკრეჭავი თმა გამოსჩროდა. მომწვანო, ფართოდდაღებული თვალები ბიჭისთვის მიეშტერებინა.

გაგრძელება მომდევნო ნომერში

ლ ი ა  ა ხ ა თ ი ა ნ ი

## გამეორება უცხოეთის ცასა

(ლათინური ანდაზა)

ამოზრდილნი საქართველოს
მშობლიური ტომიდან
არ ვივიწყებთ, მაგრამ მაინც
გახსენება მომინდა:
ქება უნდა გვიხაროდეს,
მაგრამ არა ყალბი,
გულში გვქონდეს ტკივილებად
სამშობლოზე დარდი
და ცრუ კეთილის მსურველებს
უნდა მოვერიდოთ,
ხელგაშლილი ვართო, რაც გვაქვს,
სხვებს არ დავურიგოთ.
ნურც ჩვენს მიწას ნუღარ ვაქცევთ
გასათელავ ლელოდ
და სიცოცხლეს თუ შევწირავთ —
მხოლოდ საქართველოს.

## ნოსტალგიის შიში

მიფრინავს ლაინერი,
ძლიერი ქარი ქრის,
ფოლადის მძლავრი ფრთების
ქავლები ჰაერს ჭრის.
ბამბის ქულების მსგავსი
ღრუბლები დააქვს ქარს,
ზემოდან თოვინების
ტოლს ვხედავ:
თბილისს, მტკვარს.
კავკასიონის ქედს და
ზღაპრულს დავცქერი ზღვას,
ლამაზს, ამაზე მეტად
რას დამანახვებს ცა?
საქართველოდან
შორს მყოფთ —
ნოსტალგია რომ სჭირთ,
დღეს თანავუგრძნობ, ზენავ,
შენ დააბრუნე შინ!



ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ მრავალ თქვენგანს უნახავს ძველი ქართული ასოები, ზოგს სკოლაში ან შინ უსწავლია ძველი ქართულის წერა და კითხვა.

ჩვენთვის ცნობილი ეპოქების მანძილზე შემუშავებულია ქართული ანბანის სამი სახეობა: ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი (ანუ მრგლოვანი), ნ უ ს ხ უ რ ი და მ ხ ე დ რ უ ლ ი.

ახლა რამდენიმე შენიშვნა ძველ ქართულ ანბანთან დაკავშირებით. როგორც დავინახეთ, ასომთავრულსა და ნუსხურში არის რამდენიმე ისეთი ასო, რომლებიც მხედრულ ანბანს დღეს აღარ აქვს (ზოგი მათგანი მხედრულს თავიდან არ გააჩნდა და მოგვიანებით შემოიღეს, მაგალითად: ჲ, ჷ); Ⴡ, Ⴢ, Ⴓ, Ⴤ, ჵ. რა ფუნქცია ეკისრებოდა მათ? Ⴡ ნიშანი გამოხატავდა ბგერათა ჯგუფს, რომელიც შედგებოდა ე და ჲ ბგერებისაგან (ႻႡ=ძეჲ); Ⴢ გამოხატავდა ი-ს უმარცვლო სახეობას, რომელსაც ხშირად ნახევარხმოვანს უწოდებენ (ႣႠႢ-დაჲ); Ⴓ გადმოსცემდა ორ ბგერას: უმარცვლო უ-ს და ი-ს (ႬႠႻႳ=ნ ა ძ უ ი, თანამედ. ქართულით: ნ ა ძ ვ ი); Ⴤ აღნიშნავდა ხახისმიერ ბგერას, რომელიც შემდგომში ხ-ს შეერწყა; იგი შემონახულია აღმოსავლეთ საქართველოს ზოგი არეალის (განსაკუთრებით მთის) მეტყველებაში (ႤႤႪႨ=ხელი, ႤႭႰႺႨ=ხორცი და სხვ.) ძველი ქართულის ბოლო ასოა ჵ. იგი მეტად იშვიათად გამოიყენებოდა, იკითხებოდა როგორც ო. მისი სახელია ო ჰ ი და არა ჰ ო ჲ ან ჰ ო ე, როგორც ბევრს ჰგონია.

თქვენ ალბათ ყურადღება მიაქციეთ, რომ ძველი ქართული ასოების რიცხვში არ შეგვიტანია უ ბგერის გამომხატველი ნიშანი. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ უ ბგერა არ გამოიხატებოდა. საქმე ისაა, რომ უ ძველ ქართულში ორი ასოს — Ⴍ(ო) და Ⴓ(ჳ, ვიე) შეერთებით გადმოიცემოდა — ႭႳ. ამასთან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ႭႳ ნიშანი გამოხატავდა არა მარტო მარცვლოვან, არამედ უმარცვლო უ-საც (უმარცვლო უ-ს გამოსახატავად XVIII საუკუნიდან უ ასოს დამატებითი ნიშანი გაუკეთდა — უ̆). მაგალითად, სიტყვაში გული უ ნიშანი უ ხმოვანს გამოხატავს, ხოლო სიტყვაში გუ̆ერდი იგი თანხმოვანს (უმარცვლო უ̆-ს) გადმოსცემს.

თუ კარგად დავაკვირდებით ძველ ქართულ ანბანს, ადვილად შევნიშნავთ, რომ ასოთა დიდზე დიდი ნაწილი ერთ რამელიმე ბგერით ერთეულს გამოხატავს (ასეთებია: Ⴚ, Ⴓ, ჳ, Ⴒ და სხვ.). მაგრამ არის ორი ნიშანი, რომლებიც ორ ბგერით ერთეულს ასახავს, კერძოდ Ⴡ (-ეჲ) და Ⴓ(-ჳი). ეს, რა თქმა უნდა, გამონაკლისია და წარმოადგენს ქართული ანბანის ძირითადი ხაზიდან გადახვევას. ცხადია, კიდევ უფრო დიდი დარღვევაა ის, რომ ორი ნიშანი ერთ ბგერას გადმოსცემს (ႭႳ=უ). ამას ემატება ისიც (როგორც ზემოთ ითქვა), რომ ႭႳ შეიძლება გამოხატავდეს ხმოვან უ-ს ან თანხმოვან უ̆-ს. დასასრულს, აღვნიშნავთ იმასაც, რომ ქართული ანბანის ბოლო ასო — ჵ — ო-ს გადმოსცემს, ამრიგად: ო ბგერა ორგვარად შეიძლება გადმოიცეს — Ⴍ ან ჵ ასოთი.

ნათელია, რომ ამგვარი მოვლენები ქართული ანბანის გარკვეულ ნაკლს წარმოადგენს და ქვემოთ დავინახავთ, რომ ეს ნაკლი შეპირობებულია კონკრეტული მიზეზით.

იდეალურ ანბანად ისეთი ითვლება, რომლის ერთ ასოს ერთი ბგერა შეესაბამება და პირუკუ — ბგერა გამოხატულია ერთი ასოთი. ამ თვალსაზრისით თანამედროვე ქართული ანბანი სრულყოფილია. მასში ყოველი ცალკე აღებული ასო ცალკე ბგერას გამოხატავს და პირუკუ — ყოველი ბგერა ცალკე ნიშნითაა გადმოცემული.

ძველ ქართულში არ გვქონდა რიცხვების გამომხატველი ე. წ. არაბული და რომაული ნიშნები. რიცხვების აღსანიშნავად ასოებს იყენებდნენ (თითოეული ასოს რიცხვით მნიშვნელობას აქვე გავეცნობით). ასოები ოთხ ძირითად ჯგუფად იყოფოდა: 1) ერთეულთა გამომხატველნი (ანიდან თანამდე), 2) ათეულთა გამომხატველნი (ინიდან ჟანამდე), 3) ასეულთა გამომხატველნი (რაედან შინამდე), 4) ათასეულთა გამომხატველნი (ჩინიდან ჰაემდე). ოჰი ათი ათასს აღნიშნავდა, რიცხვების აღნიშვნის პრინციპი ისეთივე იყო, როგორიც დღეს გვაქვს: პირველი ადგილი უკავია ათასეულის გამომხატველ ასოს, შემდეგი — ასეულის აღმნიშვნელს, მას მისდევს ათეულის გადმომცემი ნიშანი. ბოლო ადგილი კი ერთეულის აღმნიშვნელ ასოს უჭირავს. მაგალითად, 1167 ძველი ქართულის ძეგლებში ასე გამოიხატებოდა ჩრჲზ, 549 — ფმთ, 35 — ლე, 6 — ვ.

ასომთავრული (მრგლოვანი) ანბანით შესრულებული წერილობითი ძეგლები უძველესია. V-IX საუკუნეების ჯერჯერობით ცნობილი ყველა წარწერა თუ ხელნაწერი შესრულებულია სწორედ ამ ანბანით. სახელწოდება ასომთავრული ნაწარმოებია ასომთავარ-ისაგან, რომელიც X-XI საუკუნეთა ერთ ხელნაწერში გვხვდება. ასომთავრული ანბანს იმიტომ ეწოდა, რომ იგი შედგება ნუსხურისა და მხედრულის ასოებთან შედარებით დიდი ზომის ასოებისაგან. ცხადია, ამგვარი სახელწოდება მოგვიანებით უნდა გაჩენილიყო (ნუსხური და მხედრული ანბანის ჩამოყალიბების შემდეგ). ასეთივე შეფასებითი ხასიათისაა ტერმინი მრგლოვანი. იგი XI საუკუნეში გვხვდება და კარგად აპირისპირებს მრგლოვანს ნუსხურსა და მხედრულთან. ასომთავრულ ასოებს ნუსხურთან და მხედრულთან შედარებით მრგლოვანი მოხაზულობა ახასიათებს.

ნუსხური დამწერლობის უძველესი ძეგლია ატენის სიონის ერთ-ერთი წარწერა. იგი თარიღდება 835 წლით. X-XI საუკუნეებში ნუსხური თანდათან ბატონდება. საქმე ისაა, რომ ნუსხური ასომთავრულთან შედარებით გაცილებით ეკონო-

მიური დამწერლობა იყო. საწერი მასალის ნაკლებობა, ერთი მხრივ, და წიგნების რაოდენობის ზრდა, მეორე მხრივ, ნუსხურის უპირატეს გავრცელებას უწყობდა ხელს.

XI საუკუნიდან უკვე ფართოდ იყენებენ მხედრულ ანბანს, რომლის ყველაზე ადრეულ ნიმუშებს X საუკუნით ათარიღებენ. მხედრული ანბანი ნუსხურთან შედარებით კიდევ უფრო ეკონომიური იყო იმ თვალსაზრისით, რომ ასოებს გაცილებით სწრაფად წერდნენ. ამას გარდა, მხედრული ანბანის ერთ-ერთი თავისებურებაა ასოთა გადაბმა.

ასომთავრული, ნუსხური და მხედრული ერთდროულად გამოიყენებოდა X-XVIII საუკუნეებში. ასომთავრული ანბანით გადაწერილი წიგნები XI საუკუნიდან აღარ გვხვდება, მაგრამ ასომთავრულით წერდნენ აბზაცებს, იყენებდნენ როგორც მოსართავს. ზოგჯერ რომელიმე ასომთავრული ასო მთელი გვერდის სიგრძეზეა ჩახატული. აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ XVIII საუკუნემდე წარწერები უმთავრესად ასომთავრულით გამოჰყავდათ.

უკვე X საუკუნიდან ნუსხური ანბანით იწერება უმნიშვნელოვანესი წერილობითი ძეგლები, მათ შორის — ოშკის ბიბლია (978 წ.), პარხლის მრავალთავი (X ს.), ჰილ-ეტრატის იადგარი X-XI სს.) და სხვ. ნუსხურად არის დაწერილი საქართველოს ეკლესიის მიერ გაცემული საბუთები და სხვ.

ასომთავრული და ნუსხური ანბანით არის უპირატესად შესრულებული სასულიერო (საეკლესიო) მწერლობის ძეგლები, მხედრულით — საერო მწერლობის ძეგლები. სწორედ ამის გამო ასომთავრულსა და ნუსხურს ერთად **ხუცურს** უწოდებდნენ (ტერმინი ნაწარმოებია სიტყვისაგან **ხუცესი**, რომელიც **მღვდელს** ნიშნავდა) **მხედრულის** (სიტყვისაგან **მხედარი**) საპირისპიროდ. ტერმინი **ხუცური** დასტურდება 1348-1365 წლებში გადაწერილი ხელნაწერის ანდერძში. გადამწერი მიუთითებს, რა ხელობები იცის. მათ შორის დასახელებულია **„წერაჲ ხუცურისაჲ"**. ტერმინი **მხედრული** მოგვიანებით არის დადასტურებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს იგი უფრო ადრე არ არსებულა. ცხადია, რომ **ხუცური** შეიქმნა **მხედრულის** საპირისპიროდ. ამდენად, ეს ტერმინები თანადროულია.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ხუცური და მხედრული ანბანის გამოყენების არეალი გარკვეულად იყო განსაზღვრული, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ გვხვდებოდეს მხედრული ანბანით გადაწერილი სასულიერო ხასიათის წიგნები ან ხუცური ანბანით შესრულებული საერო ძეგლი. მაგალითად, 1188 წელს მხედრულად გადაუწერიათ სასულიერო ხასიათის ვრცელი თხზულება „თარგმანებაი ქებისა ქებათაისაი". XVII საუკუნეში მხედრულად გადაუწერიათ სახარება. გადამწერი მიუთითებს, რომ სახარება არ უნდა გადაწერილიყო მხედრულად, მაგრამ გადაწერეს იმ მიზნით, რომ იგი ხელმისაწვდომი გამხდარიყო ერისკაცებისათვის (საერო პირთათვის), რომელთაც არ შეეძლოთ ხუცურად დაწერილის კითხვა. მეორე მხრივ, ხუცურად დაუწერიათ თავდაპირველად „ქართლის ცხოვრება".

მეცნიერებაში აზრთა სხვადასხვაობაა ქართული დამწერლობის სახეობათა ურთიერთმიმართების შესახებ. ზოგი ასომთავრულს მიიჩნევს თავდაპირველად, ზოგი — მხედრულს, ზოგი თვლის, რომ ქართული ანბანის რომელიმე სახის უპირველესად ჩათვლა არ არის გამართლებული. მიუხედავად ამისა, ალბათ არ შევცდებით, თუ ასომთავრულს მივიჩნევთ თავდაპირველად, ნუსხურს მისგან მიღებულად, ხოლო მხედრულს ნუსხურისაგან მომდინარედ. ქართული დამწერლობის განვითარების ასეთი გზა კარგად არის ნაჩვენები დ. ბაქრაძის, ივ. ჯავახიშვილის, ილ. აბულაძის, ე. მაჭავარიანისა და სხვა სპეციალისტთა მიერ. ამ ნათესაობას ზოგ შემთხვევაში იოლად შევნიშნავთ, თუ აქვე მოყვანილ ტაბულას დავუკვირდებით.

ქართველოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა იმის გარკვევა, თუ როდის, რა პირობებში შეიქმნა ჩვენი დამწერლობა, იგი დამოუკიდებელი ანბანია თუ რომელიმე სხვა დამწერლობისაგან მომდინარეობს.

**ტაბულაში მოყვანილია თანამედროვე მხედრული ანბანის ასოები, მე-5 საუკუნისა (1) და მე-10-მე-11 საუკუნეების (2) მრგლოვანის ასოთა მოხაზულობა და მათი რიცხვითი მნიშვნელობანი**

| | | 1 | 2 | |
|---|---|---|---|---|
| 1 | ა | Ⴀ | Ⴀ | 1 |
| 2 | ბ | Ⴁ | Ⴁ | 2 |
| 3 | გ | Ⴂ | Ⴂ | 3 |
| 4 | დ | Ⴃ | Ⴃ | 4 |
| 5 | ე | Ⴄ | Ⴄ | 5 |
| 6 | ვ | Ⴅ | Ⴅ | 6 |
| 7 | ზ | Ⴆ | Ⴆ | 7 |
| 8 | ჱ | Ⴡ | Ⴡ | 8 |
| 9 | თ | Ⴇ | Ⴇ | 9 |
| 10 | ი | Ⴈ | Ⴈ | 10 |
| 11 | კ | Ⴉ | Ⴉ | 20 |
| 12 | ლ | Ⴊ | Ⴊ | 30 |
| 13 | მ | Ⴋ | Ⴋ | 40 |
| 14 | ნ | Ⴌ | Ⴌ | 50 |
| 15 | ჲ | Ⴢ | Ⴢ | 60 |
| 16 | ო | Ⴍ | Ⴍ | 70 |
| 17 | პ | Ⴎ | Ⴎ | 80 |
| 18 | ჟ | Ⴏ | Ⴏ | 90 |
| 19 | რ | Ⴐ | Ⴐ | 100 |
| 20 | ს | Ⴑ | Ⴑ | 200 |
| 21 | ტ | Ⴒ | Ⴒ | 300 |
| 22 | ჳ | Ⴣ | Ⴣ | 400 |
| 23 | უ | Ⴓ | Ⴓ | 400 |
| 24 | ფ | Ⴔ | Ⴔ | 500 |
| 25 | ქ | Ⴕ | Ⴕ | 600 |
| 26 | ღ | Ⴖ | Ⴖ | 700 |
| 27 | ყ | Ⴗ | Ⴗ | 800 |
| 28 | შ | Ⴘ | Ⴘ | 900 |
| 29 | ჩ | Ⴙ | Ⴙ | 1000 |
| 30 | ც | Ⴚ | Ⴚ | 2000 |
| 31 | ძ | Ⴛ | Ⴛ | 3000 |
| 32 | წ | Ⴜ | Ⴜ | 4000 |
| 33 | ჭ | Ⴝ | Ⴝ | 5000 |
| 34 | ხ | Ⴞ | Ⴞ | 6000 |
| 35 | ჴ | Ⴤ | Ⴤ | 7000 |
| 36 | ჯ | Ⴟ | Ⴟ | 8000 |
| 37 | ჰ | Ⴠ | Ⴠ | 9000 |
| 38 | ჵ | Ⴥ | Ⴥ | 10000 |

საისტორიო წყაროებში შემონახულია ორი ურთიერთგამომრიცხავი ცნობა ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ. ლეონტი მროველის ნარედაქციევი „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით (ეს თხზულება „ქართლის ცხოვრების“ ნაწილია), ჩვენი დამწერლობის შემოქმედი არის ფარნავაზი.

ფარნავაზი იყო მცხეთის მამასახლისის სამარას ძმისშვილი. მისი მამა და ბიძა, მცხეთის მამასახლისი, დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლას შესწირვიან. ფარნავაზი დედას აღუზრდია, მემატიანე გვამცნობს: „იყო ჭაბუკი ერთი მცხეთას ქალაქსა შინა, რომელსა ერქუა სახელი ფარნავაზ. ესე ფარნავაზ იყო მამულად ქართლელი“. ფარნავაზი ყოველმხრივ შემკული პიროვნება ყოფილა: „ესე ფარნავაზ იყო კაცი გონიერი, მჴედარი შემმართებელი და მონადირე ქელოვანი.“ ფარნავაზს დიდად აწუხებდა თავისი ქვეყნის მძიმე მდგომარეობა. ერთხელ მან უცნაური სიზმარი ნახა: „იხილა ფარნავაზ სიზმარი, რეცა იყო იგი სახლსა შინა უკაცურსა, და ეგულვებოდა განსვლა და ვერ განვიდა. მაშინ შემოვიდა სარკუმელსა მისსა შუქი მზისა და მოერტყა წელთა მისთა, და განიზიდა იგი და განიყვანა სარკმელსა მას. და ვითარ განვიდა ველად, იხილა მზე ქუე მდაბლად, მიჰყო ჴელი მისი, მოჰკოცა ცუარი პირსა მზისასა და იცხო პირსა მისსა“. სიზმარი ფარნავაზს კეთილად ენიშნა. მალე მან სასწაულებრივ მიაგნო დიდ განძს. ეს ასე მოხდა: იგი დაედევნა ირმებს დილმის ველზე, ირმები თბილისისაკენ გამოიქცნენ. ფარნავაზმა ირემი დაჭრა. ირემი ცოტა მანძილის გავლის შემდეგ კლდის ძირას დაეცა. ფარნავაზმა ირემი იპოვა. ამასობაში დაღამდა. ფარნავაზმა კლდის ძირას შენიშნა გამოქვაბულის კარი, რომელიც ქვით ამოეშენებინათ. გაწვიმდა. ფარნავაზმა კარი გამოარღვია, რომ თავი შეეფარებინა, და იქ ნახა უმდიდრესი განძი. იგი დაუკავშირდა დასავლეთ საქართველოს მეფეს, ქუჯის, დაიქირავეს დიდძალი ჯარი და სასტიკად დაამარცხეს მტერი. ფარნავაზმა შექმნა დიდი ქართული სახელმწიფო. მემატიანე ამბობს: „ფარნავაზ უშიშ იქმნა ყოველთა მტერთა თჳსთაგან და მეფე იქმნა ყოველსა ქართლსა და ეგურსა ზედა. და განამრავლნა ყოველნი მჴედარნი ქართლოსიანნი, განაწესნა“. ფარნავაზმა „აღაშენა და განავსო ქართლი“, ფარნავაზს თავის სახელმწიფოში უპირატესი უფლება ქართულისათვის მიუნიჭებია. თანამედროვე ტერმინოლოგიას რომ მივმართოთ, ფარნავაზს ქართული სახელმწიფო ენად გამოუცხადებია. მემატიანის სიტყვებით, მას შეუქმნია ქართული დამწერლობაც: „ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

ამრიგად, „მეფეთა ცხოვრების“ მიხედვით, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული დამწერლობის შექმნა ფარნავაზს მიეწერება. ამ ცნობას დიდი ეჭვით ეკიდებოდა ივანე ჯავახიშვილი. იგი მიიჩნევდა, რომ მემატიანეს ფარნავაზი ზღაპრულ პიროვნებად ჰყავს გამოყვანილი. ამიტომ, მისი აზრით, ამ ცნობას ფასი ეკარგება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ივ. ჯავახიშვილი იმასაც მიუთითებდა, რომ „იქნებ, მომავალმა გამოარკვიოს, ჰქონდა თუ არა ლ. მროველს ამისთვის რაიმე საფუძვლიანი წყაროები ან ისტორიული ზეპირგადმოცემა“. ამ ბოლო დროს ლეონტი მროველის ცნობებს სარწმუნოდ მიიჩნევენ. გიორგი მელიქიშვილი წერს: „ქართლის სამეფოს საწყისად კი ძველი ქართული ტრადიცია უცილობლად იმ მომენტს მიიჩნევს, როდესაც საკუთრივ მცხეთა გახდა გაერთიანებული ქართლის ცენტრი, დედაქალაქი. სხვადასხვა ქართული გაერთიანების ბრძოლაში ალბათ წარმატებას მიაღწია იმ გაერთიანებამ, რომელსაც სათავეში ფარნავაზი ედგა. ფარნავაზის საქმიანობას უნდა უკავშირდებოდეს აგრეთვე მცხეთის (არმაზციხის) გადაქცევა სამეფოს დედაქალაქად, არმაზციხის უძველეს თავდაცვით ნაგებობათა მშენებლობა, აქვე არმაზის კერპის აღმართვა და სხვ“. საინტერესოა, რომ V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი ფავსტოს ბუზანდი ქართველ მეფეებს ფარნავაზიანებს უწოდებს და ამით მიგვანიშნებს, რომ ისინი მიეკუთვნებიან ფარნავაზის დინასტიას.

XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი მხითარ აირივანელი თავის ნაშრომში „ქრონოგრაფიული ისტორია“ ქართული დამწერლობის შემოქმედად ფარნავაზს თვლის.

ასეთია ქართული დამწერლობის შექმნის შესახებ ერთი ცნობა ქართული და სომხური წყაროების მიხედვით. ამ ცნობის მიხედვით, ქართული ანბანი ფარნავაზს შეუქმნია ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში (ანუ 23 საუკუნის წინათ).

ლეონტი მროველისეულ გადმოცემას ემყარებოდა ჩვენი დიდი პოეტი გრიგოლ ორბელიანი, როცა ამბობდა:

„შენ, ჰე, ფარნაოზ, ჰქმენ
ერთმთავრობა,
შენ მოეც ქართველს წიგნი
პირველი,
შენ დაუმკვიდრე ერსა ერთობა
და ერთობისა წესი და ძალი“.

ლეონტი მროველისეულ ცნობას ჩვენ შემდგომშიაც დავუბრუნდებით.

**ზურაბ სარჯველაძე,**
პროფესორი.



ბეთლემის მონასტრის (პალესტინა) ქართული წარწერა (მე-5 საუკუნის 30-იანი წლები): „შეწევნითა ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა თეოდორესითა შეიწყალენ ანტონი აბაი და იოსია მომსხმელი ამის ხეფისაი და მამა-დედაი იოსიაისი ამენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისწავლე და იმამაცე

ეს მთა-ბარი საგმიროა,
ეს ცაც არის საგმირო ცა.
ეს მზიანი საქართველო
ღმერთმა ქართველთ დაგვილოცა.
ჰოდა, ახლა იშრომე და
ისწავლე და იმამაცე,
ცხრა მთას იქით მოისროლე
სილაჩრე და სიზარმაცე!
ყველაფერი, რასაც ხედავ,
მამა-პაპამ შეგინახა
და როდესაც ქვეყნად გაჩნდი,
გაუხარდათ შენი ნახვა.
ეს იცოდე, მისთვის გზრდიან,



საქართველოს უპატრონო,
რომ შავგულამ დედაენას
ხმა ვერ გასცეს უბატონოდ!
ეს მთა-ბარი საგმიროა,
ეს ცაც არის საგმირო ცა.
ეს ლამაზი საქართველო
ღმერთმა ქართველთ დაგვილოცა!
ქართლ-კახეთი, იმერეთი,
წყნეთი, შოვი თუ ბახმარო,
ვენახი და ხოდაბუნი
სიხარულში მოგახმაროს!
ყველა ამას მხოლოდ შრომით,
მხოლოდ ბრძოლით შეინახავ,
ამიტომაც გვიხარია,
ჩვენო კარგო, შენი ნახვა!

## რთველში ვართ

რთველში ვართ, დღეა მზიანი,
უქარო, წყნარი, ნათელი,
უკეთესს რომ ვერ ინატრებს
ვაზის მოყვარე ქართველი!
კრეფა დავიწყეთ, კალათებს
მტევნებით ვავსებთ ხელადა.
პაპამ ეს რთველიც დალოცა, —
დასცალა მომცრო ხელადა.
მეასეაო, — ამბობს და
თან ვაზებს ელერსება,
ლაღად ღიღინებს, იღვრება
სიმღერებად და ლექსებად...
უცებ ივსება კალათა,



გიდელ-გოდრები, კასრები
და სავსე ჭურჭელს მარანში
ეზიდებიან კაცები.
ხის საწნახელში ბიჭები
შიშველ ფეხებით ჩამდგარან,
ყურძენს წურავენ ხალისით
რეზო, ავთო და სანდალა.
ბადაგი მოჩქეფს, ვით წყარო,
და ივსებიან ჭურები,
იქვე თათარა თუხთუხებს,
თონეში ცხვება პურები...
რთველია, ვშრომობთ ხალისით,
დღე წყნარია და ნათელი,
ყურძნის უკეთეს მოსავალს
ვერც კი ინატრებს ქართველი!

## მამული ჰქვია

მამული ჰქვია მიწა-წყალს,
სადაც ოდითგან ვბინადრობთ.
ისე ლამაზი, ნათელი, —
უკეთესი ვერც ვინატროთ!
აქ უცხოვრიათ წინაპრებს,
ოფლი და სისხლი უღვრიათ.
აქ დადიოდნენ მართლები,
ალალები და გულღია.
აქ ედგათ ფაცხა-კარვები,
ზოგს — სახლი, ზოგსაც — სასახლე...

აქ ეზრდებოდათ ტყეები
სასაწნახლე და სასახრე...
ჭირიც აქ ჰქონდათ, ლხინიცა,
ზვარიც, ყანაც და ხილიცა.
ხანჯლით, ხმლითა თუ ხირიმით
მტრისგან იცავდნენ მიწასა
და მეგობრობდნენ ხარს და კავს,
ცელს, ნამგალსა და ფიწალსა.
გმირები იყვნენ შრომაში,
ლხინში, ჭირში და ომშიაც,

ქართველს ნახავდით ხელხმლიანს
ქაბულშიაც და რომშიაც.
თუ დღეს ქართველი ქართველობს,
აქვს ენა, კოხტა მთა-ბარი.
მადლია ფარნავაზისა,
დავითის, შოთას, თამარის...
მამული ჰქვია მიწა-წყალს,
სადაც ოდითგან ვბინადრობთ,
ისე ლამაზი, ნათელი, —
უკეთესი ვერც ვინატროთ!





# პატარა მექოთნე

**ნოდარ მოდებაძე** — მოთხრობა — მხატვარი **თემურ ფხიკიძე**

ქოთანი აილო, მაგრამ შენიშნა, ძაღლი მჭადის ნატეხისკენ მიიპარებოდა და ფეხი მოუქნია, წაბორძიკდა, ქოთანი გაუვარდა და დაიმსხვრა. ხალხი შექუჩდა. გია ცრემლმორეული დააჩერდა დამსხვრეულ ქოთანს.

— ეგაა, ბიჭო, შენი ქოთანი?! — ხმას აუწია წვერიანმა მამაკაცმა, — არ დაგინახო აქ!.. — ხალხის ტალღა გაარღვია და წავიდა.

გულმკვდარმა ბიჭმა თავისი ქოთნები ტომარაში ჩააწყო. ხელი არ ემორჩილებოდა. ქოთანს ტომარაში აწყობდა და თვალზე ცრემლი აწვებოდა.

გოდრებს შორის შუახნის მამაკაცი გამოჩნდა, ბიჭი თანაგრძნობით შეათვალიერა, თავი სინანულით გადააქნია და უთხრა:

— ბიჭო, შენ პატრონი არა გყავს?!

●

ბიჭი ორჯერ იყო ბაზარში, ორივეჯერ ხელი მოეცარა. მაინც გაბედა და მესამედაც წავიდა. კარგა ხანს იტრიალა დახლის წინ, მაგრამ ადგილი ვერ ნახა. მიწაზე გაფენდა ტომარას, მაგრამ მოვლენ და ეტყვიან, ქოთანს ნუ ყიდიო.

— ბიძიკო, შენ რას დაეძებ აქ?

გიამ მიიხედა. იცნო შუახნის მამაკაცი, იმ დღეს რომ ჰკითხა, ბიჭო, შენ პატრონი არ გყავსო? თითქოს კეთილი სახე ჰქონდა, მაგრამ გიას არ ესიამოვნა მისი დანახვა, ეგონა, ისიც ეტყოდა, აქ შენი ადგილი არააო. კაცმა გაუღიმა, მხარზე ხელი დაადო. ბიჭს ძალა წაერთვა.

— მოდი ჩემთან, ბიძიკო, — უთხრა მან და დახლს მოშორდა, — შენ აქ ახე ადგილს ვერ ნახავ. ეგერ, ე... ხედავ იმ კაცს?! — და ალაყაფისკენ გაახედა. გია შეცბუნდა — წვერიან მამაკაცზე მიანიშნეს, — მიდი და უთხარი, პატივს გცემ და ერთი ადგილი დამითმე-თქვა.

— მე რა პატივი უნდა ვცე, ძია, ფული არა მაქვს.

— ასე უთხარი, ქოთანს გავყიდი და უპატივცემლოდ არ დაგტოვებ-თქვა.

— ვერ ვეტყვი!

— ნუ გეშინია, მიდი, თორემ ასე ვერაფერს გახდები!

ბიჭმა შიშით გახედა წვერიანს. როგორ უთხრას პატივს გცემო, არ გალახავს?! მიუახლოვდა, გაჩერდა, სახე ჩამოსტიროდა. ხომ შეიძლება, ბაზარში საერთოდ აღარ შემოუშვას?!. წვერიანი ვიღაც ქალს ედავებოდა, აქ ნუ დგახარ, წაიღე შენი საქონელი და სხვაგან, სადაც გინდა, იქ გაყიდეო. გაცეცხლებული ქალი კაცს აქეთ უტევდა, ხელს ვერ მახლებო. გია იდგა და უსმენდა. მერე მამაკაცი მისკენ შემობრუნდა.

— ძია, — უთხრა გიამ და ენა ჩაუვარდა.

— შენ აქ ხარ ისევ?

— ძია, ადგილი მომეცი, თუ შეიძლება!

— ვერ ხედავ, რა დღეში ვართ, შენ კიდევ აქ...

— ძია, — ენა წაიტეხა გიამ, — მე... უპატივცემლოდ არ დაგტოვებ!

— შენ რა პატივი უნდა მცე? — გაიცინა.

— გავყიდი ქოთანს და...

წვერიანმა ეჭვით შეათვალიერა, არაფერი უთქვამს, ხელი მოკიდა და დახლთან მიიყვანა. მაღალ, დიდთავა მექოთნეს თვალით რაღაც ანიშნა, ის გვერდით მიიწია, თავისი ქოთნები გასწია და ბიჭს ადგილი გაუთავისუფლა. ბიჭი გახალისდა. ქოთნები ჯერ მიწაზე დააწყო, ტომარა დახლზე დაფინა და მერე ზედ ქოთნები დაალაგა.

შუადღის პირი იდგა, მზე აჭერდა, დახლის წინ სულშეხუთული მყიდველები მიმოდიოდნენ, გია თვალებაციცინებული შესცქეროდა მათ. უნდოდა ხმამაღლა ეთქვა: აბა, კარგი ქოთანი, აქეთ მობრძანდით, ქალბატონებო და ბატონებოო, მაგრამ მხოლოდ გულში იმეორებდა ამ სიტყვებს. მერე შენიშნა, მისკენ ზოლებაკაბიანი ქალი წამოვიდა, დედაბერი ახლდა. გაჩერდნენ მის წინ და დახლის კიდეს დაეყრდნენ.

— მიცანი? — ჰკითხა ქალმა.

— დიახ... თქვენ ჩემგან ქოთანი იყიდეთ!

— ის ქოთანი ამ ბიჭისგან ვიყიდე! — დედაბერს უთხრა ქალმა.

დიდთავა მექოთნემ ირონიით გადახედა ქალს, თავისი ქოთანი ფრთხილად მისწია მისკენ, რომ უკეთ დაენახათ, მაგრამ ყურადღება რომ არ მიაქციეს, შეიშმუშნა და ბიჭს გადახედა ზიზღით.

დედაბერმა გიას ქოთანი აილო, წკიპურტი დაჰკრა

---

დასასრული. იხ. „პიონერი“ № 9

და ყური მიუგდო. ბიჭს უნდოდა შეექო თავისი ნახელავი, მაგრამ ძალა არ ეყო. უცებ არც დაიჯერა, დედაბერმა რომ თქვა, შესანიშნავიაო.

ქალმა ორი ქოთანი ჩანთაში ჩაიდო და თუმნიანი მისცა. ორი ქოთანი ერთად გაყიდა, ორი ქოთანი! კიდევ სამია...

დახლს სხვებიც მიადგნენ.

— რა ღირს? — კითხულობს ერთი.

— ხუთი მანეთი!

დიდთავა მექოთნეს თვალები შურით აევსო, ოქროსფერპერანგიანმა დაცინვით გადმოხედა. გია თვალს არ აშორებდა ქალს, რომელსაც მისი ქოთანი ეჭირა ხელში. „დეიდა, კარგი ქოთანია, იყიდეთო!“ გაუბედავად, ჩავარდნილი ხმით უთხრა. ქალმა ქოთანი იყიდა.

ორი ქოთანი დარჩა, ორი ქოთანი!..

—აბა, კარგი ქოთანი, ვის უნდა, კარგი ქოთანი! — ცივი, გამყივანი ხმით დაიძახა დიდთავა მექოთნემ.

— ხელოვნების ნიმუში, კარგი ქოთანი! — იძახდა ოქროსფერპერანგიანი.

რამდენიმე ქალმა და კაცმა ჩაიარა გიას წინ. მხოლოდ გადმოხედეს ქოთნებს და წავიდნენ. გიამ მათ თვალი დაადევნა. ძაღლმა გვერდი იცვალა, ბიჭმა შენიშნა და უთხრა:

— მურა, ცოტა კიდევ მაცალე, გავყიდი ქოთანს და ხორცს გიყიდი, ჰო, ხორცს გიყიდი!

— რა ღირს შენი ქოთანი? — ეკითხება ბიჭს დიდულვაშა კაცი.

— ხუთი მანეთი!

— ა, ბატონო, კარგი ქოთანი! — სიტყვის თქმას არ აცლის დიდთავა მექოთნე დიდულვაშა კაცს.

— ბიჭო, გადაიხადე მანეთი! — ეუბნება ცისფერხალათიანი ქალი გიას.

— რის მანეთი?

— ბაზარში რომ ვაჭრობ! — და ქვითარს აძლევს.

ბიჭმა ფული გადაიხადა. დიდულვაშა კაცი ყოყმანობს. თვალი გაურბის, მაგრამ ქოთანს არ იღებს.

— არ დაუკლებ? ოთხ მანეთს მოგცემ.

— წაიღე, ძია!

გიას ერთი ქოთანიღა დარჩა, ერთი ქოთანი!

— ბიძიკო, გადაიხადე ორი მანეთი! — მიადგა დახლს ცალფეხა კაცი.

— რატომ, ძია?

— ბაზრის დასუფთავებისათვის. ასეთია წესი!

ბიჭს სამმანეთიანზე ნაკლები არ ჰქონდა, ფული გაუწოდა და ელოდა ხურდის დაბრუნებას, მაგრამ ცალფეხამ ფული ჯიბეში ჩაიდო და უთხრა, ხურდა არ მაქვს, მეორედ რომ მოხვალ, მოგცემო. ბიჭს გული ეტკინა. დიდთავა მექოთნემ ხმამაღლა გაიცინა. მართლაც, სასაცილოა... რატომ დგას აქ, ამ გაწუწკებულ ხალხში?.. მართალია დედა, უნდა დაანებოს თავი ამ მექოთნეობას. ყველაფერს კადრულობენ, შუბლის ძარღვი გაწყვეტილი აქვთ. მაგრამ რომ უყვარს ეს საქმე?.. აკი მათზე ბევრად უკეთესი ქოთანი გამოუდის. მოვა დრო, თვითონ დასცინებს მათ, ჰო, მოვა დრო...

თუმცა არა, ის არასოდეს არავის არ დასცინებს, ეს ხომ საზიზღრობაა.

წვერიანმა მამაკაცმა დახლის წინ ნელი ნაბიჯით ჩაიარა, გადახედა ბიჭის ერთადერთ ქოთანს, გაუღიმა და უთხრა, უჩემოდ არ წახვიდეო. ბიჭი მიხვდა, ფული უნდა მიეცა, მაგრამ რამდენი?.. ძაღლი წამოდგა, ალბათ, გაქცევას აპირებდა, ბიჭმა ფრთხილად გადაუდო ფეხი წინ. ძაღლი ერთხანს გაყუჩდა, მერე, როცა წვერიანი დახლს გასცდა, ისევ კუთხეში მიწვა. ფანდურის გამყიდველი ბიჭი ალაყაფთან იდგა, აღარ მღეროდა.





— რა ღირს ქოთანი? — ეკითხება კოხტად ჩაცმული კაცი.

— ხუთი მანეთი.

— სადაურია?

— ზემოჭალიდან ვარ, ძია!

— ოო... — გაკვირვება ვერ დამალა, — კარგია იქაური ქოთანი. იქ ერთ მოხუცს ვიცნობდი...

— ბაბუაჩემი იყო ის, ძია! შარშან გარდაიცვალა...

— საწყალი, კარგი ხელი ჰქონდა, მისი ნახელავი ქოთანი დღესაც მაქვს. ეს შენ გააკეთე?

— დიახ, ძია!

— ბაბუაშენის სახელს ხომ არ შეარცხვენ?

— არა! — გაწითლდა ბიჭი.

კაცმა ის ბოლო ქოთანი იყიდა. გია გაუნძრევლად იდგა. არ სჯეროდა, ქოთნები რომ გაყიდა. დიდთავა მექოთნე და ოქროსფერპერანგიანი რაღაცას ჩურჩულებდნენ. ბიჭს მათკენ გახედვაც არ უნდოდა. ბიჭმა ტომარა დაკეცა და იღლიაში ამოიჩარა. მერე ძაღლს თავზე ხელი გადაუსვა, წამოდიო. ბიჭს მისთვის პატარა ხორცის ნაჭერი უნდა ეყიდა. არ გამომშვიდობებია არავის. ძაღლი უკან აედევნა. წვერიანი მამაკაცი ალაყაფთან იდგა, ეტყობა, ბიჭს უთვალთვალებდა, არ გამეპაროსო.

— რა ქენი, გაყიდე? — ჰკითხა.

— კი! — ბიჭი დაიბნა: რამდენი მისცეს? — დიდი მადლობა, — გაწითლდა, — მინდა, რომ...

— რამდენი გაყიდე?

— ხუთი.

— მდა... — წვერიანი ჩაფიქრდა, გუნებაში რაღაც გადაიანგარიშა და — თუმანი! — უთხრა ბიჭს.

ბიჭმა დაუფიქრებლად პერანგის გულის ჯიბეში ჩაუდო თუმანი.

— კარგი ბიჭი ხარ... მოდი ხოლმე!

— კი, ძია, შინ ბევრი ქოთანი მაქვს!

ძაღლი არ ჩანდა. ბიჭი ალაყაფს რომ გაშორდა, მერე გამოჩნდა, გიამ ჯიბეში ფულს შეავლო ხელი, ახლა მიხვდა, რომ ცოტაღა დარჩა, მთელი ნავაჭრის თითქმის ნახევარი წვერიანმა წაიღო. რატომ?.. ბიჭმა იანგარიშა, ცხრა მანეთი დარჩენოდა. ცისოს ვერც ფეხსაცმელს უყიდდა და ვერც კაბას. ძაღლს ისე მიაჩერდა, თითქოს მას წაეგლიჯოს ფული. ცისო დაუჯერებს, როცა ეტყვის, ქოთანი გავყიდე და ფული არ მაქვსო?.. არ იტყვის, რომ ხუთი ქოთანი გაყიდა... არა, იტყვის!.. ძაღლი ფეხდაფეხ მისდევდა, თითქოს დანაპირებს ელოდა — ხორცის ნაჭერს.

## „ელო" [illegible]

მახსოვს, 1987 წელს, არტეკში გამართულ IX საკავშირო შეკრებაზე, და ერთი წლის შემდეგ, კვლავ არტეკში, გარდაქმნის აქტივისტთა საკავშირო შეკრებაზე, პირდაპირ ითქვა — წითელყელსახვევიანთა სამყაროში ბევრი რამ მოძველდა, გაცვდა; ორგანიზაცია უფერულობისა და ფორმალიზმის ჩარჩოებში მოექცა და მუშაობა აუცილებლად უნდა გადახალისდეს, ძირეულად გარდაიქმნასო.

IX შეკრებაზე გადაწყვეტილებების მიღებისას ბავშვების მოსაზრებები ორად გაიყო. ორივე ნაწილი ერთნაირი კატეგორიულობით აყენებდა საკითხს: ძველებურად მუშაობა არ გვარგებს, უნდა შეიცვალოსო!

— შეიცვალოს ახლით!

— საინტერესოთი!

— დადგეს ეროვნულ ნიადაგზე!

— გამოხატოს ჩვენი ინტერესები!

— იყოს ხალისიანი!

— ვიგრძნოთ, რომ ორგანიზაცია — ეს ჩვენა ვართ და ჩვენვე ვმართავთ მას!

ადგილი არ უნდა ჰქონდეს:

— თვალისახვევას!

— მოჩვენებითობას!

— სიცრუეს...

— ბავშვების „პასიურებად" და „აქტიურებად" დაყოფას...

— ტყუილი ღლიურების წერას!

ადგილზე დაბრუნებულებმა საქმესაც მოკიდეს ხელი და... თითქოს ყინულიც დაიძრა, გამოჩნდა მუშაობის ახლებურად წარმართვის ცდა...

პირველი სიტყვა ესტონელებმა აიღეს.

მეორე — ლატვიელებმა;

მესამე — ლიტველებმა...

ყველა ჩააფიქრა მათმა მოწადინებამ, უფრო ღრმად ჩაახედა საკუთარი რესპუბლიკის ბავშვთა ორგანიზაციის მუშაობაში.

ესტონეთის ბავშვთა ორგანიზაციის შექმნა ამ რესპუბლიკის პიონერთა შეკრებაზე გადაწყდა; იგი თავისთავად ჯერ კიდევ არტეკში IX საკავშირო შეკრებაზე წამოწყებული საუბრის გაგრძელება გახლდათ. ორგანიზაციას დაარქვეს ლაკონიური სახელი:




„ელო". მიღებულ ქარტიაში განსაზღვრეს მისი მოქმედების სტრუქტურა, ამოცანები და პრინციპები. ითქვა, ვის შეუძლია იყოს ბავშვთა ორგანიზაციის წევრი. „ელო" ამ რესპუბლიკის განახლებული პიონერთა ორგანიზაცია გახლავთ და ითვლება ესტონეთის ბავშვთა დამოუკიდებელ ორგანიზაციად, რომელიც რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციასთან ერთად მოქმედებს. „ელოს" წევრები პიონერები არიან და არ უარყოფენ პიონერულ ტრადიცი-

— წამოდი, მურა, წამოდი! — ნაღვლიანად უთხრა მან.

ბიჭი მაღაზიაში შევიდა, ორი მანეთის ძეხვი და პური იყიდა, შენობის კუთხეს მოეფარა და ქვაზე ჩამოჯდა. ძეხვი შუაზე გატეხა და ძაღლს დაუგდო. უმადოდ ჭამდა. ოცდაოთხი მანეთიდან შვიდილა დარჩა...

— ა, მურა, დანაყრდი?

ძაღლმა დრუნჩი მოილოკა.

— მე წავედი, შენ კი... კიდევ ჩამოვალ, უთუოდ ჩამოვალ, მათ აღარ შევუშინდები! გზა შორი მაქვს, დამაღამდება! წავედი, მურა!

გიამ იმ ღამით ფრთხილად შეაღო სახლის კარი. დედამ შვილს გადმოხედა, არაფერი უთქვამს და გვერდი იცვალა. ცისო თვალებდაჭყეტილი იწვა, ცალი ხელი თავქვეშ ამოედო, თვალი კარისკენ ეჭირა — ძმას ელოდა. ოთახში ბნელოდა. სარკმელში მთვარის მკრთალი სხივი შემოდიოდა. გია ფეხაკრეფით მივიდა საწოლთან, ცისო თვალს ადევნებდა, ხელებში უყურებდა, ელოდა, როდის ეტყოდა ძმა, შეხედე, რა მოგიტანეო. ეჰ, შეშინდებოდნენ, ძებნას დაუწყებდნენ, თორემ შინ არ დაბრუნდებოდა, სადმე ხის ქვეშ ძაღლთან ერთად გაათევდა ღამეს.

გიამ ტანზე გაიხადა და ლოგინში შეწვა. ცისოს თვალი არ მოუშორებია, ოთახის კუთხეც კი შეათვალიერა, იქ ხომ არაფერი დაუდევსო.

— ვერ გაყიდე?

— კი, გავყიდე სულ.

— როგორ?

— ყველაზე კარგი ქოთანი მე მქონდა, არც კი სჯეროდათ, რომ ჩემი გაკეთებული იყო. იცი, როგორ მოეწონათ? მეტი არ მქონდა, თორემ იმასაც გავყიდდი... დღეს მხოლოდ ხუთი წავიღე. სხვა დროს მეტს წავიღებ! — ბიჭი ხმადაბლა ლაპარაკობდა, თავი მოსწონდა, რომ ხუთი ქოთანი გაყიდა, — ადგილი დამითმეს, დახლზე ვივაჭრე!.. კიდევ ჩამოიტანეო, მითხრეს!

ცისომ ძმის სასთუმალი შეათვალიერა. მერე საწოლქვეშ შეიხედა. იქ მხოლოდ ძმის ტალახში ამოსვრილი ფეხსაცმელი ეყარა.

— მე დღეს ძროხა ჭალაში მყავდა!

— ბაზარში ყველა მიცნობს, მომავალ კვირას ბევრ ქოთანს წავიღებ!..

— ფეხშიშველი ვიყავი, ფეხი კინაღამ ეკალზე დავიკაწრე, თანაც შემეშინდა!

— ფეხშიშველი რატომ წახვედი?

— აბა, რა მექნა, ჩემს წაღებს ძირი გავარდნილი აქვს...

—?!



ებს; ასე რომ, „ელოსა“ და პიონერთა ორგანიზაციას შორის ესტონელებმა ლამის ტოლობის ნიშანი დასვეს.

საინტერესოა „ელოს“ სამოქმედო პროგრამა. ამ პროგრამის „ნ ვეშაპია“: „მე და მე“, „მე და ჩვენ“, „მე და სამშობლო“, „მე და გარემო“, „მე და მსოფლიო“. ეს თავისთავად ის ხუთი მიმართულებაა, რომელთა მიხედვითაც წარიმართება ელოს წევრთა განვითარება, თვითშეგნება, თვითაღზრდა. პროგრამა შესაძლებლობას აძლევს მოზარდს სრულად გამოავლინოს თავისი ნიჭი და უნარი, აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ცხოვრებაში; იზრუნოს ჩვენს საერთო სახლზე — დედამიწაზე...

„ელოს“ განაგებს პიონერთა რესპუბლიკურ შეკრებაზე თვითონ მოზარდების მიერ არჩეული ორი პალატა — ბავშვთა და მოზარდთა; რესპუბლიკის ხელმძღვანელთა დახმარებით ორივე პალატა იმის გარანტიას იძლევა, რომ ესტონეთის ბავშვთა ორგანიზაციას დამოუკიდებლად მოქმედების ყველა პირობა ექნება.

თავიანთი რესპუბლიკის პიონერთა ორგანიზაციის განახლების საინტერესო გზა მოძებნეს ლიტველებმა, ლიტვის პიონერთა ორგანიზაციის დებულების თანახმად მას უკვე დამოუკიდებელ ორგანიზაციად თვლიან; ორგანიზაცია რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის მხარდაჭერით მუშაობს და ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის კოლექტიურ წევრს წარმოადგენს; იგი თანასწორუფლებიანია მოძმე რესპუბლიკების ყველა ორგანიზაციასთან ერთად; მისი მოქმედების პროგრამა ასეთია:

პიონერი: — შრომობს თავისი მშობლიური მხარისათვის, ზრუნავს ლიტვის კეთილდღეობისათვის, ინტერესდება საბჭოთა ქვეყნისა და მსოფლიოს თანატოლთა საქმიანობით. შეგნებული აქვს, რომ მასზეა დამოკიდებული ლიტვის მომავალი განვითარება, პიონერს შეუძლია აირჩიოს მოქმედების რამდენიმე მიმართულება: — სამშობლოს, ადამიანს, ბუნებას!

ლატვიის პიონერთა ორგანიზაციის კავშირი საკავშირო პიონერთა ორგანიზაციაში შედის, მისი მიზანია დაეხმაროს თითოეულ წევრს აღიზარდოს პატიოსანი, შრომისმოყვარე, სამშობლოს მოყვარული.

რა აერთიანებთ მათ? — საერთო პროგრამა; თვით ორგანიზაცია რაზმეულებისაგან შედგება. თითოეულში 200-800 წევრია; რაზმეული თავის მხრივ აერთიანებს წრეებს, ჯგუფებს, კლუბებს, ბრიგადებს და ა. შ. რაზმეულსა და მის გაერთიანებებს შეუძლიათ ჰქონდეთ თავისი სახელწოდება, საზეიმო დაპირება, განმასხვავებელი ნიშნები, რიტუალები და ტრადიციები.

სამაგალითო პროგრამის საფუძველზე რაზმეული თავად გამოიმუშავებს თავის სამოქმედო პროგრამას, განსაზღვრავს შესასრულებელ საქმეებს.

ლატვიელი პიონერების მოვალეობა ასეა განსაზღვრული! თავისი პიონერული კოლექტივის განაწესის უთუო შესრულება, ამის შესახებ წელიწადში ერთხელ ანგარიშის ჩაბარება; ცვლის — 7-9 წლის ბავშვების მომზადება, რომლებიც რაზმეულში მათთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აისი

## მუდამ გვეხსომება ჩვენი ანზორ მასწავლებელი

ბოლო გაკვეთილი 19 აპრილს ჩაატარა, მერე კი აღარ შემოსულა კლასში მისთვის ჩვეული ღიმილით. 19 აპრილს ხულოს რაიონის სოფ. წაბლანაში აბობოქრებულმა სტიქიამ იმსხვერპლა ჩვენი ფიზიკის მასწავლებელი ანზორ აბაშიძე.

რა დაგვავიწყებს მის ნათელ სახეს, კეთილ ღიმილს! ძალიან უყვარდა სპორტი, ოთხი შვილის მამა იყო, მეხუთეს ელოდებოდა. ყველასაგან გამორჩეული იყო, დახმარება იცოდა. ყველა ერთნაირად ვუყვარდით, არ იცოდა კარგი და ცუდი მოსწავლის გარჩევა. თუმცა მკაცრიც იყო და მომთხოვნიც, ძალიან კეთილი გული ჰქონდა. სწორედ ამიტომაც ყველას ძალიან შეგვიყვარდა იგი. გვიყვარდა და ვაფასებდით, როგორც მასწავლებელს, როგორც აღმზრდელს.

იგი ბევრს ზრუნავდა იმისათვის, რომ კარგი მამულიშვილები დავმდგარიყავით, მაგრამ არ დასცალდა, 32 წლისა აღესრულა.

ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს გაბრწყინებული თვალებით გამოვეშურეთ სკოლისაკენ, მაგრამ ძალიან დაგვწყდა გული, რომ სკოლის ჭიშკართან ველარ შევნიშნეთ ანზორ მასწავლებელი, რომელმაც ცხოვრების ჭეშმარიტი აზრი და არსი დაგვანახა.

გაივლის წლები, მაგრამ არასდროს არ დაგვავიწყდება ჩვენი კეთილი, ღიმილიანი ანზორ მასწავლებელი.

რუსუდან სურმანიძე,
ხულო, ყინჩაურის საშუალო სკოლა, IX კლასი

„მეცხვარე მიდის მთაზედა"



დავით კომუნაძე, თბილისი, 9 წლის. 126-ე საშუალო სკოლა.

ერთად არიან გაერთიანებული. უფლებებიც ყველას ერთნაირი ეძლევა — მოზარდი საკუთარი ნება-სურვილით შედის ორგანიზაციაში. შეუძლია გამოვიდეს კიდეც ამ ორგანიზაციიდან; წელიწადში 1-2-ჯერ არჩეულ იქნეს თვითმმართველობაში; კოლექტივის მუშაობასთან დაკავშირებით შეიტანოს საკუთარი წინადადებები, ხმა მისცეს გადაწყვეტილებას და ა. შ.

ვინ ხელმძღვანელობს მათ? — თვით ბავშვები, რომლებიც ყველა საკითხს თავიანთ შეკრებებზე განიხილავენ და გადაწყვეტილებას ხმის მიცემის შემდეგ იღებენ; მუშაობაში ეხმარებიან პიონერთა მეგობრობის ასოციაციის წევრები, კომკავშირული და პარტიული ორგანოები, სახალხო დეპუტატთა საბჭოები.

ლატვიელი პიონერები თავიანთი ორგანიზაციის საარსებო სახსრებსაც თვითონვე გამოიმუშავებენ, ასევე იღებენ მათ პიონერთა მეგობრობის ასოციაციიდან, კომკავშირიდან, პარტიიდან, პროფკავშირებიდან, სახელმწიფო და კოოპერატიული დაწესებულებებიდან.

ჩვენც დავიწყეთ ფიქრი, ძიება საქართველოს პიონერთა ორგანიზაციის განახლების გზებზე. გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯიც. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" 30 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა სარედაქციო კოლეგიის თვალსაზრისი, წინადადებები რესპუბლიკის ბავშვთა ორგანიზაციის „აისის" თაობაზე; მისი გამოტანა სადისკუსიოდ ერთგვარი ცდაა, ეროვნული სული ჩავუდგათ ფორმალურობის მძიმე ჩარჩოებში მოქცეულ რესპუბლიკის პიონერთა ორგანიზაციას.

„აისი" — ანუ „ახალგაზრდობა — იმედი საქართველოსი" 9 ციხესიმაგრის ალებას ითვალისწინებს. მისი დევიზი გახლავთ: იყავ ერთიანი და თავისუფალი საქართველოს ერთგული შვილი, — აწ და მარადის! ცხრა ციხესიმაგრე: „მამულეთი", „ჭალაბი", „საგარჯილო", „შევარდენი", „ირმისა", „მოყვასი", „რაინდთა", „ცვლა", „ძმობა", თავისი დევიზებით ის მიმართულებებია, რომლებიც „აისის" წევრის საქმიანობას თავის ორგანიზაციაში ეროვნულ რელსებზე გადაიყვანს.

„აისი" გვთავაზობს 5 კანონს, რომლებიც აისელთა რიგებში შესვლის შემდეგ მოსწავლის მოქმედების თავისებური კანონი უნდა გახდეს.

„აისის" ირგვლივ წამოწყებულ დისკუსიას გამოეხმაურნენ პიონერები, პიონერხელმძღვანელები, პედაგოგები. გთავაზობთ ზოგიერთ გამოხმაურებას:

— „აისი" მოზარდებთან მუშაობისას ეროვნული ნერგის გახარებაში დაგვეხმარება. ამიტომ მისი ცხრავე ციხესიმაგრე მომწონს.

ბავშვთა ორგანიზაციისათვის ეროვნული სულის ჩადგმა ფორმალობის მძიმე ჩარჩოებში მოქცეული პიონერთა

## რა აქვს ნეტავი ლექსებს ასეთი?

ქარს მიაქვს ჩემი ღრუბლის
ნაფლეთი,
ფიქრები ციურს დაეძებს ფერებს...
რა აქვთ ნეტავი ლექსებს ასეთი,
გულს რომ ამშვიდებს,
გულს რომ ამღერებს!
რა აქვთ ნეტავი ლექსებს ასეთი,
ანდამატივით სულს რომ იზიდავს,
იქნებ მათია იგი თვალები,
მე რომ მიმზერენ კედლის მიღმიდან.
რად მიმუხრუჭებს ლექსი
ტკივილებს,
რად მთხოვს, დავწერო უსათაუროდ,
და რად მიბიძგებს, სიცოცხლის
ფეთქვას
მეც ჩემებურად გავეხმაურო.

ირმა შიოლაშვილი,
წითელწყაროს 1-ლი საშუალო
სკოლა, X კლასი.

## გამარჯობა, გაზაფხულო!

გამარჯობა, გაზაფხულო!
გამარჯობათ, მთებო!
გამარჯობა, სოფელო!
ბაღებო და ზვრებო!
მთაზე მობიბინეო
ლურჯო ყვავილებო,
მოშრიალე კაკლის ხევ,
მწვანე ბალახებო.
ყანისთავს აფრენილო
ნიბლიავ და მწყერო,
სოფლის ბოლოს გაშლილო
შენ, ალაზნის ველო.
გადმომდგარო სიღნაღო,
ამაყო და ბრძენო,
შენ, ციხე-გალავანო,
მტრის ფეხისხმის მსმენო.
ახმეტელის სოფელო,
სიამაყევ ჩვენო,
შენ, ტკბილო ალაზანო
და ალაზნის ველო.

ლელა კედელაშვილი,
სიღნაღი, ანაგის საშუალო
სკოლა, V კლასი.

## სულელი მეფე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე, რომელსაც ჰყავდა სამი ვაჟი. როდესაც ვაჟები დავაჟკაცდნენ, მამამ მისცა მათ თითო ბეჭედი და ბედის საძებნელად გაგზავნა, თან დაარიგა, თუ სადმე გზა დაგებნათ, ამ ბეჭდებს უბრძანეთ და გაპოვნინებთო.

წავიდნენ ძმები. პირველმა პირველი გზა აირჩია, მეორემ — მეორე. მესამე კი აძვრა იქვე, შორიახლოს მდგარ დიდ ხეზე, იქიდან გადაიხედა და ერთი დიდებული სასახლე დაინახა. წავიდა უფლისწული ამ სასახლისკენ. მივიდა უცხო სამეფოში, სადაც უმშვენიერესი მეფის ასული ჰყავდათ, შეუყვარდა მეფის ასული. თუ მამაჩემის პირობას შეასრულებ, ცოლად გამოგყვებიო, უთხრა მეფის ასულმა. მივიდა უფლისწული მეფესთან და ჰკითხა, რითი გემსახუროთო. მეფემ უთხრა, ღამით მზე მაჩვენეო. ძალიან კარგიო. ბიჭს გაეგო, რომ ის მეფე სულელი იყო, ამიტომაც დაღამდა თუ არა, გამოიყვანა იგი გარეთ, ცაში აახედა და მთვარე დაანახა — აი, მზეო.

მეფეს ძალიან მოეწონა ღამის მზე, რადგან არც კი იცოდა, მთვარე თუ არსებობდა. დაქორწინდა უფლისწული იმ სულელი მეფის ასულზე, ჩამოიყვანა თავის სახელმწიფოში და სიკვდილამდე ბედნიერად ცხოვრობდნენ.

ხათუნა ქემაშვილი,
წნორის მე-8 საშუალო
სკოლა, VI კლასი.

ორგანიზაციისათვის ძალზე დროულია; დახვეწას მოითხოვს „აისის" მთავარი მიზანი", — გვწერს მანანა კეჭელაშვილი, თბილისის 67-ე სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

მანანას მოსაზრებას ამ სკოლის პიონერების, კერძოდ, მერვეკლასელთა მოსაზრებასაც დავუმატებთ: აი, რას გვწერენ ვასიკო რუბაშვილი, გოგა მგალობლიშვილი, ბექარ ჯუმუტია, ხათუნა მონიავა და ეკა ტიკარაძე. „გულდასმით გავეცანით „აისის" წინადადებებს. მოგვეწონა სახელწოდება „აისი". მოგვწონს „მაისელებიც", ოქტომბრელების სახელი... „აისში" ზარმაცი და პასიური ბავშვებისათვის ადგილი არ უნდა იყოს. რაზმეულის ნაცვლად სიტყვა ლაშქარიც მოგვეწონა, ქართულია! ამასთან ერთად გვინდა ციხესიმაგრე „მამულეთს" ერთი პუნქტიც დაემატოს: აისელმა პატივი სცეს ქრისტიანულ რელიგიას, შეისწავლოს საქართველოში მისი ისტორია".

ქუთაისიდან მე-6 სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ლიანა დეისაძე გვწერს: „მე და ჩემს ამხანაგებს ციხესიმაგრე „ირმისა" მოგვეწონა, რომელიც ბუნების დაცვას ეხება. ეს ხომ თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა". ქუთაისის 25-ე სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ლაშა ჯიქია კი გვატყობინებს: — „გულახდილად გეტყვით, „აისში" ბევრი რამ შეფერადებულია, არის გამეორებები, უნდა გასწორდეს".

— „აისის" მიზანი და ამოცანა უფრო დემოკრატიულია, ვიდრე საკავშირო პიონერთა ორგანიზაციისა, სიტყვა პიონერი კი ჩემის აზრით უნდა დარჩეს! რა დააშავა? — პიონერი ხომ პირველს, წინამავალს, პირველ გზამკვლევს ნიშნავს, — გვწერს ირმა ხაჭიშვილი ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკადან.

...როგორიც იყო პიონერთა ორგანიზაცია, — ის უკვე ისტორიაა და ვერ შეცვლით, განქიქება არ არის საჭირო. მთავარია, ახლა როგორ განახლდეს იგი, რა გაკეთდეს, რათა რესპუბლიკის ბავშვთა ორგანიზაციებმა ფეხი აუწყონ საზოგადოების ცხოვრებაში




მიმდინარე საჯაროობისა და გარდაქმნის პროცესებს; მან ხომ თავისთავად ასახვა უნდა ჰპოვოს (ასეც არის) მოზარდთა ორგანიზაციაში. იქნებ „აისის" ციხესიმაგრეებისკენ მიმავალი გზები ის ბილიკებია, რომლებიც ხვალინდელ საქართველოს ღირსეულ მამულიშვილებს აღუზრდის.

ნათელა ფაილოძე

**ბირგიტა გედინი**

**მხატვარი იოსებ სამსონაძე**



# პატარა სახლი ზღვიდან

მ ო თ ხ რ ო ბ ა

**ღამღამობით ბნელ ზღვაში გემები ციცინათელებივით მოჩანან. შემოდგომაზე, თბილი ქვეყნებისკენ რომ მიეშურებიან, ფრინველები გუნდებად გადაუფრენენ ხოლმე ზღვას. ვარსკვლავები და მთვარეც ნელ-ნელა გადივლიან ცას... ფრიალო კლდეზე მდგარი პატარა სახლი კი ადგილიდან არასოდეს არ იძვრის. დგას, დღემუდამ გასცქერის ჰორიზონტს და... ოცნებობს... იქ, შორეულ ხაზს იქით, ოკეანესა და ცას რომ აცალკევებს, ალბათ სხვა სამყაროებია! პატარა სახლს ძალიან უნდა, ხომალდი იყოს. მაშინ შეძლებდა შორს გაეცურა და იქნებ ჰორიზონტის სხვა მხარეც აღმოეჩინა. იქნება მართლა გემი ვარო, ფიქრობს იგი. ამაზე გვიამბობს შვედი მწერალი ბირგიტა გედინი მოთხრობაში „პატარა სახლი ზღვიდან“.**

**მთარგმნელისაგან**

იყო ერთი პატარა სახლი; ის სახლი კლდოვან კუნძულზე ცხოვრობდა, სულ მაღლა იდგა, ფრიალო კლდეზე, საიდანაც ბევრი რამის დანახვა შეეძლო.

მისი კრიალა ფანჯრები დაჟინებით და ფხიზლად იცქირებოდა ყოველ მხარეს — ჩრდილოეთით და სამხრეთით, აღმოსავლეთით და დასავლეთით... და საითაც უნდა გაეხედა, ყველგან წყალი ჩანდა, ხოლო საცა წყალი თავდებოდა, ცა იწყებოდა.

მხოლოდ ერთი ვიწრო ხაზი ჰყოფდა ცასა და ზღვას — ეს ჰორიზონტი იყო და ჰორიზონტს იქით კი არავის არ შეუძლია დაინახოს რამე, რადგან ჰორიზონტი, მართალია, ძალიან თხელია, მაგრამ კედელივით სქელიც არის. თუმცა... ამის გაგება ძალიან უჭირდა პატარა სახლს.

ცაზე ღრუბლები დაცურავდა და ზღვაში — ნავები; პატარა სახლი კი სულ უმოძრაოდ იყო. იდგა და იდგა თავის მყარ საძირკველზე და თან უკვირდა, თან ელოდა, თან ოცნებობდა...

რამხელა და რა ბევრი ხომალდი მიმოდიოდა იმ დიდ წყალში, ჰორიზონტზე ლივლივებდა და თხელ ხაზს იქით უჩინარდებოდა. მერე ნელ-ნელა სხვა, ახალი გამოჩნდებოდა.

ღამით ისინი ციცინათელებივით ანათებდნენ სიბნელეში, „წამოდი, წამო“, — ქარში თითქოს ასე ეძახდნენ პატარა სახლს.

პატარა სახლი კი ლოდინითა და იმედით აშუქებდა თავისი ფრიალო კლდიდან. ძალიან უნდოდა გაეგო, რა ხდებოდა იქითა მხარეს.

საით მიდიან? საიდან მოდიან? ნეტავი ნავი მაინც ვიყოო, — სევდით ფიქრობდა პატარა სახლი.

რა გულმოდგინედაც უნდა ცდილიყო, პატარა სახლი ერთი გოჯითაც ვერ იძროდა ადგილიდან და მისი ხის კედლები აღელვებული ჭრაჭუნობდა.

სახურავს ზემოთ ჩუმად დაეხეტებოდა მთვარე და თავისი ფერმკრთალი სხივით ანათებდა ყველაფერს, რაც მიცურავდა, მიხტოდა თუ მიჰქროდა დაბლა...

მარტო მე ვდგავარ უმოძრაოდო, — წყენით ფიქრობდა პატარა სახლი, დახუჭავდა თვალებს და მიხურავდა კარს.

შიგ სახლში კი ოთახი იყო, რომელსაც ძალიან ბევრი რამ ახსოვდა — ეს მეხსიერების ოთახი იყო; სახლში ჩურჩული გაისმოდა — ტყისა და ზღვის ჩურჩული.

ზევით, სახურავზე, გაფისული გროტ-ანძა იდგა, დაბლა კი — იმავე ხომალდის უკანა და წინა ანძა. იმ ხომალდს „იდა-სტინა“ ერქვა და ერთ შემოდგომაზე, როცა ქარიშხალი ამოვარდა, იგი გაირიყა, კლდეს მიეხეთქა და დაიმსხვრა.

მაგრამ გადარჩა ხომალდის დირეები და მორები; მალე ადამიანები მოვიდნენ და ეს ხის მასალა მეჩეჩს იქით, მაღალ ადგილას გადაზიდეს, რომ ზღვა ვეღარ მისწვდენოდა.

მთელ ზამთარს იქ ეწყო და როცა გაზაფხულდა, პატარა სახლი ააშენეს. ყოველთვის საამური როდია, რომ ნავი იყო, თუმცა პატარა სახლს თავისი არსებობის ადრინდელი წლები თითქმის არ ახსოვდა.

რატომ არა ვარ ნავი, ფიქრობდა იგი, თავისუფალი ვიქნებოდი, აფრას გავშლიდი და გავცურავდიო.

სხვა სახლები ერთადა დგანან, ერთადერთი მე ვდგავარ მარტო. სხვა სახლებს შუა ბევრი გზაა, აქეთკენ კი ბილიკიც არ ჩანს. ალბათ გრიგალში გამომრიყა ზღვამ და შეცდომით აი, აქ დავსახლდიო.

პატარა სახლს მოსწონდა თავისი ღია გადასახედი და ისიც, რომ ამინდი სულ მუდამ უცვლიდა ფერს ტალღებს. რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო მეტად სჯეროდა იმისა, რასაც ფიქრობდა.

ერთ დღეს ადამიანები მოვიდნენ თავიანთი აბგებითა და სკივრებით და აქ დარჩნენ. პატარა სახლი განათდა. იგი მთელ კუნძულს აშუქებდა და მოწმენდილ ღამეში განათებული გემივით მოჩანდა. ბუხრიდან კვამლი აიზიდა, ოთახები ხმებით აივსო და გათბა.

ეს ისე კარგი იყო, რომ პატარა სახლი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, ახლა სახლი ვარო. მისი კარი მთელი დღე ღია იყო და გარეთ, თეთრეულის თოკზე პლაჟის ფერად-ფერადი პირსახოცები და ზეწრები ფრიალებდა.

მთელ ზაფხულს სხვა სახლებივით ცხოვრობდა პატარა სახლი, სხვა რაიმეზე ფიქრისათვის ვეღარც იცლიდა. და მანსარდაზე მოთამაშე ბავშვების გარდა არავინ იცოდა, რა ჰქონდა მას გულში. ბავშვები ერთმანეთს იმ ადგილებზე უამბობდნენ, სადაც კუნძულებიც კი დაცურავენ.

დადგა შემოდგომა. თეთრეულის

თოკი მოხსნეს, აბგები გაიტანეს და ბოლოს ადამიანებმაც გაიხურეს კარი. პატარა და მაგარმა ნავმა ხვნეშით გადმოსცურა ფიორდი, რომ უკან წაეყვანა ადამიანები.

ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა.

„მოიცადეთ! მოიცადეთ! მაგ ნავის მაგივრად, ჩემით გასცურეთ!"-დახურული ფანჯრებიდან მისძახოდა ადამიანებს პატარა სახლი.

მაგრამ არავის ესმოდა მისი, გარდა ერთი პატარა გოგონასი, რომელმაც რამდენჯერმე მოხედა სახლს.

რატომ არაფერი ვუთხარი? რატომ არა ვთქვი, რომ მე მართლა ნავი ვარ? — სევდიანად ფიქრობდა პატარა სახლი. — მთელ ზაფხულს წვიმისა და ქარისაგან შევიფარე ყველა და ახლა ადგნენ და მიმატოვეს. ვერაფერიც ვერ გამიგეს... მთელ ქვეყანაზე არავინ არის, რომ შეძლოს დაინანახოს, რაცა ვარ...

პატარა სახლმა ცას მოავლო მზერა, დაინახა, რომ თბილი ქვეყნებისკენ მიირწეოდა ფრინველების გრძელი მწკრივი — თოლიები, შოშიები და ბატები, გუნდ-გუნდად მიფრინავდა ყველა.

„მოიცათ, მოიცათ!" — დაუძახა მათ პატარა სახლმა.

მაგრამ არავინ უპასუხა. სწრაფად მიქროდნენ, რომ სიცივეს და თოვლს რაც შეიძლება მალე გასცლოდნენ.

ქარი უკვე მაგრად ქროდა და ჩრდილოეთის ცაზე შავი ღრუბლები შეიკრა.

„რას წივი?" — დაიყვირა მეთოვლიამ, რომელიც, როგორც წესი, ახლაც საკვამურის თავზე შემომჯდარიყო.

პატარა სახლი ჰოჭმანობდა — მეთოვლია მეგობარი როდი იყო.

„ეს საიდუმლოა", — ფრთხილად მიუგო მან.

„რა საიდუმლო უნდა გქონდეს შენ, პატარა სახლო? ყველას შეუძლია შენი დანახვა", — ქედმაღლურად ჩამოსძახა მეთოვლიამ.

„შეიძლება ეს მთლად გასაგები არ იყოს, მაგრამ მე ნავი ვარ", — აუხსნა პატარა სახლმა მორცხვად, თან ცდილობდა, როგორც კი შეეძლო, ნავს დამგვანებოდა.

„ჰა, ჰა, ჰა", — უდიერად გაიცინა მეთოვლიამ და გაფრენისას სახურავზე მოლურჯო სკორე დატოვა.

„ნავი ვარ! ნავი ვარ!" — დაადევნა ხმა პატარა სახლმა.

წვიმის მსხვილი წვეთები ცრემლებივით დასდიოდა ფანჯრებს. მთელ ორ დღესა და ღამეს სდიოდა ღვარივით. პატარა სახლი ძალიან მარტო იყო და ძალიან სველი. ეს კია, რომ წვიმისაგან მთლად ჩამოირეცხა ის, რაც მის სახურავზე ჩიტმა დატოვა. მესამე დღეს წვიმამ საბოლოოდ გადაიღო. ფრინველების დიდი გუნდი კიდევ ერთხელ შეიკრა ლეგა ღრუბლების ქვეშ, გრიგალივით გადმოიარა, ერთი შემობრუნდა და მიწაზე დაეშვა.

„სუყველა რად ტოვებთ აქაუროებას?" — იკითხა პატარა სახლმა.

„შორს მივფრინავთ, რომ არ დავიხოცოთ", — აუხსნეს შოშიებმა.

„საით მიდიხართ?" — ჰკითხა ისევ პატარა სახლმა.

„თბილი ქვეყნებისკენ", — მიუგეს შოშიებმა.

„იქით რომ ხმელეთი არ არის?!."

„ჰორიზონტს იქით, ჰორიზონტს იქით!", — ისევ გამოსძახეს შოშიებმა.

„მე ნავი ვარ და მინდა ჰორიზონტისკენ გავცურო, ამაზე ვფიქრობ", — თქვა პატარა სახლმა.

შოშიები აფრთხიალდნენ: „ჰიი, ჰიი, ჰიი! ვერავინ და ვერასოდეს ვერ მიაღწევს ჰორიზონტს. მთებსა და ველებს, ტბებსა და მდინარეებს შეიძლება მივაღწიოთ, მაგრამ ვერასდროს ვერ მივაღწევთ ჰორიზონტს. ის ყოველთვის სადღაც ცოტა უფრო შორს არის, ცოტა უფრო წინ".

პატარა სახლს ძალიან უნდოდა ზღვის სიღრმეში ჩაკარგულიყო. „თუ ჰორიზონტის მიღწევა არ შეიძლება, ვერც თქვენ შეძლებთ მის გვერდით ჩავლას, ნუთუ არ გესმით?" — დაუსტვინა მან.

„უნდა ჩავუაროთ, უნდა ჩავუაროთ", — დაიმღერეს შოშიებმა და გაფრინდნენ.

„რაღაცას იგონებთ", — გაადევნა მათ პატარა სახლმა.

მაგრამ არავინ უსმენდა და ისიც დადუმდა.

ღრუბლებიც იმავე მიმართულებით მიიწევდნენ, საითაც ჩიტები გაფრინდნენ. უეცრად ლეგა ღრუბლებიდან მზემ გამოიხედა და შუქურასავით გააჩახჩახა იქაურობა. მზის სხივი ანათებდა ზღვასა და მიწას და მის შუქზე მოჩანდნენ შოშიები, რომლებიც სწრაფად მიფრინავდნენ ტალღებს ზემოთ. მალე ისინი თვალს მოეფარნენ.

საით გაფრინდნენ პაწაწა ჩიტები? — იკითხა პატარა სახლმა, რომელიც დიდხანს თვალგაშტერებით გასცქეროდა მათ.

მერე სამხრეთიდან გამოჩნდა ფრინველების გუნდი, რომელიც საპირისპირო მიმართულებით მოფრინავდა. ჰა, ისევ მოვიდნენ, უკვე დაბრუნდნენ. მაინცდამაინც არ თბილა. — გაიფიქრა პატარა სახლმა და ფარდებს იქით ჩუმად გაიცინა.

ჩიტები პირდაპირ და გაბმულად მოფრინავდნენ და მოახლოებისას პატარა სახლს ისინი გაზრდილები ეჩვენა. შეიძლება, გადაფრენისას ასე შეიცვალოს ვინმე? ძლიერად, ნელი რიტმით იქნევდნენ ფრთებს ყარყარა ყელამართულები, ღრუბლებისკენ თავაწეულები და: „რ-რაჰ, რ-რაჰ, რ-რაჰ", — ბუკის ხმასავით ისმოდა მათი ძახილი.

ესენი ჩვამები არიან და არა — შოშიები; იცის პატარა სახლმა, ადრეც უნახავს: სეზონური ფრინველები არიან,შემოდგომით გამოჩნდებიან და მთელ ზამთარს სანაპიროზე ატარებენ, ხან აფრინდებიან, ხან დაფრინდებიან.

მარტო ერთი ჩვამა მერყეობდა... ის ფრთების ფათქუნით მოასკდა აივანს, ჩაჯდა, მხრებში გაიმართა და შავი ფრთები გასაშრობად ისე გაშალა, რომ, შეიძლება, ეს საიდუმლო რამ ნიშანიც ყოფილიყო.

მოლურჯო-მოშავო კისერზე გამხდარი თავი ედგა, წითელი, გრძელი ნისკარტი ჰქონდა, მკვეთრად მოკაუჭებული და წაწვეტებული, რაღაც ველური შუქი უელავდა მწვანე თვალებში.

პატარა სახლს ასეთი საზარელი არსება თავის დღეში არ ენახა.

„დილა მშვიდობისა", — ორ სიტყვას ძლივს მოუყარა თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„გერრაჰ“, — თქვა ჩვამამ.

„საით წავიდნენ შოშიები? შენ ჰორიზონტიდან მოხვედი?“ — ჰკითხა პატარა სახლმა.

„რომელი ჰორიზონტიდან?“ — ჩვამამ გრძელი ნისკარტით დაამთქნარა.

ისეთი სულელური შესახედაობა ჰქონდა, მეტი რომ არ შეიძლება. პატარა სახლმა ძლივს გაბედა, კიდევ დალაპარაკებოდა.

„იქით ბევრი ჰორიზონტია?“ — ჩურჩულით ჰკითხა.

„ეჭვიც არ შეგეპაროს“, — მიუგო ჩვამამ. — „ყველა ჩვენგანს თავისი ჰორიზონტი აქვს“. — ერთხელაც დაამთქნარა და შავი ფრთები დაუშვა.

პატარა სახლმა ჰორიზონტს გახედა. კარგად დააკვირდა თხელ ხაზს, რომელიც მთელ მის სამყაროს საზღვრავდა — ერთი სულ პაწაწინა ღია ადგილიც კი არ ჩანდა სადმე.

ფიქრი მოერია მის ოთახებს, მაღლა, სხვენამდე. იცის კი ამ ფრინველმა, რასაც ამბობს? სხვა ჰორიზონტები და სამყაროებიც არისო კიდევ და ჩემსას არა ჰგავს? ისინი იმ სხვა მხარეს ეკუთვნიან?

„შენი ჰორიზონტი სად არის?“ — ჰკითხა პატარა სახლმა.

„იქ“, — მიუგო საზარელმა ფრინველმა და პატარა სახლი გაახედა სამხრეთისაკენ, საკუთარი ჰორიზონტის მიმართულებით.

„ო, არა, ის ჩემია“, — მტკიცედ განაცხადა სახლმა.

ჩვამას თვალები მხიარულად აუციმციმდა: „ჰოდა, ახლა უკვე ჩვენია. ისე ახლო ვართ, მეტი რა გზაა, კარგად უნდა გავინაწილოთ“, — უტიფრად წარმოთქვა და აივნის კარზემოთ მთლად გაშიშვლებულ ფანჯრის მინას შეაცქერდა.

„ჰა, ჰა, ჰა.“ — ჩამოჰკივლა ბუხრიდან მეთოვლიამ.

მაგრამ ჩვამას არ გაუცინია; ხმაურით დაამთქნარა. მზე ჩადიოდა.

„სად წავიდნენ შოშიები?“ — ისევ იკითხა პატარა სახლმა.

ჩვამას პასუხი არ გაუცია. მალე ორივეს ჩაეძინა.

პატარა სახლი დასრიალებდა განათებული ზღვის ლივლივა წყალზე. ტალღები ქაფდებოდა, კამკამა წვეთები ეშხეფებოდა იქაურობას.

წყალსადინარები სიცილით ბუყბუყებდნენ, ზოლიანი ფარდა ღია ფანჯარაში დროშასავით ღელავდა.

ბუხრის თავზე ამაყად ამართულიყო დიდი გროტ-ანძა თავისი ოთხი თეთრი აფრით — ბარჯით, მარსელით, კლივერითა და პირდაპირი იალქნით.

„აფრებიც კი მაქვს“, — ბედნიერად ჩურჩულებდა პატარა სახლი ძილში.

როცა ქარი დაუბერავდა, აფრა ტკაცუნობდა და ანძა ჭრიალებდა... დროდადრო პატარა სახლიც გადაქანდ-გადმოქანდებოდა ხოლმე, მაგრამ საფრთხე არ ემუქრებოდა და



ეროვნული ბიბლიოთეკა

კრამიტიც საიმედოდ ეწყო თავის ადგილას, ხუროს სულ სათითაოდ დაემაგრებინა ისინი კაუჭებით.

პატარა სახლი ზღვაზე მიცურავდა.

კუნძული თანდათან პატარავდებოდა და პატარავდებოდა, ჰორიზონტი ახლოვდებოდა. მალე პატარა სახლი გაივლიდა თხელ ხაზს და სხვა სამყაროს გზას დაადგებოდა.

ერთხელაც მოხედა საბოლოოდ კუნძულსა და იმ პატარა სახლებს, რომლებსაც არასოდეს გაუცურავთ საითმე; მაგრამ რამდენიც უნდა მოეხედა, ერთ პატარა კენჭსაც ვერ დაინახავდა.

და... პატარა სახლს შეშინებულს გამოეღვიძა: მზე შინ იყო შემოსული, აივანი — დაცარიელებული იყო, პატარა სახლი კი — დაღალული და დაქანცული. იგი მაინც მტკიცედ იდგა საკუთარ სამყაროში; თუმცა ჩვამა უკვე გაფრენილიყო თავის სამყაროში, სადაც მას საკუთარი ჰორიზონტიც ჰქონდა.

მაგრამ ეს ყველაფერი პატარა სახლის ჰორიზონტს იქით ხდებოდა.

იგი კი მარტო იმის გაგებას ესწრაფვოდა, სად იყო ჩვამა — თავისებური და უცნაური არსება.

ალბათ ისევ მალე დაბრუნდება, — იმედით გაიფიქრა პატარა სახლმა და მთელი დღე ფიქრობდა თავის საზარელ სტუმარზე.

შებინდებისას კი გამოჩნდა გემი, ლამაზი, თეთრი აფრებით — თითქმის ისევე, როგორც ძილში.

„ის წამიყვანს სხვა სამყაროში", — გაიფიქრა პატარა სახლმა და სურვილმა დაუარა მის ოთახებს.

„ქარო! ქარო!" — რაც შეეძლო, ხმამაღლა დაიძახა პატარა სახლმა.

ცივმა ჰაერმა აიტაცა და წაიღო მისი სიტყვები. ჩრდილოეთის ქარს ოდნავ მოესმა ძახილი და ღმუილით გამოქანდა.

„ვინ მეძახის?" — დაიგრიალა ბუხართან.

„მე ვარ", — აკანკალდა პატარა სახლი.

„ვინ — შენა?" — დაიღმუვლა ჩრდილოეთის ქარმა.

„ნავი ვარ, ნავი! დამიბერე და ზღვაზე წამიღე, თუ შეიძლება", — შეეხვეწა პატარა სახლი.

„რაკი მთხოვ... ხომ მთხოვ!.." — დაიგრიალა ქარმა.

ეს ქარი პატარა როდილა იყო, უკვე იმატა და გაიზარდა, ახლა ერთი კიდევ ღრმად ჩაისუნთქა და მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა.

გააფთრდა, მაგრამ რა გააფთრდა! საცა კი შეეძლო, მაგრად მოუჭირა კერპსა და უდრეკ ღვიის ბუჩქებს, მოჭნილსა და რბილ ტირიფებს, სათუთ ბალახს.

დაჰქროდა აქეთ-იქით, ყველაფერს მისდგა და დაერია: სხვენის იატაკიდან ფიცრის აყრა მოინდომა და სახურავიდან — კრამიტისა. აივანსა და ფანჯრის ჩარჩოებს გამეტებით ეხლებოდა. წყალსადინარს მილი მოაგლიჯა და სანამ ტრიალ-ტრიალით წაიღებდა, მაგრად მიახეთქა თეთრ კედელს. პატარა სახლი თრთოდა თავის მყარ საძირკველზე.

უზარმაზარ ტალღებს მამაცურად ებრძოდა გემი, ისევ და ისევ ამოჩნდებოდა და ცდილობდა, კურსი არ დაეკარგა. მხოლოდ ერთი იალქანი შერჩა დაუზიანებელი. ძრავა მთელი ძალით და სისწრაფით მოძრაობდა, მაგრამ ეს საქმეს არ შველოდა. გემი უფრო და უფრო უახლოვდებოდა მუხანათურ ფრიალო კლდეს.

პატარა სახლი თავის ციცაბო კლდეს მოებღაუჭა; აღარსად წასვლა აღარ უნდოდა. გრიგალმა ბევრი ცუდი რამ გაახსენა.

ეს რა ჰქნა? ეს ხომ მან — პატარა სახლმა — გამოიძახა ჩრდილოეთის ქარი, მხოლოდ იმისი ბრალია ეს.

სასოწარკვეთილი კიოდა და ხმა სტვენასავით ამოსდიოდა ბუხრიდან — „გეყოფა! გეყოფა!"

ჩრდილოეთის ქარს ისე ეჭირა თავი, ვითომ არ ესმოდა.

რაღაც პატარა ფიცარი გადმოევლო იქაურობას. პატარა სახლს ვერ გაეგო, საიდან იყო ეს ფიცარი.

დაიკვნესა. პატარა სახლი კერპი იყო და რაც შეეძლო, აიძულა თავისი თავი, მაგრად მდგარიყო იმ შიშველ კლდეზე.

მთელ ღამეს შეშლილივითა ქროდა ჩრდილოეთის ქარი. ერთხელაც არ შეჩერებულა და როცა ინათა, ქარიც ისე იყო დაღლილ-დაქანცული, როგორც პატარა სახლი.

თვალსაწიერზე არსად ჩანდა გემი, მაგრამ, საბედნიეროდ, არც ფიცრები ტივტივებდა ნაპირთან ერთი პატარა ჭდეებიანი ფიცრის გარდა, რომელიც სულაც არ იყო უცხო მისთვის, ეს ის ერთადერთი ფიცარი იყო, გრიგალმა მას რომ მოაგლიჯა.

ღრუბლები ბამბის ფთილებივით იწეწებოდნენ.

პატარა სახლი მზის შუქში გახვეულიყო. და კიდევ ერთხელ მოეჯარა კითხვები:

„მაინც სად მიდიან გემები? საიდან მოდიან?"

ამ დროს ხმამაღალი შეძახილით — „გერრაჰ" — ხმაურით დაეშვა აივანზე ჩვამა.

„სად იყავი?" — ჰკითხა პატარა სახლმა. — ჩრდილოეთის ქარი მოვარდა; მსურდა, შევეცადე, მაგრამ ვეღარ გავბედე, სხვა მხრისკენ გამეცურა".

„ადრე თუ გვიან მაინც მოხვდები იქ. არ მოგწონს აქაურობა?" — ჰკითხა ჩვამამ.

„მომწონს, როგორ არა", — მიუგო პატარა სახლმა და თავის სამყაროს მოავლო თვალი: იალქნიანი ნავების მწკრივი აფრების ფრიალით ეფარებოდა ფიორდს. „განა ნავს შეუძლია ხმელეთზე ცხოვრება?" — იკითხა პატარა სახლმა.

სახურავიდან მეთოვლიას ხარხარი შემოესმათ, მაგრამ არაფრად ჩააგდეს.

ჩვამამ თავი დაუქნია. „მალე ზამთარი დადგება და ზამთარში ბევრი ნავია ხმელეთზე". მისი მწვანე თვალებიდან სითბო იღვრებოდა: პატარა სახლმა მეგობარი შეიძინა.

„მე მართლა ნავი ვარ", — უთხრა ჩვამას. — "არავის სჯერა, მაგრამ ეს მართალია".

ჩვამას გაკვირვება არ გამოუხატავს. „ეჭვი არ მეპარება, შენ უკეთ იცი", — თქვა ბრძენმა ფრინველმა და გასაშრობად გაშალა ფრთები, ან, შეიძლება ეს საიდუმლო რამ ნიშანიც ყოფილიყო.

შორს, კუნძულს იქით, პატარა ფიცარი გაშლილ ზღვაში ნელა მიცურავდა.

თარგმნა მალიკო ხელაშვილმა

**პასუხი 1989 წლის № 5-ში დასმულ კითხვებზე**



# იკორთა

იკორთის მონასტერი მდებარეობს ცხინვალის რაიონის სოფელ იკორთაში, ისტორიულ ქართლში, ორბოძალის მთის სამხრეთ კალთაზე, ცხინვალიდან 85 კმ-ის დაშორებით, გორიდან 20 კილომეტრზე. მდ. მეჯუდის გაღმა გზას ვიწრო ხეობაში შევყავართ. აქ მწვანე მთების გარემოცვაში დგას იკორთის მონასტერი, დიდი, გუმბათოვანი ეკლესია. ვახუშტი გვიამბობს: „ორბოძლის მთის სამხრეთით არს მთის კალთასა შინა იკორთის მონასტერი, დიდი გუმბათიანი, კეთილად ნაშენი, კარგს ადგილს; ზის არქიმანდრიტი".

1811 წლამდე მონასტერი მოქმედი იყო. იგი XII საუკუნეში აუგიათ. აქ, ეკლესიის გარდა, თავის დროზე უნდა ყოფილიყო სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობანი, რომელთა კვალი, სამწუხაროდ, დღეს აღარ ჩანს. ამჟამად ძეგლის ირგვლივ მხოლოდ გვიანდელი შენობების ნანგრევებია. გვიან შუა საუკუნეებში ქსნის ერისთავებმა, ამ მხარის მფლობელებმა, ეკლესიას შემოავლეს გალავანი, რომელშიც ჩართული იყო კოშკები. დასავლეთით, მაღალ ადგილას, ციხესიმაგრე იდგა. გალავანი დაინგრა, ციტადელი კი დარჩა დაზიანებული სახით.

ისტორიული წყაროები იკორთის მონასტერზე ნაკლებადაა შემონახული. მონასტრის აგების შესახებ ცნობას გვაწვდის ძეგლის წარწერები, თუმცა ამჟამად ეს წარწერებიც განადგურებულია. ისინი XIX საუკუნეში ამოიკითხეს, თანაც მხოლოდ ნაწილობრივ. დასავლეთის ფასადის მარჯვენა ნაწილში, კარიბჭის მიდამოებში გაკეთებულ სამშენებლო წარწერაში გარკვეულია მხოლოდ ქორონიკონი ტჟბ — 1172 წელი. წარწერაში მოხსენიებულ პირთა ვინაობის დადგენა არ ხერხდება. არ ვიცით, თუ ვინ არიან აქ მოხსენიებული ვარდანი და არსენი. ჭიაბერი კი უნდა იყოს გიორგი III-ის აღზრდილი, მისი მეჯინიბეთუხუცესი, რომელსაც თამარის დროს მანდატურთუხუცესობა უბოძეს. ძეგლზე კიდევაა საინტერესო წარწერები. ტაძრის აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარებია იოანეს, ქსნის ერისთავს. ეს უნდა მომხდარიყო XIV საუკუნეში. სხვა წარწერის თანახმად, ქსნის ერისთავს იესეს დიდი სამუშაო ჩაუტარებია. სამრეკლო 1789 წელს მტერს დაუნგრევია. XVIII საუკუნის ბოლოს გალავანიც დაქცეულა. იკორთის ტაძარშია დაკრძალული კახეთის აჯანყების გმირები ელიზბარ და შალვა ერისთავები და ბიძინა ჩოლოყაშვილი, რომლებიც ირანში სიკვდილით დასაჯეს.

იკორთა ცენტრალურ-გუმბათოვანი ტაძარია. შესასვლელი დასავლეთით და სამხრეთით აქვს. გუმბათი საკურთხევლის შვერილებსა და დასავლეთის პილონებს ეყრდნობა. გუმბათქვეშა თაღები შეისრული ფორმისაა. გუმბათის ყელს 12 სარკმელი აქვს. საკურთხეველი ღრმაა. აფსიდის კონქის თაღი და ბემის კამარაც შეისრული მოხაზულობისაა. ნახევარწრიული აფსიდის კედლები თანაბრადაა დანაწევრებული სამი სარკმლითა და ნიშებით. შუა სარკმელი უფრო დიდია. საკურთხევლის გვერდითი სათავსები გრძელია და აფსიდებით მთავრდება, აქვთ თითო სარკმელი. აღნიშნული სათავსები ეკლესიის ცენტრალურ დარბაზს განიერი თაღით უკავშირდება; თაღები იმპოსტებს ეყრდნობა. სამკვეთლო კარით უკავშირდება საკურთხეველს. სადიაკვნოსა და სამკვეთლოს თავზე სამალავებია. ტაძრის აღმოსავლეთი მკლავი, როგორც ითქვა, აფსიდურია, დანარჩენი — სწორკუთხა. აფსიდა კონქით მთავრდება, დანარჩენი მკლავები კამარებითაა გადახურული. დასავლეთის მკლავი გვერდითი ნავებისაგან წყვილი თაღითაა გამოყოფილი. მეორე სართულზე პატრონიკეა, იგი ორი ნაწილისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთს ორ-ორი თაღით უკავშირდება. თაღები პატარებია, ამიტომ შუქი აქ ძნელად აღწევს და ბნელა. სამხრეთის მხარეს მას ერთი პატარა სარკმელი აქვს. ჩრდილოეთითაც არის ასეთივე ორი სარკმელი, ოღონდ იმდენად პატარები, რომ საკმარის სინათლეს ვერ იძლევიან. ქვედა სართულზე ნავები ორ-ორი ჯვრული კამარითაა გადახურული, ზედა სართულზე ცილინდრული კამარებია გამოყენებული. ეკლესიის საერთო ინტერიერს ანათებს გუმბათის ყელის 12 და ჯვრის მკლავებში განლაგებული სამ-სამი სარკმელი (დასავლეთის მკლავში მხოლოდ ორი სარკმელია). ინტერიერი მოსახატავად გაუთვალისწინებიათ, ამიტომ კედელი ფლეთილი ქვითა და აგურით უხეშადაა ნაგები. კედელზე თავის დროზე ფრესკები ყოფილა, ჩვენამდე მხოლოდ კედლის მხატვრობის ფრაგმენტებია მოღწეული. ფასადები თითქმის პირვანდელი სახით შემორჩა. დასავლეთით ახალი, დიდი და უშნო, უპროპორციო კარიბჭეა მიშენებული, რომელიც ამახინჯებს ფასადს.

# ხალხური იგავები და ზღაპრები

## სიმართლის ძალა

ერთი ღარიბი კაცი ცხენით მიდიოდა. შუადღისას ძალზე ჩამოცხა. მხედარმა ცხენი ხეზე მიაბა და თვითონ მეორე ხის ძირას ჩამოჯდა.

ამ დროს მდიდარმა კაცმა გამოიარა და იმანაც იმ ხეს მიაბა თავისი ცხენი.

— მანდ ნუ დააბამ, თორემ ჩემი ცხენი ძალიან ფიცხია: შეიძლება აიწყვიტოს და ცხენი დაგიმარცხოს, — გააფრთხილა ღარიბმა.

— რა შენი საქმეა! სადაც მინდა, იქ დავაბამ, — ქედმაღლურად მიუგო მდიდარმა. მაგრამ სიტყვის დასრულებაც ვერ მოასწრო, რომ ღარიბის ცხენმა აიწყვიტა და მეორე ცხენს დაეძგერა.

ცხენების პატრონები წამოცვივდნენ და ხესთან მიირბინეს, მაგრამ უკვე გვიანი იყო: მდიდარი კაცის ცხენი უსულოდ ეგდო მიწაზე.

— გაზღვევინებ, შე არამზადა! — დაემუქრა მდიდარი ღარიბს და მოსამართლესთან წაიყვანა.

— ბატონო მოსამართლევ, ამ უსინდისოს ცხენმა საუკეთესო ცხენი მომიკლა. გთხოვთ, საფასური გადაახდევინოთ და ციხეში უკრათ თავი.

— მართალს ამბობს? — ჰკითხა მოსამართლემ ღარიბს.



ღარიბი დუმდა.

— ლაპარაკი არ იცი?

კვლავ დუმილი.

—ვერაფერს გიშველი, — მიუბრუნდა მოსამართლე მდიდარს. — ხომ ხედავ, მუნჯია!

# იცნობ თუ არა შენი ქვეყნის ძეგლებს?





ბავშვებო, მოგვწერეთ, რა არის ამ ფოტოზე აღბეჭდილი და რა იცით მის შესახებ

ძეგლი მთლიანად კარგად დამუშავებული ქვის ფილებითაა შემოსილი, ფასადები — თაღებით გაფორმებული. ყველაზე კარგად და მდიდრულად, ტრადიციის თანახმად, აღმოსავლეთის ფასადი გაუფორმებიათ. აქ განლაგებულ ორ მოზრდილ ნიშს თითო თაღი აქვთ განაპირა მხარეებზე. ასეთივე თაღები შემოუყვება ნიშებს, შემდეგ კი კარნიზამდე ერთი თაღია, რომელსაც გვერდებზე პატარა თაღები ემიჯნება. ზემოთ ჯვარია, შემდეგ — ორნამენტით დამშვენებული საკმაოდ დიდი კოპი, მის ქვემოთ — სარკმელი, საკმაოდ განიერი ორნამენტული არშიით მორთული. ამ კარგად და მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებულ ორნამენტურ დეკორს ერთიან ელემენტებად ჰკრავს, მათ მხატვრულ სახეს ამთავრებს ლილვები. დასავლეთის ფასადი სამ ნაწილადაა დაყოფილი თაღებით. ცენტრალური თაღი, როგორც ქართულ ძეგლებს ახასიათებთ, განიერი და მაღალია. აქვეა ორი მაღალთაღებიანი სარკმელი, რომლებიც ჩუქურთმიანი ფართო საპირეებით არის დამშვენებული. ორნამენტი ფაქიზად და მაღალი ოსტატობითაა შესრულებული. სამხრეთის ფასადი, ასევე, თაღოვანია და აქაც ზუსტად მეორდება დასავლეთის ფასადის კომპოზიციური წყობა. იგი უკეთაა შენახული და სრულ წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ როგორი დახვეწილი გემოვნებით, ზომიერად და მთლიანი კომპოზიციური სქემით მუშაობს ოსტატი. აქ ყველაფერი გათვლილი და გაანგარიშებულია, არაფერია ზედმეტი. ოსტატს უბადლო დეკორატიული ალღო აქვს. უპირატესად უნდა აღინიშნოს, რომ ზუსტადაა გააზრებული წიბოების ლილვები (ისინი ძალზე კარგადაა შენახული). განაპირა თაღებში მოთავსებული ორ-ორი სარკმლის მოჩარჩოებიდან ჩვენამდე თითოა მოღწეული.

გუმბათის ყელი ცილინდრულია. მის თორმეტ სარკმელს ფართო მოჩუქურთმებული არშია შემოუყვება. სარკმლები უწყვეტი თაღებით ბოლოვდება. ტაძარი გადახურულია ქვის ფილებით, გვიან ხანებში მიშენებული კარიბჭე კი კრამიტითაა გადახურული. ტაძრის ოთხივე მხრის კეხზე ეკლესიის გვიანდელი მოდელი დგას.

იკორთის ტაძარი თავისი კონსტრუქციით, ფორმითა და შესრულების დონით, მხატვრული ღირებულებით XII—XIII საუკუნეების ერთ-ერთი საუკეთესო და მნიშვნელოვანი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლია.

ამირან ჩხარტიშვილი

— რას ამბობ, სიმართლის მეუფევ, ეს კაცი ერთი საათის წინ მელაპარაკებოდა!

— მართლა გელაპარაკებოდა? — გაიკვირვა მოსამართლემ. — მაშ, მითხარი, რას გელაპარაკებოდა?

— მითხრა, ჩემი ცხენი ძალიან ფიცხია, შენს ცხენს გვერდით ნუ მიუბამ, ვაითუ აიწყვიტოს და დაგიმარცხოსო.

— ო, ახლა ყველაფერი ნათელია, — თქვა მოსამართლემ და ღარიბს მიმართა: — რატომ არ იღებდი ხმას?

— მინდოდა, სიმართლე გაგეგოთ.

— ძალიან გონივრულად მოიქეცი, — მოუწონა მოსამართლემ და ღარიბი თავაზიანად გაისტუმრა.

მდიდარმა კი საზღაურად ერთი გროშიც ვერ მიიღო.

## გაწბილებული ფისო

ზამთრის ერთ სუსხიან დილას ჩვენს ეზოში პაწია ბეღურა შემოფრინდა და საკენკს დაუწყო ძებნა. ბეღურას კატა მიეპარა და



ბრჭყალებში მოიმწყვდია. ის იყო, კატამ მსხვერპლს შესანსვლა დაუპირა, რომ უცებ ბეღურა აწრიპინდა:

— რას სჩადიხარ, ფისო, პირდაუბანელი აპირებ საუზმის მირთმევას?! სირცხვილით თავი სადღა უნდა გამოვყო?!

კატამ ბეღურას წუთით თავი მიანება და თათებით პირი „დაიბანა“.

ბეღურამ დრო იხელთა და გაფრინდა.

გაწბილებულმა კატამ გაფრენილ ჩიტს თვალი გააყოლა და ნერწყვი ჩაყლაპა.

ამიტომ არის, რომ ახლა კატა ყოველთვის საუზმის შემდეგ იბანს ხოლმე პირს.

თარგმნა შ. შოთაძემ

## თინათინ გაგოშიძე

### საფორტეპიანო პიესა

# „ინდი-მინდი“




თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ ზ. ფალიაშვილის სახელობის საშუალო სპეციალურ სამუსიკო სკოლას მიმდინარე წელს 50 წელი შეუსრულდა. ყველასათვის ცნობილია, რომ ამ საყოველთაოდ აღიარებულ მუსიკალური აღზრდის კერაში თავისი პირველი ნაბიჯი გადადგა მრავალმა მსოფლიო მასშტაბის მუსიკოს-შემსრულებელმა, კომპოზიტორმა თუ პედაგოგმა.

დღესაც იუბილარი სკოლა (დირექტორი — სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი გ. ხატიაშვილი) მდიდარია იმედისმომცემი მოსწავლეებით, რომლებიც, ბუნებრივ ნიჭთან ერთად, შრომისუნარიანობით ხასიათდებიან. ერთ-ერთი მათგანია საფორტეპიანო განყოფილების V კლასის მოსწავლე თინათინ გაგოშიძე. მისი აღმზრდელია ახალგაზრდა პედაგოგი თ. სარჯველაძე, რომლის ხელმძღვანელობით თინათინი მრავალ აკადემიურ, საჩვენებელ თუ „საბავშვო მუსიკის კვირეულის“ კონცერტზე წარმატებით წარმდგარა მსმენელის წინაშე.

ბეჯითი გოგონა თავადაც თხზავს. იგი არაერთი საფორტეპიანო პიესისა თუ საბავშვო სიმღერის ავტორია.

კომპოზიტორმა ალექსი შანიძემ, რომელთანაც თინათინი ეუფლება კომპოზიციის საფუძვლებს, რედაქციას შემოსთავაზა ნორჩი მუსიკოსის საფორტეპიანო პიესა „ინდი-მინდი“.




გივი კეჭრიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაბამისი ზომის თარგზე დავჭიმოთ უკვე მოქსოვილი დეტალი ისე, რომ ნაქსოვის შიდა უკუღმა პირი ზემოდან მოხვდეს. ზედ სველი ნაჭერი დავაფინოთ და ცხელი უთო გავატაროთ. უთო ნაქსოვის ზედაპირს მხოლოდ იმდენად უნდა შეეხოს, რომ შალი დაორთქლოს (ძლიერად უთოვდება მხოლოდ ქალის წინდისებურად ნაქსოვები). დაუთოებული დეტალი შევაგრილოთ და თარგიდან მოვხსნათ. არ უთოვდება რეზინისებური ნაქსოვები, რელიეფური და ამობურცული ნაყშებით მოქსოვილი დეტალები, ასევე, ბუკლეს ძაფით ნაქსოვებიც. ისინი, უმჯობესია, სველ ნაჭერზე გავშალოთ, დავფაროთ ხაოიანი პირსახოცით და ორი საათით გავაჩეროთ გასაშრობად.

ავლამბოთ უკვე გამშრალი დეტალები, ტანზე მოვიზომოთ, ხარვეზები შეძლებისდაგვარად დავუფაროთ. დეტალები შეიძლება ერთმანეთს მივაკეროთ საკერავი მანქანითაც და ხელითაც. მიკერებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მხრის ნაკერს. ზედმეტად რომ არ დაიჭიმოს, მას ვიწრო თასმა უნდა ჩავაყოლოთ, თუ საყელო ცალკე მოვქსოვეთ, იგი თავდაპირველად უნდა წავაკეროთ გულისპირს, ოღონდ ისე, რომ შუანაწილითა და კიდეებით, შესაბამისად, გულისპირის ცენტრსა და თამასების ცენტრებს გავუთანაბროთ. თუ ნაქსოვ დეტალებს შორის ელვის ჩაკერებასაც მოვიწადინებთ, მაშინ მისთვის დატოვებულ ჭრილზე დაახლოებით 1 სმ-ით მოკლე ელვა უნდა შევარჩიოთ.




მისი ჩაკერების დროს ჭრილის კიდეებს მსუბუქად მოვჭიმავთ.

### ტრიკოტაჟული ნაკერი

ნაქსოვ ნაწილებს ვაერთებთ ე. წ. ტრიკოტაჟული ნაკერით. არსებობს ამ ნაკერის




# ნაქსოვი დეტალების დამუშავება — აწყობა

რამდენიმე სახე.

ჰორიზონტალური ნაკერი. მომთავრებულ დეტალს ბამბის ძაფით ბოლოში მოვაქსოვოთ 2-3 რიგი ისე, რომ ბოლო რიგის თვლები არ გადავხუროთ. ნაქსოვი დეტალები ჩხირებიდან მოვხსნათ, დავაუთოოთ და ისევ მოვარღვიოთ ბამბის ძაფით მოქსოვილი რიგები, დაგვრჩება ღიათვლებიანი კიდეები. მისაკერებელი ნაქსოვი დეტალები მაგიდაზე დავდოთ, ოღონდ ისე, რომ ღია თვლებიანი კიდეებით ისინი პირისპირ მოხვდნენ (სურ. № 1). დავიწყოთ მიკერება. ამისათვის ნემსი ჯერ შევიყვანოთ (უკუღმა პირიდან) ერთი დეტალის ქვედა რიგის პირველ თვალში და შემდეგ (უკუღმა პირზე) იგი ჩვენკენ გამოვწიოთ. ამის შემდეგ ნემსი გამოვატაროთ მეორე დეტალის ზედა რიგის პირველ თვალში.




იგივე გავაკეთოთ ნაქსოვის წაღმა პირზე ისე, რომ ნემსი (უკუღმიდან წაღმაზე) ზედა რიგის მეორე თვალში გამოვიღოთ. ნემსით ზემოდან ისევ შევიდეთ ქვედა რიგის პირველ თვალში და ქვევიდან გამოვიდეთ ქვედა რიგის მეორე თვალში. შემდეგ იგი შევიყვანოთ ზედა რიგის მეორე თვალში ზემოდან და გამოვიყვანოთ ზედა რიგის მესამე თვალში ქვემოდან. ასე — ბოლომდე.

ვერტიკალური ნაკერი სრულდება ნაქსოვის წაღმა პირზე ძირითადი ძაფით. ამისათვის საჭიროა, რომ ნაქსოვი ნაწილების მარცხენა და მარჯვენა კიდეები ერთმანეთთან შევაერთოთ, როგორც ეს № 2 სურათზეა.




გავეცნოთ ნაქსოვი დეტალების შეერთების კიდევ ერთ წესს; ვთქვათ, საჭიროა მოქსოვილი ტანსაცმლის ცალკეული ნაწილების, მაგალითად, საყელოს კიდეების შემკობა ზოლით. ამისათვის მოვქსოვოთ დაახლოებით 3 სმ სიგანის ზოლი იმგვარად, რომ დასაწყისი და ბოლო ორი-სამი რიგის თვლები ამოვიყვანოთ ბამბის ძაფით. დავაუთოოთ გამზადებული ზოლი და მოვარღვიოთ მას თავ-ბოლოში ჩაყოლებული ბამბის ძაფი. დაგვრჩება ვიწრო ზოლი ცალ მხარეს დატოვებული ღია თვლებით. სწორედ ამ მხარით დავადოთ იგი საყელოს კიდეებს და მოვაკეროთ იმგვარად, როგორც ეს № 3 სურათზეა ნაჩვენები. მიკერებისას სჯობს გამოვიყენოთ ნაქსოვის ძირითადი ძაფის ნართი ან მისივე ფერის ნაზი ძაფი. ამ უბრალო ოპერაციის შესასრულებლად ძაფი მისაკერებელ ზოლზე დაახლოებით სამჯერ მეტი სიგრძისაც იკმარებს. შევიყვანოთ ნემსი მეორე თვალში უკუღმით, გამოვიყვანოთ იგი ჯერ წაღმიდან პირველ და შემდეგ უკუღმიდან — მესამე თვლებში, ამის შემდეგ კიდევ გამოვატაროთ მეოთხე და მესამე თვლებში და ა. შ. ეს ნაკერი ძალიან ჰგავს ნაკერს „ნემსით — უკან", რადგან მიკერებისას ნემსი წამდაუწუმ უკან ბრუნდება.

## უცხოური იუმორი

— ტოტო, რას გიგავს ნაწერი? ასოები დაგრეხილია, თანაც მოთხუპნულია, შენს ასაკში მე უკეთესად ვწერდი, — დატუქსა ბავშვი მასწავლებელმა.

— მართალი, ბრძანდებით, პატივცემულო, თქვენ ალბათ უკეთესი მასწავლებელი გყავდათ.

* * *

გაილვიძა თუ არა ძილით ჟაკმა, თავის ტკივილი აჰყვა და დედას შესჩივლა:

— დედიკო, თავი მტკივა.

— რატომ, გენაცვალე, ცუდად გძინა?

— არა, დამესიზმრა, გაკვეთილებს ვსწავლობდი.

* * *

— ქოლგა დავკარგე.

— როდის შენიშნეთ?

— როცა მისი დაკეცვა მოვინდომე.

ფრანგულიდან თარგმნა
იონა ბადავიძემ.

## ჯადოსნური სარკე

### ტყისმჭრელის კოშმარი

ხის მოჭრა თითქოს სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს, თუკი ეს ტროპიკულ ტყეში არ ხდება. საქმე ისაა, რომ ტროპიკულ ტყეში ხის ტანი განიერი და მკვრივია და მის გადახერხვას სამი დღე-ღამე სჭირდება. ტყისმჭრელი კიბის საშუალებით მაღლა ადის და იქ ჭრის ხეს. ბოლოსდაბოლოს, ხე გადახერხილია, მაგრამ არ იქცევა. რატომ? იმიტომ, რომ მისი ტოტები ისეა გადახლართული მეზობელი ხეების ტოტებთან, რომ



ტყის საერთო სახურავი წაქცევის საშუალებას არ აძლევს. ტყისმჭრელი ისევ მაღლა მიიწევს, ისევ სჭირდება კიბე...

ასე იკაფება ტყე ზაირში, გაბონსა და ტანზანიაში. ამიტომ აფრიკის ქვეყნებში ტყისმჭრელის პროფესია პატივისცემით სარგებლობს.

### მდგომარეობის სიმაღლიდან

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ფეხბურთმა ეთიოპიაც დაიპყრო, მაგრამ ფეხბურთის აქაურ მესვეურთა აზრით, ტემპერამენტიან მოთამაშეებთან ერთად მოედანზე მკვირცხლად მორბენალი მსაჯი საკმაოდ არაავტორიტეტულად გამოიყურება, ამიტომ მათ გადაწყვიტეს არბიტრი ცხენზე შეესვათ. მართლაც, მსაჯ-მხედარს ვერც ერთი დიდგულა მოთამაშე ქედმაღლურად ვეღარ შეხედავს.

პოლონეთის ქალაქ კალიშას საცხენოსნო-სპორტული სექციის წევრებმა თავისი „მაღალი მდგომარეობა" საზოგადოებრივ საქმიანობაში გამოიყენეს. შეჯიბრებებში მონაწილეობის გარდა, ისინი, როგორც შტატგარეშე ზედამხედველები, სისტემატურად ამოწმებენ ქალაქის საგარეუბნო ტყეებს, მდინარეებსა და ტბებს. ცდამ გაამართლა: საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევების რიცხვმა ქალაქის მწვანე ზონაში საგრძნობლად იკლო.

### ზღვა მკურნალობს

ბოლო დროს ხმელთაშუა ზღვა მრავალი ევროპული, აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების ნაგავსაყრელად იქცა და აი, როგორც იქნა, სანუგეშო ცნობა მოვიდა: ხმელთაშუა ზღვა აღდგენის გზაზეა. თუკი 10 წლის წინათ მისი პლაჟების მესამედი მობანავეთათვის სახიფათო იყო და 120 ქალაქი ნარჩენებს მის წყლებში უშვებდა, ამჟამად დაბინძურებულია მხოლოდ ერთი მეხუთედი და ეს მაჩვენებელი თანდათან კლებულობს, მრავალ ადგილას სამრეწველო ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოები აშენდა, მთავრობების გადაწყვეტილებებით სამრეწველო, თვითმფრინავების და გემების ტოქსიკური ნარჩენების წყალში ჩაშვება აიკრძალა.

ერთ-ერთი უკანასკნელი შეთანხმების თანახმად, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებმა გადაშენების გზაზე მყოფი 500 სახეობის ცხოველისთვის უნდა შექმნან დამცველი ზონები.

### სახლი ბაგირზე

წარსულში ცნობილი ფრანგი მუშაითის ანრი როშტენის კეთილმოწყობილი (აბაზანით, ტელეფონით, ტელევიზორით, სამზარეულოთი) ორსართულიანი სახლი მდინარე რონაზე 20 მეტრის სიმაღლეზე გაჭიმულ ბაგირზეა ჩამოკიდებული. როშტენს ძალიან მოსწონს თავისი სამფლობელო, ოღონდ სტუმრების მიღებაა ცოტათი უხერხული... მაგრამ პატრონმა აქაც იპოვა გამოსავალი: ბაგირზე დამაგრებული სავარძელი დაკიდულია ბორბლიან მოტოციკლზე, რომელზეც თვით მასპინძელია ამხედრებული. თავის სტუმართან ერთად იგი სახლის მეორე სართულის აივნისაკენ მიჭქრის, რადგან მხოლოდ ამ ერთადერთი გზით შეიძლება როშტენის ბინაში მოხვედრა. სირთულის მიუხედავად, მას ბევრი სტუმარი ჰყავს. არაჩვეულებრივი სახლი ქალაქ ლიონის ღირსშესანიშნაობად იქცა.

## საინტერესო სიახლენი

### ველოსიპედი-გიგანტი

მაინის ფრანკფურტში ააგეს მსოფლიოში უდიდესი ველოსიპედი, რომელიც, ეტყობა, ცნობილ „რეკორდების წიგნში" შევა. ველოსიპედის სიგრძე 6,25 მეტრია, თვლების დიამეტრი — 2,5 მეტრი.

### არ იჭმევა, მაგრამ...

საქონლის საკვების დანამატი, რომელიც ინგლისელმა სპეციალისტებმა გამოიგონეს, გარეგნულად ხის წებოს კუბიკებს ჰგავს და კაცი ვერ იფიქრებს, საკვებად გამოსადეგიაო. მაგრამ გამოირკვა, რომ მისი შერევით სილოსის ყუათიანობა მთელი თვრამეტი პროცენტით მატულობს.

საინტერესოა, რომ თვითონ დანამატს საკვები ღირებულება არ გააჩნია. სამაგიეროდ, იგი შეიცავს მიკრობებს, რომლებიც ეხმარებიან საქონელს საკვების უჯრედების გადამუშავებასა და ათვისებაში.

### სახიფათო ზონა

დედამიწის ზედაპირის დიდი ნაწილი ცოცხალ არსებასავით „სუნთქავს"... ამერიკელმა გეოფიზიკოსმა რ. ბილჰემმა გამოთვალა, რომ დედამიწის დიდი ქალაქების 40 პროცენტი სეისმურად საშიშ რაიონებშია განლაგებული.

### მოჭადრაკე კომპიუტერი

ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნეს საჭადრაკო კომპიუტერი, რომელმაც საერთაშორისო დიდოსტატის დონეს მიაღწია. ერთ წამში მას დაახლოებით 700 ათასი სვლის გათვლა შეუძლია.

### ჯერ კიდევ...

დანიელმა ასტრონომებმა AC118 ვარსკვლავთასოციაციაში აღმოაჩინეს ყველაზე უშორესი ზეახალი ვარსკვლავი — მისგან ჩვენ 5 მილიარდი სინათლის წლის ტოლი მანძილი გვაშორებს. ეს ვარსკვლავი გაჩნდა იმ დროს, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ჩვენი მზის სისტემა; მისმა სხივმა კი ჩვენამდე მხოლოდ ახლა მოაღწია.

### „უხმო" ასფალტი

შვედმა მეცნიერებმა გამოიგონეს და უკვე სცდიან ასფალტის ახალ შედგენილობას. ამ ასფალტში ურევენ (ჯერჯერობით დოზა უცნობია) რეზინს, რის შედეგადაც ავტომობილის სვლის დროს წარმოქმნილი ხმაური 18 დეციბალით კლებულობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაიღვიძებენ გაყინულები?

ადამიანის ოდინდელი ოცნებაა უკვდავების ან იმის მიღწევა მაინც, რომ „დროს გადაახტეს“ და თვალი შეავლოს, როგორ იცხოვრებენ ადამიანები მომავალში. ამ ოცნების გამოვლენაა, თუნდაც, ქართული ზღაპარი „მიწა თავისას მოითხოვს“ თუ მძინარე მზეთუნახავის რუსული ზღაპარი, ჰერბერტ უელსის ფანტასტიკური „დროის მანქანა“ (აქედან მოკიდებული, მრავალმა მწერალ-ფანტასტიკოსმა „ამოგზაურა“ თავისი პერსონაჟები წარსულსა და მომავალში) თუ ვლ. მაიაკოვსკის „ბაღლინჯო“.

სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები კარგა ხანია თავს იმტვრევენ ანაბიოზის (ანაბიოზი — ორგანიზმის სასიცოცხლო პროცესთა დროებითი შენელება ან შეწყვეტა) პრობლემებზე, ეძებენ ორგანიზმის ხანგრძლივი გაყინვისა და შემდეგ მისი გაცოცხლების გზებსა და საშუალებებს. კვლევა მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობს; საქმე ნელა, მაგრამ მაინც მიიწევს წინ. ასე, მაგალითად, კალიფორნიის უნივერსიტეტის (აშშ) ანაბიოზის ლაბორატორიაში, რომელსაც დოქტორი პაულ სეგალი ხელმძღვანელობს, ჩაატარეს ძალზე საინტერესო ცდების სერია ზაზუნებზე. ცხოველებს მთლიანად გამოაცალეს სისხლი და მის ნაცვლად სისხლძარღვებში განსაკუთრებული ქიმიური ხსნარი შეიყვანეს, რის შემდეგაც სხეულები ნულოვან ტემპერატურამდე გააცივეს. ზაზუნებს გაუჩერდათ გული, გაქრა ტვინის ენცეფალოგრამა. მაგრამ ცხოველები არ დაღუპულან, ორგანიზმი დროებით გამოითიშა და სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა არამდგრად წონასწორობაში, შეიძლება ითქვას, ბეწვის ხიდზე იმყოფებოდა. ნახევარი საათის შემდეგ გაყინული სხეულები ნელ-ნელა შეათბეს, ქიმიური ხსნარი გამოტუმბეს, საკუთარი სისხლი დაუბრუნეს და... ცხოველები გაცოცხლდნენ. ის კი არა, როგორც გამოირკვა, მათ მეხსიერებაც აღუდგათ.

ასეთი ცდები მედიცინის მუშაკებსაც აინტერესებთ. ანაბიოზის პრობლემები თუ გადაიჭრა, შესაძლებელი გახდება კოსმონავტების გაგზავნა ხანგრძლივ ვარსკვლავთშორის მოგზაურობაში. გარდა ამისა, დიდი ხნით სხეულის გაყინვა თუმცაღა მცირე, მაგრამ ჯერჯერობით ერთადერთი შანსია იმ ადამიანებისათვის, რომელთაც უკურნებელი სენი სჭირთ: მომავალში ხომ (უახლოესში თუ შორეულში) აუცილებლად აღმოჩნდება შიდსის თუ კიბოს -განკურნების ეფექტური საშუალებანი, რაზედაც დღეს მხოლოდ ოცნება შეგვიძლია.

უიმედო ავადმყოფებს ჯიბესქელი მილიონერებიც შეუერთდნენ, რომელთაც სურთ, მომავალში გაცოცხლდნენ და გაიგრძელონ თავიანთი სიამოვნებით სავსე არსებობა. ისინი იმედოვნებენ, რომ მათი შთამომავალნი ბოლოს და ბოლოს აღმოაჩენენ „გაახალგაზრდავების ელექსირს“. ჰოდა, ლოს-ანჟელესში უკვე ჩამოყალიბდა ე. წ. კრიონიკების საზოგადოება („კრიოს“ ბერძნულად სიცივეს, ყინვას, ყინულს ნიშნავს). სიკვდილის შემდეგ ან გარდუვალ სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე მათ სხეულებს ყინავენ და ინახავენ ხელსაყრელი პერიოდის დადგომამდე (გაიხსენეთ კინოფილმი „მისტერ მაკ-კინლის გაქცევა“).

ამ საზოგადოების წევრობა ძალზე ძვირი ჯდება. პირველი შესატანი 140 000 დოლარია. მემკვიდრეებმა ყოველწლიურად უნდა იხადონ (ან გაყინულის მიერ ბანკში დატოვებული თანხიდან გადაიხდება) 4100 დოლარი. არადა, ვინ იცის, რამდენ წელიწადს მოუხდება სხეულს გაყინულ მდგომარეობაში ყოფნა? ან, საერთოდ, შესძლებენ კი მის გაღვიძებას? ჯერჯერობით ხომ ადამიანის ორგანიზმის გაცოცხლება, სამწუხაროდ, არარეალურ საქმედ მოჩანს...

ჟურნალ
„ტეხნიკა — მოლოდიოჟის“
მიხედვით.

როცა რაიმე სანახაობა ძალზე გაგვაკვირვებს, საკუთარ თვალებს არ დავუჯერეო, ვიტყვით ხოლმე. ეს ხატოვანი თქმაა. ჩვეულებრივ კი ჩვენს მხედველობის ორგანოს უნაკლოდ მივიჩნევთ და სავსებით ვენდობით. მაგრამ ვითომ აგრერიგად სანდოა თვალი? როგორც ირკვევა, თურმე ისიც გვატყუებს ხანდახან — ცხადია, უნებლიეთ.

როცა გვებნებიან, თვალის ბადურაზე, ისევე, როგორც ფოტოობიექტივში. საგნის გადაბრუნებული გამოსახულება აღიბეჭდება, გვიჭირს ხოლმე დაჯერება. მაგრამ აი, დავაყენოთ ერთი ასეთი ცდა.

აიღეთ მუყაოს ორი ფირფიტა, ვთქვათ, ღია ბარათები. ერთ მათგანში სადგისის წვერით გააკეთეთ 0,5 მმ დიამეტრის ხვრელი და დაიჭირეთ თვალწინ 2-3 სმ-ის დაშორებით, თან უყურეთ განათებულ პეიზაჟს, ნათელ ცას ან ნათურას. მერე ღია ბარათი სახეზე მიიდეთ და ნელა ამოძრავეთ ქვემოდან ზემოთ. როცა ბარათის კიდე მხედველობის არეში მოხვდება, თქვენ დაინახავთ, რომ ბარათი ზემოდან ქვემოთ მოძრაობს და არა ისე, როგორც სინამდვილეში.

აი, რატომ ხდება ეს.

თვალწინ ღია ბარათის დაჭერამდე მხედველობის არის ყოველი წერტილი თვალისაკენ სხივებს გზავნის მთელი გუგის გავლით




(მარცხენა ნახაზი) და გუგის ყველა წერტილიდან სინათლე მთელ ბადურაზე ნაწილდება. როცა თვალწინ ნახვრეტიან ბარათს დაიჭერთ, მხედველობის არის ყოველი წერტილი აისახება სხივით, რომელიც გუგის მხოლოდ მცირე ნაწილში გადის (მარჯვენა ნახაზი). მხედველობის არის ზემო



წერტილები გუგის ქვემო ნაწილში გამავალი სხივებით აისახება, ხოლო ქვემო წერტილები — ზემო ნაწილში გამავალი სხივებით. როცა მეორე ბარათით ფარავთ გუგის ქვედა ნაწილს, თქვენ ამით მხედველობის არის ზემო ნაწილს უკეტავთ გზას და ამიტომაც ხედავთ ბარათის კიდეს, რომელიც ზევიდან ეშვება.

ახლა მეორე, ასევე საინტერესო ცდა.

ქაღალდის ფურცელი მილივით დაახვიეთ (დაახლოებით 2 სმ-ის დიამეტრით) და ამ მილით გახედეთ წინ მდებარე საგნებს. მეორე თვალის წინ დაიკავეთ მარჯვენა ნელისგული თვალიდან 10-15 სმ-ის დაშორებით ისე, რომ ხელისგულის კიდე მილაკს ეხებოდეს. და თქვენ ცხადად დაინახავთ საკუთარ ხელისგულში გაჩენილ ხვრელს, რომელშიაც მოჩანს წინ მდებარე საგნები. ხელისგულის შუა ნაწილი მთლიანად დაფარულია გამოსახულებით, რომელსაც თვალი მილაკით ხედავს.

უსისხლოდ გახვრეტილი ხელისგული! მოდი და, დაუჯერე საკუთარ თვალს.

# წყალდიდობა

(ბეთჰოვენის ბავშვობის ეპიზოდი)

ლუდვიგ ბეთჰოვენი ცამეტი წლისა იყო, როცა სამეფო კარის მუსიკოსის ადგილი მიიღო. ახლა ცოტაოდენი შემოსავალი გაუჩნდა და შეეძლო დედას დახმარებოდა. მამამისი საკმაოდ ნიჭიერი მომღერალი იყო, მაგრამ განუწყვეტლივ ლოთობდა და შინ ფული არ მოჰქონდა. პირიქით, შინიდან ნივთებიც კი გაჰქონდა გასაყიდად, რომ უფრო მეტი დაელია.

ერთ დღეს ეროვნულ თეატრში ბალ-მასკარადი მოეწყო. ნიღბიანი კურფიურსტები და მაღალი წრის ბატონები და ქალბატონები კამათელს აგორებდნენ და ცეკვავდნენ.

დაფდაფები ქუხდნენ, ჰობოისტები უბერავდნენ, ვიოლინოს ხმები ოდნავ ისმოდა, რადგან ნიღბები იცინოდნენ და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. მათ მუსიკა არ აინტერესებდათ. სამეფო კარის ნორჩი მუსიკოსი ლუდვიგიც იქ იყო თავის მასწავლებელ ნეეფესთან ერთად. ორივენი გაოგნებულები იყვნენ ასეთი ყურისწამლები ხმაურის გამო. შეუძლებელი გახდა ამ ყაყანსა და გნიასში დაკვრა.

შუაღამე უკვე გადასული იყო, როცა ერთი მსახური მივიდა კურფიურსტის მაგიდასთან.

— რა გინდა? — ჰკითხა მან.

მსახურმა რაღაც ჩაუჩურჩულა რაინგასეს შესახებ, მაგრამ მაშინვე ვერ მიახვედრა. ლუდვიგმა ყური მოჰკრა სიტყვა რაინგასეს. რაინგასეზე ხომ მათი ოჯახი ცხოვრობს. განა იქ რა მოხდა? უცებ მუსიკა და ცეკვა შეწყდა. განგაში ატყდა. ხალხი კივილით აქეთ-იქით გარბოდა. რაინი ბობოქრობდა. წყლის დონემ აიწია. ლუდვიგიც მყისვე გაეშურა შინისაკენ. რაინგასემდე ჯერ შორს იყო, მაგრამ მდინარეს უკვე დაეტბორა ქუჩები. მეზობელი ქუჩიდან ჩამუქებული ნიაღვარი მოედინებოდა და საწოლები და კარადებიც კი მოჰქონდა.

„ნეტავი ადამიანის მსხვერპლი ხომ არ არის?" — გაიფიქრა ლუდვიგმა და გვერდით მყოფ ხალხს ჰკითხა:

— სად არის ნავები?

მის გულუბრყვილო შეკითხვაზე გაეცინათ და უპასუხეს, არავითარი მაშველი საშუალება არ არისო.

— სად გინდოდა წასვლა? — ჰკითხა ერთმა მათგანმა ლუდვიგს.

— რაინგასეზე, — მიუგო მან.

— რაინგასე დილაადრიანვე დაიფარა წყლით, — თქვა იქვე მდგომმა ქალმა.

ლუდვიგი შეუპოვრად მიაპობდა გზას წყალში, მერე გადაწყვიტა, კატასავით სახლის სახურავებზე ევლო. ასე მიაღწია თავისი სახლის სხვენამდე, კიბე ჩაირბინა და მუსიკის სამეცადინო ოთახში შევარდა. აქ დედა და ძმები დახვდა მას, იქვე იყვნენ სახლის პატრონის, ხაბაზ ფიშერის ოჯახის წევრებიც. გაუკვირდათ, ამ სიღრმე წყალში როგორ მოაღწია შინამდე ლუდვიგმა. მან უამბო, როგორ მოიქცა და თან დასძინა, მთელი ოჯახის ხსნაც მხოლოდ ამ გზით შეიძლებაო. ლუდვიგის დედას — ქალბატონ მაგდალენას სახურავებზე ასვ-



ლისა ძალიან ეშინოდა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. სახურავებზე თავი რომ შეემაგრებინათ, ხელები თავისუფალი უნდა ჰქონოდათ. ჰოდა, ლუდვიგმა ამ საქმის მოგვარებაც კარგად მოიფიქრა. მან პატარა ბავშვები უფროსებს თოკით ზურგზე მაგრად დააკრა, და ასე ავიდნენ ყველანი სახურავზე. ლუდვიგი ყოველნაირად ეხმარებოდა დედას, ამ ფათერაკით დაბეჩავებულ დედამისს სიარული უჭირდა. ლუდვიგმა დედას პატარა კარლი ჩამოართვა, თან ამშვიდებდა:

— დაწყნარდი, დედიკო, ნამდვილად აღარავითარი საშიშროება აღარ მოგველისო.

ამასობაში მაშველი რაზმიც მოვიდა და შენობას კიბე მოადგეს. ახლა მართლაც აღარაფერი იყო საშიში. ყველაზე მთავარია, ბავშვები გადარჩნენ.

ლუდვიგმა შემთხვევით მოიხედა და დაინახა, რომ ღონემიხდილი დედამისი სწორედ იმ დროს სახურავიდან წყალში გადავარდა. ლუდვიგმა ძმებს წინ უბიძგა და უბრძანა, აგერ იმ კიბესთან მიირბინეთ, ჩირაღდნები რომ მოჩანსო, თვითონ კი მყისვე გადაეშვა ყინულივით ცივ წყალში. „ეს წყალი დედაჩემის ავადმყოფი ფილტვებისათვის მომაკვდინებელია", — გაიფიქრა ბიჭმა შიშით.

წყალში ჩავარდნილ ქალს მამაკაცები შემოხვეოდნენ და ლუდვიგმა მათ შორის სამეფო კარის მუსიკოსი ბატონი ფილიპერტი იცნო.

— სასწრაფოდ ჩვენთან წავიდეთ, — შესთავაზა მუსიკოსმა, — აქვე ახლოს ვცხოვრობ...

ქალბატონმა მაგდალენამ, რომელიც აქამდე უგრძნობლად იყო, ახლაღა გახილა თვალები და დაიძახა:

— ლუდვიგ, კარლ, იოჰან, არ გაცივდეთ, ტანსაცმელი გამოიცვალეთ.

ლუდვიგმა ყოველი ღონე იხმარა, შინ მიირბინა, სველი ტანისამოსი გამოიცვალა და დედისა და ძმებისათვისაც შეფუთა საჭირო ტანსაცმელი. გამოსვლის წინ, როცა სხვენიდან გადაიხედა, წყლის დონე უკვე საკმაოდ იყო დაწეული.

გერმანულიდან თარგმნა
**შ. ამირანაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყველანაირი საკვები (რა თქმა უნდა, ტკბილეულისა და ხილეულის გარდა) უმარილოდ უგემურია — ეს დიდმაც იცის და პატარამაც.

სუფრის მარილზე მოგახსენებთ.

მაგრამ ყველამ როდი იცის, რომ ამ ყოვლად ჩვეულებრივსა და ხელმისაწვდომ ნივთიერებას — სუფრის მარილს — ბევრი წვრილმანი (?) საოჯახო პრობლემის გადაჭრაც შეუძლია.

აი, ახლა ჩამოგითვლით ამ წვრილმან პრობლემებსა და მათი გადაჭრის ხერხებს, კარგად დაიმახსოვრეთ ისინი, დროდადრო, საჭიროებისას, უფროსებს, დედას თუ მამას, შეახსენეთ და ნახავთ, რა გაოცებული და მადლობელი დაგრჩებიან ყველანი.

### 1. როცა დიასახლისი რეცხავს, წმენდს, აუთოებს...

● ბამბისა და სელის ქსოვილი რეცხვისას რომ არ გაუფერულდეს, 1 ლიტრ სარეცხ ხსნარს 1-2 ჩაის კოვზი სუფრის მარილი უნდა დაემატოს. არც სხვა ქსოვილები გაუფერულდება, თუ მათ ცივ მარილიან წყალში გარეცხავთ.

● სალეჩაქე ქსოვილის (ТЮЛЬ) ფარდა დროთა განმავლობაში მუქდება. იგი კარგად გაირეცხება, თუ წინასწარ თბილ მარილიან წყალში დაასველებთ. ბატისტის ცხვირსახოცს მისი ადრინდელი სიქათქათე აღუდგება, თუ გარეცხვამდე რამდენიმე საათით მარილიან წყალში დააყოვნებთ, გარეცხვის შემდეგ კი გაავლებთ ბორაკდამატებულ წყალში.

● ხაოიანი პირსახოცი თუ ხალათი თანდათანობით ხამი ხდება. მათი დარბილებისათვის საკმარისია გარეცხოთ და გამოხარშოთ ისინი მარილიან წყალში, ოღონდ გაშრობის შემდეგ არ გააუთოოთ.

● ქსოვილს რუჯი რომ გააცალოთ, საჭიროა დაასველოთ იგი ცივ წყალში, ზედ მარილი მოაყაროთ და მზეზე გაფინოთ. გამშრალი ქსოვილი კარგად დაბერტყეთ და ცივ წყალში გაავლეთ.

● თუ უთოს მუშა ზედაპირი გაჭუჭყიანდა, შემთბარი უთო მარილმოყრილ ქაღალდზე რამდენჯერმე გაატარეთ და ზედაპირი გასუფთავდება. სახამებლის ან ჟანგის ლაქის მოცილებაც ადვილია: ლაქებს მარილი მოაყარეთ, სველი ჩვრით გახეხეთ და მერე მშრალით გააპრიალეთ.

● ხალიჩის გაწმენდა ასე შეიძლება: მოაყარეთ რამდენიმე პეშვი სუფრის მარილი და გადახვეტეთ ცოცხით, რომელიც წინასწარ სარეცხი ფხვნილის ხსნარში უნდა გამოხარშოთ: ცოცხი დროდადრო ცხელი წყლით გარეცხეთ. მარილის ნარჩენი ხალიჩას მტვერსასრუტით მოაშორეთ (სხვათა შორის, ახალმა ცოცხმა დიდხანს რომ გასძლოს, ვიდრე იხმარდეთ, 2-8 საათით ცხელ მარილიან წყალში გააჩერეთ). თუ ხალიჩა მეტისმეტად ჭუჭყიანი არ არის, არსებობს მისი გაწმენდის უფრო მარტივი წესი: მოაყარეთ ზედ წმინდა მარილი, ხოლო მეორე დღეს სუფთა სველი ჩვრით გააცალეთ იგი.

## პერიოდული სისტემის ტოპონიმიკა და ონომასტიკა

თუ რამდენს აძლევს მენდელეევის პერიოდული სისტემა ფიზიკოსებსა და ქიმიკოსებს, საყოველთაოდ ცნობილია.

ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ ელემენტთა დიდმა ნაწილმა სახელი გეოგრაფიული სახელწოდებებისაგან მიიღო. 104 ელემენტიდან 21-ს კონტინენტების, ქვეყნების, პროვინციების, ქალაქებისა და სოფლების სახელიც კი ჰქვია. ასე, მაგალითად, ევროპიუმი და ამერიციუმი ამ ელემენტებს ევროპისა და ამერიკის კონტინენტთა პატივსაცემად შეერქვა. სპილენძის ლათინური სახელწოდება „კუპრუმ“ სათავეს იღებს კუნძულ კვიპროსიდან, სადაც უხსოვარ დროს ამუშავებდნენ სპილენძის საბადოებს. რენიუმის სახელი მდ. რეინის (გერმანია) პროვინციას — რეილანდს უკავშირდება. რუსეთის, გერმანიისა და პოლონეთის სახელწოდებებიდან მომდინარეობს რუთენიუმი, გერმანიუმი და პოლონიუმი. სკანდინავიისა და საფრანგეთის სახელები ორ-ორ ქიმიურ ელემენტს ჰქვია, ესენია სკანდიუმი და თულიუმი (ტულე სკანდინავიის ლათინური სახელწოდებაა), ფრანციუმი და გალიუმი (გალიას ლათინები საფრანგეთს უწოდებდნენ).

როცა XVIII საუკუნეში ზოგიერთი მინერალური წყლის დაშლის შედეგად ერთგვარი თეთრი ფხვნილი მიიღეს, მას დაარქვეს „თეთრი მაგნეზია“ იმ „შავი მაგნეზიის“ საპირისპიროდ, რომელიც საბერძნეთის ერთ-ერთ ოლქს, მაგნისიას „ენათესავება“. ლითონს, რომელიც ელექტროლიზით მიიღეს, მაგნიუმი დაერქვა.

ევროპის დიდი ქალაქების მიხედვით „მოინათლნენ“ შემდეგი ელემენტები: ლიუტეციუმი (პარიზის ლათინური სახელი), ჰოლმიუმი (სტოკჰოლმის ლათინური სახელი), ჰაფნიუმი (კოპენჰაგენის ლათინური სახელი). ამერიკელმა მეცნიერებმა, რომლებიც კალიფორნიის ნახევარკუნძულზე მდებარე ქალაქ ბერკლიში მუშაობდნენ, ეს ორი გეოგრაფიული სახელი უკვდავყვეს ორი ქიმიური ელემენტით — კალიფორნიუმითა და ბერკლიუმით, ხოლო პატარა შოტლანდიურმა ქალაქმა სტრონციანმა სახელი დაარქვა ელემენტ სტრონციუმს, რომელიც ამ ქალაქის ახლოს აღმოჩენილი მინერალის — სტრონციტისაგან გამოჰყვეს.

ყველაზე მეტად იღბლიანი მაინც სტოკჰოლმთან ახლომდებარე სოფელი იტერბი გამოდგა: მის პატივსაცემად სახელი დაერქვა ოთხ ელემენტს — იტერბიუმს, იტრიუმს, ტერბიუმსა და ერბიუმს; ბოლო სამი სახელი მიღებულია იტერბიტის — აქ აღმოჩენილი მინერალის სამი ფუძის — „იტ“-ის, „ტერბ“-ისა და „ერბ“-ისაგან.

რვა ელემენტმა სახელი ციური სხეულებისაგან შეიძინა. ესენია: ჰელიუმი (ჰელიოს — მზე), სელენი (სელენა — მთვარე), ტელური (ტელუს — დედამიწა), ურანი, ნეპტუნიუმი და პლუტონიუმი (ურანი, ნეპტუნი და პლუტონი — მზის სისტემის პლანეტები), პალადიუმი და ცერიუმი (პალადიუმი და ცერერა უდიდესი ასტეროიდებია).

გარდა ამ, ასე ვთქვათ, ტოპონიმიკისა, პერიოდულ სისტემაში საკმაოდაა ონომასტიკაც, ანუ იმ ელემენტთა ერთიანობა, რომლებშიც ესა თუ ის საკუთარი სახელი აისახა. ანტიკურ პერსონაჟთა პატივსაცემად შეერქვა სახელი ტიტანს, ტანტალს, ნიობიუმსა და პრომეთეუმს; კობალტი და ნიკელი მთის ავი სულების სახელებია, ვანადიუმი და თორიუმი ძველსკანდინავიური მითოლოგიის საკუთარი სახელებიდან მომდინარეობენ (ქალღმერთი ვანადია და ღმერთი თორი).

ალბათ აუცილებელი არ არის ავხსნათ, საიდან დაერქვა სახელი კიურიუმს, ეინშტეინიუმს, ფერმიუმს, მენდელეევიუმსა და კურჩატოვიუმს. ნობელიუმმა და ლოურენსიუმმა, რომელთა აღმოჩენა ჯერ დამტკიცებული არ არის, ეს სახელები პირობითად შვედ ქიმიკოს ა. ნობელის (დინამიტის აღმომჩენისა და ნობელის პრემიის დამაარსებლის) და ამერიკელ ფიზიკოს ე. ლოურენსის (ციკლოტრონის შემქმნელის) გვარებისაგან მიიღეს. დასასრულ, გადოლინიუმი ფინელი ქიმიკოსის, პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ი. გადოლინის, ხოლო სამარიუმი რუსი სამთო ინჟინერ ვ. სამარსკის (ილმენის მთებში მინერალ სამარსკიტის აღმომჩენის) სახელებთანაა დაკავშირებული.



● ძველი საბავშვო პლასტმასის კეგლისაგან შეგიძლია გააკეთო მშვენიერი პატარა ნიჩაბი ფქვილისა თუ სხვა ფხვიერი პროდუქტებისათვის. დახედე ნახაზს და მიხვდები, როგორ უნდა მოიქცე.

● ველოსიპედის ელექტროგენერატორის ღერძის ჩაჭიდება საბურავთან საგრძნობლად გაუმჯობესდება, თუ მას საბალე შლანგის ნაჭერს ჩამოაცვამ.

● თუ გინდა, რომ პოლიეთილენის აფსკი, რომლითაც აივანი ან სათბური გაქვთ დახურული, ქარმა არ მოგლიჯოს, მას რამდენიმე ზოლად წვრილი ბაგირი ან თოკი გადააკარი 13-15 სმ-ის ინტერვალებით.

● ვთქვათ, ზამთარში შენს ბინაში გათბობის მილი გასკდა. ვიდრე სანტექნიკოსი მოვიდოდეს, ავარიის ლიკვიდაცია დროებით თავადვე შეგიძლია: ხვრეტს ლასტიკი დაადე და გაამაგრე მუფტით, რომელსაც ნებისმიერ საბავშვო „კონსტრუქტორში" იპოვნი.

● ნუ იჩქარებ ძველი გასაშლელი საწოლის ჩარჩოს გადაგდებას, შეიძლება მისი გამოყენება საბაღე ნაკვეთში ნაყოფიანი ბუჩქების შემოსაღობავად. ამ ორიგინალური ღობის ზომების რეგულირება ძნელი არ არის — ალაგალაგ სადების ჩამატება მოგიწევს. მერე მიწაში მილის ნაჭრები ჩაარჭვე და ჩარჩოს გადაჭრილი ფეხები შიგ ჩაამაგრე.

● აბურდული ძაფის გორგალის გახსნა დიდი სადავიდარაბო საქმეა. გორგალი ბოთლს ჩამოაცვი, მცირე ხნით წყალში გააჩერე და ძაფი იოლად გამოიხსნება.

● თუ კორპის საცობს პარაფინში დაალბობ, მისი დახმარებით ადვილად გაწმენდ გათხუპნულ კაფელს.

● ზეთის საღებავებით გასვრილი ხელების საპნით დაბანა ძნელია. ამიტომ ჯერ მცენარეული ან ცხოველური ზეთი წაისვი და საპონი შემდეგ გამოიყენე.

● საოჯახო მაცივარში უსიამოვნო სუნი რომ არ დადგეს, ნახშირი წვრილად დაფხვენი, თეფშზე დაყარე და მაცივარში შედგი.













# სარჩევი

მომავალზე ფიქრით (საუბარი გ. ყორანაშვილთან) . . . გარეკ. 2
ზ. სარჯველაძე — რა განძი გვქონია (წერილი) . . . 10
ხრობა) . . . 2
ლ. ასათიანი — ლექსები . . . 9
ვლ. ასლამაზიშვილი — თეთრი უდაბნო მთებში (მოთ-
ა. მეგრელიშვილი — ლექსები . . . 13
ნ. მოდებაძე — პატარა მექოთნე (მოთხრობა) . . . 14
ჯ ო ც ო ნ ი . . . 16
ა ი ს ი . . . 18
ბ. ბედინი — პატარა სახლი ზღვიდან (მოთხრობა) . . . 20
ა. ჩხარტიშვილი — იკორთა (წერილი) . . . 24
ხალხური იგავები და ზღაპრები . . . 24
„ინდი-მინდი" (მუსიკალური ნოტი) . . . 26
ქსოვა (წერილი) . . . 27
უცხოური იუმორი . . . 27
ჯადოსნური სარკე . . . 28
საინტერესო სიახლენი . . . 28
გაიღვიძებენ გაყინულები? (წერილი) . . . 29
სახალისო ფიზიკა . . . 29
წყალდიდობა (მოთხრობა) . . . 30
მარილი და საოჯახო პრობლემები (წერილი) . . . 31
პერიოდული სისტემის ტოპონომიკა და ონომასტიკა (წერილი) . . . 31
გამოგადგება . . . 32
ცხრაკლიტული . . . გარეკ. 3

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა რევაზ ცუცქირიძისა

მთავარი რედაქტორი ბაბულია შელია

სარედაქციო კოლეგია: ანა ალავერდაშვილი, ნუგზარ აფხაზავა (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ბოცვაძე, მანანა გელაშვილი, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, იოსებ სამსონაძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ნოდარ შამანაძე, სიმონ შაიშმელაშვილი, ლიანა შუშიაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე.

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-97-05, 93-31-31, პ. მგ. მდივნის — 93-97-03, 93-58-95, განყოფილებების — 93-97-02, 93-97-01.

გადაეცა ასაწყობად 28.08.89 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.10.89 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85, შეკვ. 1911. ტირაჟი 147.800. ეგზ., უე 09452.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ხელნაწერს რედაქცია არ უბრუნებს და არ ეცნობება ავტორს.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке.

Главный редактор
ШЕЛИЯ БАБУЛЯ АКАКИЕВНА

Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Формат 60×90 1/8, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35.
Тираж 147-800 экз. Цена 20 коп.

© „პიონერი", 1989 წ.

# ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ

1. თეთრი კირქვა; 2. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 3. ომის ღმერთი რომაულ მითოლოგიაში; 4. გახეხილი ნუშის, ნიგვზის ან გარგარის გულისაგან მომზადებული ცომისებური მასა; 5. ძაფზე ჩამოკიდებული სათამაშო თოჯინა; 6. წყვილთა ცეკვა; 7. გრძელი უტარო მათრახი; 8. მწერი; 9. ორი ან მეტი ფუძისაგან შემდგარი სიტყვა; 10. ტიპობრივი ნიმუში; 11. წონის ერთეული ძველ რომში; 12. ჩიკორი; 13. წნელის ბრტყელი წნული; 14. თვე; 15. შექსპირის ნაწარმოები; 16. რისამე ხელმძღვანელი ორგანო; 17. ფორტეპიანოს, აკორდეონისა და მისთანა საკრავების ფირფიტა; 18. დიდი კაზაკური სოფელი; 19. პურეული მცენარე; 20. მხატვრული ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირი; 21. ქართველი მოქანდაკე; 22. სამგზავრო ბილეთის დანართი შორი მიმოსვლის მატარებელში ადგილის დასაკავებლად; 23. ქიმიური ელემენტი; 24. შესაძლებლობა, მოხერხება; 25. გრამფირფიტების ნაკრები; 26. XIX საუკუნის ქართველი მწერალი; 27. რუსი პოეტი; 28. ყოფაქცევის ნორმები; 29. ბულგარეთის ქალაქი; 30. საბრძოლო მანქანა; 31. სავაჭრო დაწესებულება ან საწარმო, რომლის მარკითაც იყიდება საქონელი ან გამოდის ნაწარმი; 32. საშუალო სიმაღლის ნაყოფიანი ხე.



შეადგინა ქ. ქურდოვანიძემ

# ᲗᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲘ



ჩაწერეთ თარაზულ უჯრებში „ვეფხისტყაოსანში" ნახსენები მცენარეების, ძვირფასი ქვების, ცხოველებისა და ციური სხეულების სახელები ისე, რომ ფერად სვეტში მიიღოთ პოემის პერსონაჟის სახელი.

შეადგინა შ. ხოდაშნელმა

## ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

მოვიდა ერთი სტუმარი,
თვალი ვერ ავარიდე,

ცხვირი დავუთმე სკამად და
ყურები კიდევ — კიბედ.

●

თუ გინდა, გზა არ აგებნეს,
ისე დალაშქრო სამყარო,
სწორად გაიგნო გზა-კვალი
სამთო, სატყეო, საბარო, —
არის ერთგვარი ხელსაწყო,
რომელიც უნდა ატარო.

●

ფეხზე დგას და
ნაბიჯს არ დგამს,
თუნდ ეზოში, თუნდაც შინა,
თვალსაც კი არ
ახამხამებს,
არც ღვიძავს და არცა სძინავს.

●

მიჰქრის უსწრაფეს ჰენებით
ორი ფეხმარდი რაში,
ვერ ეწევიან ერთურთსა
დაუსრულებელ გზაში,
ერთი თეთრია, მეორე
შავია, როგორც შაშვი.

ვ. მარცვალაშვილი



## ᲨᲐᲠᲐᲓᲔᲑᲘ

●

თუმცა ღამით კარგად ხედავს,
დღისით საგნებს როდი
არჩევს,
ის ფრინველი შარადისთვის
ხელუხლებლად უნდა დარჩეს.
გვინდა „მარცხის" სინონიმიც,
წინა ბგერის გამოკლებით. —
გემრიელი სასმელია,
მიირთმევ და დარწმუნდები.

●

მანძილის საზომ ერთეულს,
მწამს, გამოიცნობ ადვილად,
ორმარცვლიანი სიტყვაა,
იკმარებს საწყის ნაწილად.
მერე მითხარი, უეჭლოდ
ვის რა არ მოუკრეფია?
ოღონდ იმ ტურფა ყვავილის
თავსართი მოსაკლებია.
დასკვნითი პასუხისათვის
შეკრებაც განა ძნელია. —
მაგრამ ის რიცხვი არც ისე
იოლი დასათვლელია.

შ. ამირანაშვილი

## ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ № 9-ᲨᲘ ᲛᲝᲗᲐᲕᲡᲔᲑᲣᲚ „ᲪᲮᲠᲐᲙᲚᲘᲢᲣᲚᲖᲔ"

### ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. ბიუროკრატი; 3. ქინძმარაული; 4. ძილისპირული; 7. ფანტელი; 8. ჭვარისა; 10. აბსურდი; 13. აგარაკი.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ბოლქვაძე; 2. ამნისტია; 5. ლიმიტი; 6. უჯარმა; 7. ფორმა; 9. ასაკი; 11. ბუ; 12. დო; 14. გო; 15. ქუ.

### ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

სიმინდი, ციცინათელა, სოკო, ჩრდილი, სიზმარი, ცეცხლი, ელექტრობურღი, სიმინდის ტარო, შალაშინი, სკამი, ხახვი, ფირსაკრავი, რქა, აგური, მანგუსტი,

●

### ᲨᲐᲠᲐᲓᲔᲑᲘ

ბატკანი, ბაკანი; თოხლი, თოხი; ესკიზი, მორალი, ესკიმო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 20 კაპ.



თინათინ გაგოშიძე ასრულებს მ. ბალანჩივაძისადმი მიძღვნილ საკუთარ ნაწარმოებს ქუთაისის სახელმწიფო თეატრში